

ლიტერატურული გაზეთი

№24 (328) 23 დეკემბერი 2022 - 19 იანვარი 2023

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

ნინო დარბაისელი სტრონი

მარიამული

ათი,
ათასი,
ათიათასი,
აურაცხელი
შენი ვთქვათ, ჩემო მაცხოვარო,
ერთიც იმისა — პირველისა,
ვინც შენს სიტყვაზე
სიძულვილით აღმართული ხელი დაუშვა
და ჩასაქოლად მომარჯვებული ქვა ვინც დადო
მტვრიან მიწაზე;

ვინც თავის თავში
მეტი ცოდვა აღმოაჩინა,
შენ კი იმ მტვერში
თითით წერდი,
გამოუცნობი ასოები გამოგყავდა,
წაუკითხავი.
და ვთქვათ იმათიც,
იმ ცოდვილთა,
იმ ურწმუნოთა,
ვინც შეყოყმანდა,
მაგრამ პირველის მაგალითი
მაინც უბრად გაიმეორა,
ცოდვილისათვის მოღერებული ქვა მოიშორა
და ისევ თავის სავალს გაუყვავა...
და უფროვე კი ვთქვათ იმისი,
ვინც შენგან ხსნილმა და შენდობილმა
მეძავეობა დაუტევა და მოგეკედლა
შენ — მიმავალს
გარდაუვალი სასმისის და გოლგოთისაკენ,
ვინც დაგიტირა,
ვინც იხარა შენი ხილვით
აღდგომის მერე,
ვისაც არასდროს უკან აღარ მიუხედავს,
ცოდვის ცეცხლში გახვეული წარსულისაკენ
და ამის გამო დანაცრება არ უნერია,
ვინც დაიჯერა,
რომ მიმავალი უკან-უკან თუ იყურება,
გზაზე დაგდებულ ქვას ფეხს წამოკრავს,
დაეცემა,
დაილუპება.
აურაცხელი შენი ითქვას,
მაცხოვარო,
ერთიც — იმათი,
დანარჩენი ამ ცხოვრებაში
— მარადიული ქვა და მტვერია.

IV-V

თამარ ჟღენტი

ბაუბაღავ თავებს

თუკი გსურს წადილის ასრულება,
ნუ უცდი გარემოს, თქვას — „არა“/„კი“.
მას, ვინც მორჩილებით გასულელდა,
შერჩება წყალი და ქვასანაყი.

იღბალი მშვიერი არნივია,
მის კლანჭებს რატომღაც არ ელოდი.
რამდენი ცხოვრება გაგინირავს?
და თავი გგონია ლანსელოტი.

რამდენჯერ გულს ნება ჩაუქოლე,
რომელი ოცნება არ დაგიმხია!
სიხარულს სულ ახლოს ჩაუქროლე...
და ქოროლამ აფრები დაგიხია.

შენც ნაპირს მორჩილად დაუბრუნდი.
აბა! — თავგანწირვაც ასე უნდა!
და ბედი, თვალისთვის დაბურული,
თავისთვის უკურნებლად დასნეულდა.

დგახარ მომაკვდავის სარეცელთან,
იოვლი გამეტებულ სიხარულებს.
კაცი იმათ ველარ დაეწევა,
მორჩა! იმათ აღარ იმსახურებ.

სიმართლე ასეთი მარტივია.
ბრალი შენ მიგიძღვის, სხვას არავის.
ახლა გულმოდგინედ ატრიალე
ხელში ეგ წყალი და ქვასანაყი.

VIII-IX

შემდეგი ნომერი გამოვა
2023 წლის 20 იანვარს



ჯორჯ ორუელის რომანში „1984“ გარკვეულ ძალას დევრადირებული, ანტი-საზოგადოების შექმნა სურს, რაც სიახლე არაა მსოფლიო ლიტერატურისთვის; მსგავსი საზოგადოების შექმნა ზე ფიოდორ დოსტოვესკის ცნობილი თხზულების „ემმაკანის“ პერსონაჟებიც მსგავსობენ — პიოტრ ვერხოვენსკი და ნიკოლაი სტავროგინი. პირველი რევოლუციური სწავლების არსს ღირსების უარყოფაში ხედავს და დარწმუნებულია, რომ უღირსობის უფლების დაკანონებით იოლად მიიძვრობენ ხალხს. „ოქროს სიტყვებია! — ეთანხმება მეორე, — პირდაპირ მიზანში მოარტყი! უღირსობის უფლება! ყველა ჩვენთან მოირბენს, მათთან აღარავინ დაარჩება.“

აი, რაა უმთავრესი „ემმაკანის“ პერსონაჟთათვის ახალი საზოგადოების შესაქმნელად...

თემურ გაბუნია

უღირსობის უფლება

ოქტომბრის რევოლუციამდე

დოსტოვესკის რომანზე მუშაობის დან-ყებისკენ რეალურმა ისტორიულმა მოვლენებმა უბიძგა, კერძოდ, 1869 წელს სერგეი ნეჩაევის რევოლუციური ჯგუფის მიერ თავისივე ორგანიზაციის წევრი სტუდენტის გახმაურებულმა მკვლელობამ. ვინ იყო ნეჩაევი? ის გახლდათ ბოლშევიკების წინამორბედი, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა უარყო ქვეყნის განვითარების ევოლუციური გზა და დასაშვებად მიიჩნია ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლა. თავის ნაშრომში „რევოლუციონერის კატეხიზმი“ ის მიზნის მისაღწევად გამართლებულად მიიჩნევს ნებისმიერ ბოროტებას, მათ შორის მკვლელობებსა და ტერორს. ცნობილი რევოლუციონერის, მიხეილ ბაკუნინის დავალებით ნეჩაევი შევიცარიიდან რუსეთში ჩადის და რამდენიმე იატაკქვეშა ხუთეულს ქმნის ქვეყანაში არეულობის მოსაწყობად. მას აქვს მანდატი იმოქმედოს „მსოფლიო რევოლუციური კავშირის რუსული განყოფილების“ სახელით, თუმცა დიქტატორული თვისებების მქონე ნეჩაევი ეს მანდატი არც თუ ისე კეთილსინდისიერად გამოიყენა. 1870 წელს რუსული პრესა სავესე იყო სტატიებით, რომელიც მის დანაშაულებრივ საქმიანობას ეხებოდა. ნეჩაევი პროტოტიპია „ემმაკანის“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის პიოტრ ვერხოვენსკის. თავადი ნიკოლაი სტავროგინიც იზიარებს რევოლუციურ იდეებს, მეტიც, მან მოცალეობისას წესდებაც კი შეუდგინა ვერხოვენსკის დაჯგუფებას.

კერძო საუბრებსა და ქმედებებში ვლინდება, რომ მემბოხეთა უმთავრესი მიზანი ეკლესიის დისკრედიტაციაა. მათი აზრით, რევოლუცია უღმერთობის დამკვიდრებით უნდა დაიწყოს; მორწმუნეთა და ტრადიციული, კონსერვატიული ფასეულობების მიმდევართა განსაკუთრებული წნეხის ქვეშ მოქცევით. რომანში პეტერბურგელი ახალგაზრდების ეგრეთ წოდებული ელიტური ჯგუფი ისეთი საზოგადოების შექმნაზე ოცნებობს, რომელშიც არ იქნება კერძო საკუთრება, მღვდელი, ოჯახი, არმია და ფლოტი. ლიტერატურულ საღამოზე, რომელსაც საკუთარი ჟურნალის გახსნის მოსურნე ვარვარა სტავროგინა მართავდა, ახალგაზრდების ლიდერი ერთ პატრიოტულად განწყობილ ხანდაზმულ პიროვნებას დაუპირისპირდა, რომელიც ამასობა იმით, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე მამულს ემსახურებოდა. კამათი მალე სკანდალში გადაიზარდა, რადგან მას შემდეგ, რაც ახალგაზრდამ მოსაუბრე დამცინავედ მოიხსენია, საკადრისი პასუხიც მიიღო, მას უღმერთო ლანჩიკი უწოდეს. მეორე დღეს დაიბეჭდა პრესაში სტატია, რომელიც ახალი ჟურნალის დაარსების მსურველებს აშარჟებდა, მათ, ვინც მცისიერად არ დაითხოვა კონსერვატიულად მოაზროვნე პირი ლიტერატურული საღამოდან. ჟურნალის შექმნის იდეაც სამუდამოდ დასაბრუნდა.

ამრიგად, ოქტომბრის რევოლუციამდე 50-იოდე წლით ადრე რევოლუციონერები უკვე ამკარად ქადაგებდნენ უღმერთობასა და კოსმოპოლიტიზმს მათ ხელთ არსებული ნებისმიერი საშუალებით: პრესით, პროკლამაციებით... აღნიშნულ პროცესში მონაწილეობდნენ იატაკქვეშა დივერსიული ჯგუფებიც. ახალგაზრდების ნაწილი ეწინააღმდეგებოდა (არა მხოლოდ რუსეთში — საქართველოშიც) ტრადიციულ ღირებულებებს, რომელიც ილიამ მოკლედ ასე ჩამოაყალიბა: „მამული, ენა, სარწმუნოება“. პეტერბურგელი ახალგაზრდების ჯგუფის რუსული ანბანის შეცვლაც კი სურდა ლათინური ასოებით, მათ კომიკურად


მიანდათ სიტყვა „მამული“, ხოლო სარწმუნოება — დრომოქმულად და სულიერებისთვის საზიანოდ. განსხვავებული თაობისა და მიმდინარეობის მემბოხეებს სხვადასხვა მოსაზრება ჰქონდათ ქვეყნის სამომავლო მოწყობასთან დაკავშირებით, თუმცა ერთ საკითხში უკლებლივ ყველა თანხმდებოდა — რევოლუცია ათეიზმის ქადაგებით უნდა დაწყებულიყო. ვერხოვენსკის დაჯგუფების წევრები მხოლოდ პროკლამაციების გავრცელებითა და აგიტაციით არ შემოიფარგლებოდნენ, ისინი აგრესიულადც მოქმედებდნენ. ბიბლიის გამავრცელებელ ერთ ქალს, მაგალითად, წმინდა ნიგნში ფარულად ჩაუდეს პორნოგრაფიული ფოტოები, რაც სკანდალით დასრულდა. რევოლუციონერებთან ალიანსში მყოფმა გაქცეულმა კატორღელმა ფედკამ ეკლესია გაძარცვა, პეტრე ვერხოვენსკიმ კი ტაძარში ვირთხები გაუშვა.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: რა სურდათ მემბოხეებს, რატომ აირჩიეს მთავარ სამიზნედ ეკლესია და როდის დაიწყო ანტი-რელიგიური მოძრაობა რუსეთში? რაგინდ უცნაურადაც უნდა მოგვეჩვენოს, ერთ-ერთი მთავარი გზის გამკვლევი ამ საქმეში თავად იმპერატორი პეტრე პირველი გახლდათ. ისტორიკოსები ეკლესიისადმი მისი აგრესიული ქმედებების დაწყების თარიღსაც ასახელებენ, 1697 წელს, როცა ის საიდუმლო სამშობო განევირანდა. დაახლოებით ამ პერიოდიდან იწყება მისი აგდებული დამოკიდებულება პატრიარქისადმი, რომელსაც უწმინდესობის ნაცვლად უმასხარესობას უწოდებდნენ. ხოლო საბოლოოდ, 1721 წელს, აუქმებს პატრიარქობას და სინოდს თავისივე დანიშნულ ერისკაც ობერპროკურორს უქვემდებარებს. ობერპროკურორების მმართველობის ეპოქა რუსეთში 1917 წლამდე გაგრძელდა, ამ პერიოდში მათი ნებართვის გარეშე ვერაინი შემონაზვნდებოდა. ოფიციალური ეკლესია არაფრად აგდებდა ისეთ დიდ წმინდანებს როგორებიც იყვნენ წმინდა სერაფიმ საროველი და წმინდა იოანე კრონშტადტელი. სწორედ ამ პერიოდში გამოდიან ასპარეზზე სალოსები. ისინი ხალხში დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ. მრევლს ღვთის გლახები უფრო უყვარს, ვიდრე ობერპროკურორებს დაქვემდებარებული სამღვდლოება. თვით არისტოკრატებიც აღსარებას ხშირად სალოსებს აბარებენ. ამრიგად, როგორც აკაკი ბაქრაძეს მიაჩნდა, „პეტრე I-მა, მართალია, ძლიერი სახელმწიფო შექმნა, ფანჯარაც გაჭრა ევროპაში, მაგრამ ქვეყანა თავისი განვითარების ბუნებრივ გზას ააცდინა“.

დაიხ, რუსეთი XVIII საუკუნეში, მართალია, შესახელმწიფოდ იქცა, მაგრამ ამავდროულად რაღაც მნიშვნელოვანიც დაკარგა...
 თუმცა დავუბრუნდეთ დოსტოვესკის. შემთხვევით არ ნაუძმღვარებია მწერალს რომანისთვის ეპიგრაფად ნაწყვეტი ალექსანდრე პუშკინის ბალადიდან „ემმაკანი“:
 „მოქალაქი თუნდაც, კვალი არა ჩანს, გზასაცდენილებს მოგველის მარცხი. ეშმა მინდორში გვატარებს წრეზე, თან გვატრიალებს
 მარჯვნივ და მარცხნივ.

 შეყრილან ერთად, მღერიან თითქოს შესაბრალისად სულელები ავი.
 მე კი ვაადოქრის ხან დაკრძალვაზე ხან კი ქორწილში მგონია თავი.“
 (თარგმანი ჩემია — თ. გ.)

პუშკინის ამ ლექსში სწორედ გზის დაკარგვაზეა საუბარი, თოვლიან მინდორში ქარიშხალში მოხვედრილი მგზავრის გრძნობებზე, თუმცა როგორც ვაჟას არწივში ვგულისხმობთ საქართველოს, ასევე შეიძ-



ლება პუშკინის აღნიშნული ბალადის ლირიკული გმირის რუსეთთან გაივიწყლება. რუსეთმაც დაკარგა გზა, მისი ახალგაზრდების ნაწილმა კი, როგორც ამას დოსტოვესკის რომანის მეორე ეპიგრაფი მიგვანიშნებს ლუკას სახარებოდან, აღდარინელი ღორების ხვედრი გაიზიარა, უფსკრულში გადაიჩეხა და დაიხრჩო.

ნიკოლაი ბერდიაევის აზრით, რომანის უმთავრესი თემა ფოკუსირებულია ახალგაზრდა კაცის, სტავროგინის პიროვნულ ტრაგედიაში, რაც არა მხოლოდ რუსეთის — მსოფლიოს ტრაგედიაა, ნიჭიერი პიროვნება, რომელსაც უამრავი სიკეთის გაკეთება შეუძლია, „მთლიანად გაილია და გამოიფიტა მასში გაჩენილი და მისგან გამოსხივებული ქაოსური ეშმაკეულობით (...) ეშმაკეულობა შემოქმედების ნაცვლად — აი, „ემმაკანის“ თემა.“ ნიკოლაი სტავროგინი რომანის ცენტრალური ფიგურაა, რომლის, როგორც ჩამქრალი მზის ირგვლივ, უკვე რომ აღარ ასხივებს სითბოსა და სინათლეს, ტრიალებენ სხვა ბოროტი სულელები. რომანის თითქმის ყველა ძირითადი პერსონაჟი იღუპება სტავროგინის გამო, პირდაპირ თუ ირიბად. როგორც სერგეი ბულგაკოვმა აღნიშნა, ის სულიერი პროვოკატორია, მრავალი სახეა აქვს, რომელთაგანაც არც ერთი არაა მისი ნამდვილი სახე. ბევრს ატყუებს და ხიბლავს ეს მრავალსახეობა თავისი ეშმაკეულობით. ერთი შეხედვით სტავროგინი რაინდია, შეუძლია დუელში მონაწილედგე დაინდოს, ჰაერში სამჯერ გაისროლოს, მეტოქეს კი მისცეს დამიზნებით სროლის საშუალება. სხვებს მიაჩნიათ, რომ მან კეთილშობილური სიბრალეობის გამო მოიყვანა ცოლად კოჭლი და ნახევრად შეშლილი ღიზა, რომელსაც ყველა დასცინოდა. პიოტრ ვერხოვენსკის ის მესია ჰგონია, რომელსაც საზოგადოების აყლივდა შეუძლია — ნახევარღმერთი. თუმცა მოჩვენებითი კეთილშობილებაც სტავროგინისთვის მხოლოდ ნილაბია, ერთგვარი საშუალება, რომლითაც უნდა მონუსხოს მორიგი მსხვერპლი. მისგან ცთუნებულნი კი ლადარინელი ღორების მსგავსად იღუპებიან. წესითა და რიგით, მათ უფსკრულში გადაჩეხვას უნდა მოჰყვეს ეშმაკეულის ანუ ნიკოლას განკურნება. თუმცა თავად სტავროგინისგან ბოროტი სულელები არ გადიან. მართალია, თვითმკვლევლობის წინ ის ცდილობს, აღსარება თქვას და ქრისტიანულ რწმენას დაუბრუნდეს, მაგრამ ვერ ახერხებს, რადგან გულწრფელი სინანული არც შეუძლია. ეს კარგად ჩანს რომანის დასკვნითი ეპიზოდებიდან „ტიხონთან“, რომელიც დოსტოვესკის სიცოცხლეში ჟურნალმა „რუსულმა მაცნემ“ არ გამოუქვეყნა (შერბილებული ვარიანტიც დაუნუნეს). არადა, მწერლის ერთ-ერთი პირადი წერილიდან ნათლად ჩანს, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აღნიშნულ თავს სტავროგინის ხასიათის გასაშიფრად. სწორედ არქივში დაცულ წერილზე დაყრდნო-

ბით გადაწყვიტეს ლიტერატორებმა ტიხონის ეპიზოდი ჩაერთოთ რომანის გვიანდელ გამოცემებში.

მანც რატომ დაუნუნა ჟურნალმა დოსტოვესკის სალოსთან შეხვედრის შესახებ დაწერილი თავის ორივე ვარიანტი? საქმე ისაა, რომ მასში საუბარი იყო პედოფილიაზე. სტავროგინი ცდილობს ამ უშიძიქის ცოდვის მონაწილას ვრცელი აღსარებით, რომლის ხალხში გავრცელებასაც აპირებს მრავალ ეგზემპლარად.

ტიხონს ნიკოლაის პიროვნება ბევრი რამით აძლევს დაქვეების მიზეზს, ძირითადად კი იმით, რომ თავადი კელიამი შესვლისთანავე აფრთხილებს: „სერიოზულად და თავხედურად გეტყვი: ეშმაკის მწამს, პიროვნულად, კანონიკური რწმენით და არა ალგორითულად“. აი, დილემაც! თუკი ადამიანს ეშმაკის სწამს, აღსარების სათქმელად რატომღა მიდის? ტიხონს რთული პრობლემა აქვს გადასახვევტი. ქრისტიანული თვალსაზრისით უშიძიქის ცოდვის მონაწილაც შესაძლებელია. მაგრამ არის კი აღსარება გულწრფელი?

ტექსტის ნაკითხვის შემდეგ იწყება ფსიქოლოგიური დუელი. სალოსი ხვდება, რომ ვრცელი აღსარების ზოგიერთ ადგილას ნიკოლაი თითქოს ამასობს საკუთარი უსულგულობით, რაც იგივეა, დამნაშავე გამომწვევად ექცეოდეს უზენაეს მოსამართლეს. მეორეც — ტიხონს ზარავს ნიკოლაის უზარმაზარი ძალა, რომელიც მან სისაძაღვლების კეთებაში ამაოდ დახარჯა. ექვს აძლიერებს თავადის მოულოდნელი შეკითხვაც: იქნებ ჩადენილი იყ სულაც არ ვიტანჯები, როგორც აქ ჩავენერეო. სალოსი სთავაზობს გამოსავალს, მცირე ხნით მორჩილად შედექით, არაა აუცილებელი, მონასტერში დარჩეთ, სულიერი მორჩილება ერისკაცსაც შეუძლია, ამით თქვენში ჩაზღუდულ ეშმაკსაც დაამარცხებთ და სიამაყესაცო. თუმცა ნიკოლაი არც ამისთვისაა მზად. წამით მას შემზარავი აზრიც კი გაუბრუნს თავში — სალოსი მოკლას, მაგრამ თავს იკავებს. თქვენ ამ აღსარებას არასდროს გამოაქვეყნებთ, რადგან ხალხს დაცინვის შეგეშინდებათ, ასკვნის ტიხონი. სტავროგინი ბრაზდება, რომ გამოფრეს. „წყეული ფსიქოლოგი!“ — აღმოხდება უცებ და კელიიდან გადის.

დასანანია, ტიხონის ეპიზოდი დოსტოვესკის სიცოცხლეშივე რომ არ გამოუქვეყნეს, რადგან მის გარეშე რომანის მთლიან სურათს მართლაც მნიშვნელოვანი შტრიხი დააკლდა.

უცნაური მსგავსება


ესეის დასაწყისში აღვნიშნე, რომ არსებობს გარკვეულ თანხვედრა დოსტოევსკისა და ორუელის მხატვრულ ხედვათა შორის. და მართლაც, თემას თუ ჩავუღრმავებთ, უცნაურ მსგავსებას აღმოვაჩინებთ 70-იანი წლების რუსულ რევოლუციურ მოძრაობასა და ორუელისეული ოკეანის პოლიტიკური ელიტის ქმედებათა შორის. მეტიც, ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნება, თითქოს ორივენი ერთი თეზისით თუ ინსტრუქციით ხელმძღვანელობდნენ. საქმე ეხება ცრუ გმირის შექმნას. ოკეანიაში აზრის პოლიციისთვის სასურველი „გმირი“ რომ არ არსებულებოდა, მას აუცილებლად გამოიგონებდნენ პრესის მეშვეობით. გავიხსენოთ, რა ევალეა უინსტონს, რომელიც ნანერების დეპარტამენტში მუშაობს. დიდი ძმის ბრძანებულების თანახმად მან უნდა შექმნას პარტიის მოკრძალებული წევრის ვირტუალური ბიოგრაფია, გაზეთში გადის ნეკროლოგი ვინმე ამხანაგ ოგილევიზე, რომელსაც არასდროს უარსებია. ამხანაგი ოგილევი ექვსი წლის ასაკში „დამსმენთა გაერთიანებაში ჩაირიცხა. ცხრა წლისა უკვე ჯგუფის მეთაურია. თერთმეტი წლის ოგილევიმ აზრის პოლიციაში დაასმინა საკუთარი ბიძა, რომლის საუბარშიც ყმანვილმა კრიმინალური ტენდენციები შეინიშნა“. ამხანაგი ოგილევი პარტიის სანიმუშო წევრია, ყველამ მაგალითი უნდა აიღოს მისგან.

ასეთივე მეთოდით ქმნიან ცრუ გმირს რუსი რევოლუციონერები დოსტოევსკის რომანში „ემშაკნი“, ოლონდ არა პრესის, არამედ პროკლამაციის მეშვეობით. თვითონ დაჯგუფების მეთაური ვერხოვენსკი წერს ლექსს არარსებულ მემამბოხე სტუდენტზე და მას გერცენის დანერგვას ასაღებს. ვითომდაც გერცენი შვეიცარიაში ყოფნისას მოიხიბლა უცნობი სტუდენტით და მას ლექსი მიუძღვნა. გამოგონილი გმირის, „ნათელი პიროვნების“ პორტრეტი ასეთია: ხალხის წიაღიდან გამოსულს მუდამ თან სდევს მეფის შურისძიება და ბოიართა რისხვა. უამრავი განსაცდელსა უძლებს მალალი იდეისთვის. ის მუდამ მზადაა, ხალხს უქადაგოს ძმობა, ერთობა, თავისუფლება, არ უშინდება ციხესა და წამებას. მთელს იმპერიაში, სმოლენსკიდან ვიდრე ტამპენტამდე, საკუთარი მძიმე ხვედრის გამო ასაჯანყებლად გამზადებული ხალხი მოუთმენლად ელოდება თავის გმირს, გადამწყვეტ ბრძოლაში რომ გაჰყვებს მდიდართა დასამარცხებლად. ის მათ ქონებას ჩამოართმევს და საერთო-სახალხო საკუთრებად აქცევს; სამუდამოდ გააუქმებს ეკლესიას, ქორწინებასა და ოჯახს — ძველი ბოროტული სამყაროს გადამწმენკებს!

სტუდენტი შატოვი უარს ამბობს პროკლამაციის გავრცელებაზე, დაჯგუფებიდან გასვლაც სურს, რადგან მის საქმიანობას იდეურად აღარ ეთანხმება. ვერხოვენსკი აიძულდა ხუთეულის წევრებს, მოკლან შატოვი, იმ მოტივით, ვითომდაც ჩვენს დასმენას აპირებს პოლიციაში. ხუთეულის წევრები უხალისოდ, მაგრამ მაინც ასრულებენ ბრძანებას. საგულისხმოა, რომ შატოვს ჰყავს რეალური პროტოტიპი, ვინმე სტუდენტი ივანოვი, რომელიც ნეჩაევის დაჯგუფებას სასიკვდილოდ გაიმეტა 1869 წლის დასასრულს, სწორედ ამ სასტიკმა მკვლელობამ უბიძგა დოსტოევსკის მუშაობა დაეწყო თავის ცნობილ რომანზე „ემშაკნი“.

ორმაგად უცნაურია ის გარემოება, რომ დოსტოევსკის რევოლუციონერებსა და ოკეანის ელიტის ისტორიული ტყუილისცალი ჰყავთ ბოლშევიკების სახით, რომლებიც ასევე ცდილობდნენ ცრუ გმირის შექმნას. მათ დიდების მანტიით შემოსეს მამის დამსმენი პავკა მოროზოვი, საბჭოეთში იწონებდნენ ასეთ ლექსებს: მე მოვკლავ დედას, დავახრჩობ მამას, თუკი პარტია მიბრძანებს ამასო. მსგავსი რამ ხდება ორუელის დისტოპიურ სამყაროშიც, ღირსეულ ადამიანებს იქაც აკინებენ, უღირსებსა და ზედაპირულებს კი ალაზუვებენ. ოკეანიაში გაბატონებულია „უღირსობის იდეოლოგია“. ის ბავშვობიდანვე აყალიბებს რომელიც პარტიულ ბიუროკრატს, ჩაკლული სულითა და ცარიელი მზერით.

და აი, ამგვარი ანტისაზოგადოების შექმნის შესახებ, ერთ-ერთმა პირველმა, სწორედ დოსტოევსკიმ გაგვაფრთხილა თავისი თხზულებით „ემშაკნი“ რევოლუციამდე ორმოცდაათიოდე წლით ადრე.




ჯეორჯის პრინცი

შეაკაცობის იდეას დოსტოევსკიზე უკეთესი კრიტიკოსი და განმქიქებელი ალბათ არც მოეძებნება მთელს მსოფლიოში. გავიხსენოთ თუნდაც მწერლის რომანი „დანაშაული და სასჯელი“, რომლის მთავარ გმირს რასკოლნიკოვს გამოორჩეულობაზე აქვს პრეტენზია. ის მოხუცი ქალის მკვლელობასა და ძარცვაზე აგებს საკუთარ მომავალს, უნდა გამდიდრდეს და უამრავი სიკეთე გააკეთოს: გაჭირვებულებს შემწეობა აღმოუჩინოს, სტუდენტებს სტიპენდია დაუნიშნოს, ხოლო მოხუცებს — პენსია. მოკლედ, სურს, ცნობილი ქველმოქმედი გახდეს. მას მიაჩნია, რომ მიზანი საშუალებას ამართლებს. რაა ამ დიადი საქმისთვის ერთი მოხუცი მევახშის მკვლელობა? თუმცა რასკოლნიკოვი, დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მიხვდა, რომ შეცდა. ის ინანიებს და მზადაა, მთელი სიმკაცრით დაისაჯოს.

მისგან განსხვავებით „ემშაკნის“ პერსონაჟ სტავროგინს სინანული არ შეუძლია, საოცნებოც არაფერი აქვს, რადგან მდიდარიცაა და საზოგადოებას ისედაც გამოორჩეულად მიაჩნია. მასზე დიდ იმედებს ამყარებენ: დედაც (ვარვარა სტავროგინა) და მეგობრებიც (შატოვი და ვერხოვენსკი), თუმცა ნიკოლაი ყველას ღალატობს — უფულისა და ემშაკნის. ის ვერც ქრისტეს გზას ადგება და ვერც სატანის, მისგან არც მორჩილი გამოდის და არც „ცრუ მესია“, რომლის შექმნასაც სტავროგინისგან საიდუმლო სამომავლო მეშვეობით ვერხოვენსკი ცდილობს. მომავალი საზოგადოება, მისი აზრით, აუცილებლად დერადიკალური უნდა იყოს, განათლების დონე — დაბალი, მასში არ იქნება ადგილი სიყვარულისა და ოჯახისთვის, რადგან ერთიცა და მეორეც მესაკუთრეობის სურვილს გამოხატავს. ჩვენ ნავახალისებთ დამსმენობასა და გაუგებარ გაწყენილებას, ადამიანში ნიჭსა თუ გენიალობის ნებისმიერ გამოვლინებას კი ადრეულ ასაკშივე ჩაკვლავთ, რადგან საზოგადოებაში სრული თანასწორობა უნდა მეფობდესო.

ბუნებრივია, ასეთ, ცხოველური ინსტიქტების დონეზე დაყვანილ ხალხის მასას, კერპი სჭირდება, ვისაც ლოთობითა და მასობრივი გარყვნილებით გამოთავყვანებული ადამიანები ნახევარღმერთად მიიჩნევენ. „ხალხი მთვრალია, დედებიც, ბავშვებიც, ეკლესიებიც კი ცარიელი“, — ამბობს ვერხოვენსკი. აი, ეს სურდათ 70-იანი წლების რევოლუციონერებს და თავიანთ მიზანს ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც, ოლონდ დაახლოებით ნახევარი საუკუნის შემდეგ. კერპიც შექმნეს ლენინის სახით. ახალგაზრდები ეკლესიაში კი აღარ მიდიოდნენ ჯერის დასაწერად, არამედ სამოქალაქო ქორწინებამდე ლენინის ქანდაკებასთან დებდნენ ყვავილებს. მასობრივმა გარყვნილებამ და ლოთობამ კი ოჯახის ინსტიტუტი მნიშვნელოვნად შეარყია. ასე რომ, რაც ვერხოვენსკის სურდა, სულაც არ გახლდათ ფანტასტიკის სფეროდან. საქმე ისაა, რომ 70-იანებში ვერც მისი პროტოტიპი ნეჩაევი შედგა სტალინად და ვერც ლენინის მსგავსი „ცრუ მესია“ გამოიძებნა, არადა, დოს-



ტოევსკის აზრით, ბელადის შექმნის მცდელობები იყო.

— თქვენ ჩემი კერპი ხართ! — ეუბნება ვერხოვენსკი სტავროგინს და ხელზე კოცნის. ჩვენ ძლიერები ვართ, ამბობს ის. თურმე სამომს დასაყრდენი ყველა ფენაში აქვს: დამნაშავეთა სამყაროში, პედაგოგებში, იურისტებში, ჟურნალისტებსა და ლიტერატორებში, მაგრამ სტავროგინის დახმარება სჭირდებათ. უთქვენოდ არაფერს წარმოვადგენ, ნული ვარო, გამოუტყდება მეგობარს. თუმცა ნიკოლაი „ივანე უფლისწულობაზე“ უარს ამბობს, რადგან არც ცივია და არც ცხელი. ცივი რომ იყოს, მამინ ემშაკის მსახური იქნებოდა, ცხელი კი — უფლის. სტავროგინს კი საკუთარი თავის გარდა არაფერ უყვარს. მის ბუნებას კარგად სწვდება სალოსი ტიხონი, რომელიც კელიაში მისულს პირდაპირ ეუბნება: ღმერთი განურჩეველ ანუ თბილ ადამიანზე მეტად ცივისკენ იხრება, ათვისტს კი ღმერთთან მისვლის მეტი შანსი აქვს, ვიდრე გულგრილსო.

„სრული ათეისტი, — განაგრძობს ტიხონი, — იმ ბოლოსწინა საფეხურზეა, რომელიც სრულყოფილ რწმენამდე აშორებს (სხვა საქმეა, გადადგამს ამ ნაბიჯს თუ არა), გულგრილს კი არანაირი რწმენა არ გააჩნია, სულელური შიშის დარდა.“

ეს მსჯელობა სალოსსა და თავადს იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადების იმადგილს ასხენებს, ლაოდიკიის ეკლესიას რომ ეხება. ნიკოლაი სთხოვს ტიხონს, წაუკითხოს ნაწყვეტი აპოკალიფსიდან. ნიგნის მოძიება საჭირო არცაა, რადგან სალოსს ეს ეპიზოდი უპირად ახსოვს. სტავროგინი დაძაბულად უსმენს.

— ხოლო ლაოდიკიის ეკლესიის ანგელოზს მისწერე: ამას ამბობს ამინი, მოწმე სარწმუნო და ჭკუმაღრიტი, — დაიწყო სალოსმა, — დასაბამი ღმერთის ქმნილების: ვიცი საქმენი შენნი, არც ცივი ხარ და არც ცხელი; ოჰ, ნეტავ ცივი მაინც იყო, ან ცხელი. მაგრამ რაკი ასე ნელ-თბილი ხარ, არც ცივი ხარ და არც ცხელი, ამიტომ გადმოგაფურთხებ ჩემს ბაგეთაგან. რადგანაც ამბობ: მდიდარი ვარ, გავმდიდრდი და აღარაფერი მჭირდებაო, და არ კი იცი, რომ უბადრუკი ხარ და საწყალობელი, გლახაკი, ბრმა და შიშველი.

ნიკოლაი ნერვიულად აწყვეტინებს, რადგან ხვდება, რომ აქ სწორედ იმ შუალედურ, გულგრილ ადამიანზეა საუბარი, რომელთა რიცხვს თვითონაც მიეკუთვნება.

დაპირინაპული აღიარება

დოსტოევსკის რომანმა „ემშაკნი“ ვერც მწერლის სიცოცხლეში მოიპოვა აღიარება, ვერც რევოლუციამდე და ვერც ადრეულ ბოლშევიკურ პერიოდში. მეტიც, 1935 წელს ორტომეული გამოცემა დაბლოკეს. დღის სინათლე მხოლოდ პირველმა ტომმა იხილა. სტალინის ეპოქაში თხზულების ანტირევოლუციურად მიჩნევა არც იყო გასაკვირი, მაგრამ რატომ არ სწყალობდნენ მას მწერლის სიცოცხლეში და ოქტომბრის რევოლუციამდე? საქმე ისაა, რომ რომანი

დიდად არც ძველი თაობის ლიბერალ-დემოკრატებს უნდა მოსწონებოდათ, რადგან მასში იგრძნობა 40-იანელების კრიტიკაც, რომლის თვალსაჩინო ნარმომადგენელიც ტურგენევი გახლდათ. ის რომანში კარმაზინოვის პროტოტიპია. კარმაზინოვი კი იუმორისტულ ფერებშია დახატული, ცნობილი მწერალი დამამცირებლად ელაქუცება რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდებს, ცდილობს, მათ თავი მოაწონოს, ისინი კი მას არავითარ ყურადღებას არ აქცევენ. საგულისხმოა, რომ გვარს კარმაზინოვი მწერლის პოლიტიკურ ორიენტაციაზე მიგვანიშნებს (Cramoisy — მუქი ნითელია ფრანგულად). ტურგენევიც ნითლებს თანაუგრძობდა.

რომანში არის კიდევ ერთი პერსონაჟი, რომელიც 40-იანი წლების მედასავლეთეებს განასახიერებს, პიოტრ ვერხოვენსკის მამა — სტეფანე. ის არც თუ ისეთ მუქ ფერებშია დახატული. უამრავი დადებითი თვისება აქვს, თუმცა მისი უმთავრესი ნაკლი ზედაპირულობაა. დოსტოევსკი ამ პერსონაჟს მერყევ და გაორებულ ადამიანად გვიხატავს. ის მტკივნეულად განიცდის იმას, რომ რევოლუციონერთა ახალგაზრდა თაობისთვის მისი ლიბერალიზმი მიუღებელია, თუმცა არც მათ რადიკალიზმს იზიარებს. პეტერბურგში ყოფნისას, როცა თავს ჯერ კიდევ დაუარსებელი ჟურნალის რედაქტორად მოიაზრებდა, ახალგაზრდებთან გარკვეულ დათმობებზეც ნავიდა, დაეთანხმა, რომ სიტყვა „მამული“ მართლაც კომიკური და უსარგებლო იყო, რელიგია კი — მავნებელი, მაგრამ ახალგაზრდებმა ის მაინც მასხრად აიგდეს. სინამდვილეში როგორი დამოკიდებულება ჰქონდა უფროს ვერხოვენსკის სარწმუნოებასთან? მეგობრებთან საუბრისას ხშირად აღნიშნავდა: მიკვირს, რატომ მივაჩნიათ უღმერთოდ, ღმერთის მწამს, როგორც არსების, საკუთარ თავს ჩემში რომ შეიმეცნებს. რაც შეეხება ქრისტიანობას, პატივს ვცემ, მაგრამ ქრისტიანი არ გახლავართ. წარმართი უფრო ვარ, დიდ გოეთესა და ძველ ბერძენივითო.

აღნიშნული პოზიციის მიუხედავად სიკვდილის წინ მან აღსარების თქმაც მოასწრო და ეზიარა კიდევ. დოსტოევსკის აზრით, მისი ტრაგედია ის იყო, რომ საკუთარ ფესვებს მოწყვეტილმა ვერც დასავლური ფასეულობები შეითვისა, რათა ნამდვილ ევროპულად ქცულიყო, საკუთარ ხალხთანაც განწყვიტა კავშირი და, რაც მთავარია, ახალგაზრდებთანაც. ზედაპირული ევროპეიზმი კი არაფერში გამოადგა...

მამათა და შვილთა დაპირისპირება საქართველოშიც მიმდინარეობდა. თავის დროზე ილია დაუპირისპირდა გრიგოლ ორბელიანის თაობას, მოგვიანებით კი თვითონ გამოაცხადეს მტრად რადიკალმა რევოლუციონერებმა. ილიას სიკვდილის წინ თავისი კაბინეტის საშუალო მაგიდაზე გადაშლილი დარჩა მარქსის „კაპიტალი“, რომელსაც უთხვარებლად, მაგრამ არ ესმოდა, რატომც კონდა ყოფილიყო რუსი, ფრანგი ან ინგლისელი მუშა უფრო ახლობელი ქართველისთვის, ვიდრე თავადი ილია ჭაჭავაძე ან რად აცხადებდნენ მას კლასობრივ მტრად.

სამწუხაროდ, XX საუკუნის დასაწყისში თაობათა შორის დაპირისპირება სისხლიან რევოლუციაში გადაიზარდა. ბოლშევიკებმა არა მხოლოდ ილია ჭაჭავაძე, ნიკოლოზ რომანოვი და პიოტრ სტოლიპინი მოკლეს, არამედ შეეცადნენ, მთლიანად გაენადგურებინათ თავდაზნაურობა, როგორც კლასი. რუსეთი 4 მილიონამდე არისტოკრატმა და მუშაულებმა ადამიანმა დატოვა, საქართველოში კი ქაქუცა ჩოლოყაშვილის მომხრეობის საბაბით 1924 წელს უამრავი თავადური და აზნაურული წარმოშობის ადამიანი დახვრიტეს.

გულდასაწყვეტი ისაა, რომ რევოლუციურად განწყობილმა ახალგაზრდებმა ზურგი აქციეს ისეთი დიდი მოაზროვნეებისა და ჰუმანისტების აზრებსა და იდეებს, როგორებიც იყვნენ ილია ჭაჭავაძე და ფიოდორ დოსტოევსკი და მხარი დაუჭირეს რადიკალ-ემშაკებს. სწორედ ამის შესახებ გვაფრთხილებდა დოსტოევსკი თავის თხზულებაში „ემშაკნი“, რომელიც რაც დრო გადის, მით უფრო მნიშვნელოვანი და დასაფასებელი ხდება კაცობრიობისთვის თავისი რელიგიურ-ფილოსოფიური მნიშვნელობით, რადგან ის უბრალო პამფლეტი კი არაა რევოლუციონერებზე, არამედ — რომანი-გაფრთხილება.



ნინო
დარბაისელი
სტრონი

კოეზია. ორი

სენტ-ლუისში პომპეის გამოფენაზე ვნახე ჩახუტებულად გაქვავებული წყვილი. სავარაუდოდ, მდიდარი მეომარი და მეძავი. პომპეი განთქმული იყო თავისი საროსკიპოებით, სადაც ტყვე-ქალებს ამუშავებდნენ.

მეომარი:

— ამასობაში ბოლო დღეც დადგა. ვერ გადავრჩებით ვერცერთი, რადგან მთიდან დაიძრა მხურვალე ლავა! ლავამ ქვეყანა ააყირავა. გრიალით მოდის გრიგალი-ცეცხლი! სულ ოხრად რჩება ეს ოქრო-ვერცხლი. სისულელეა თურმე ყოველი, რისთვისაც ვიბრძვით, რასაც მოველით. მოკვდა, ვინც ბოლო ძალი მოიცა და ისიც, ვინაც მხდალად მოიქცა. არც გასაღწევი არა ჩანს არსად, რას მოვენიე სიცოცხლის ფასად! აქ რა მინდოდა, რამ მიმიყვანა! ფეხქვეშ მეფინა მთელი ქვეყანა... ფერფლით პირსავსეს ფეხიც მეფლობა. ვინ დააბრალა შავ ფერფლს — ფერფლობა! ქალი:

— აი, სად შევხვდით! მო, მეომარო, შენ — სასურველო ჩვენი სტუმარო! დანგრეულია ჩვენი პრიტონი, აღსასრულის წინ — ვართ უკლიტონი! ვერავინ მეტყვის, „ო, მე რომ არო“... არ გინდა ქალი? მო, მეომარო! ხომ არ ვიქნები შენთვის მეც ავი, შენ — მამაცი ხარ, მე კი — მეძავი. ბევრი იამე — ასოს დასობით, მეც — ნაამები მყავდა ასობით. რალა დროსია რიდი და კდემბა, როდესაც ირგვლივ სუყველა კვდება! მომენდე-მეთქი, რა დროს რიდია, ვერ ხედავ? — ცეცხლი ცას უკიდა. ცა ჩამოიქცა, ცა ჩამოიქცა... სად გამირბიხარ, დარჩი, მოიცა! დე, ვიდრე სული შეგვეხუთება, მოვასწროთ კოცნა და ჩახუტება!

... გაქრა პომპეი, ხვედრი წყეული ერგო, ორიოდ ათასწლეული ერთად გორავდა მართალი, ჭორი. ექსპედიცია გახევებულა, აუზიდიათ როდესაც მორი, ჩახუტებულად გაქვავებული, მორქვემ სხეული იპოვეს ორი.

ჩემი ლტოლვილი მეგობარი

მე თუ რამე მკლავს, ეს მეტისმეტი ზრდილობაა! (აქ — თუ ძალიან არ გაიცინებთ, მოწყალედ მაინც გამოიღმეთ) ნეტავი და, სულ არ მეკითხა ჩემი ლტოლვილი მეგობრისათვის, როგორ ხარ, თქვენები როგორ არიან-მეთქი.

როგორ ვარ და და აი, ასეო: გათხოვებით — არ გათხოვილვარ, რამდენიც ვინმეს მოვეწონე, ეუბნებოდნენ, კარგი გოგოა მაგრამ, იცი? — ლტოლვილიაო. ლტოლვილი — რატომ? ფეხმძიმე იყო დედაჩემი, ოცდაათისა ახლა ვსრულდები, დაბადებით — აქ დავიბადე და მეტრიკაშიც ასე — თბილისი მინერია, მაგრამ მეტრიკას, თან გადაშლილს, ხომ არ ვატარებ,

აა, დედაჩემი?! დედაჩემი — ჩემი შვილია, ორი წელია, რაც ექიმებმა დემენცია დაუდგინეს და მე მირჩიეს,

არ დაგავინყდეს, დედაშენი — ის პიროვნება აღარ არისო, მოგინვეს ახალ ადამიანთან შეგუებაო.

ვის სად გავექცე! ვეგუები. ჩემი შვილია დედაჩემი, ვბან, ვასუფთავებ, თმას ვუვარცხნი, პამპერსებს ვუცვლი და ხელით ვაჭმევ, ოლონდ მშიაო, მეორე წუთში გაიძახის, ხან კი წყალზეც პირს მიიბრუნებს.

დედაჩემი — ჩემი შვილია! ხან დაიჭინებს, რას მეუბნებით, რა — ჭიბურხინჯი, ეგ სიტყვა სულ არ გამიგიაო, იქ არ მომკვდარა ფეხაუდგმელი ჩემი ბიჭი, სხვა ქალებივით მეც სანიშნებლად დიდი ხის ქვეშ არ დამიმარხავს, არც მინვალია და დიდი ლოდი არ დამიდა, ამ ცივ ზამთარში მძიერ ნადირს სუნი არ ეცეს, მიწიდან თხრა არ დაუნყოს-მეთქი.

დიდი კაცია ჩემი ბიჭი, მთავრობის კაცი, ცოლშვილიანი, დიდ სახლში ცხოვრობს და მანქანაც ემსახურება, და ხომ არ იცი, რა ვანყენინე, ჩემს სანახავად რომ არ მოდის და არც ბავშვებს არ მაკარებსო?!

ჩემი შვილია დედაჩემი! ხან — სულ ცოტა ხნით, ძველებურად, ჭკვიანურად მოიკითხავს, ერთი, ნახეო, ქვემო უჯრაში, ბენდენაში გამოკრული მინა მიდევსო, აფხაზეთს ვინლა დამანახებს, იქაურია. როცა დამმარხავთ, გულზე პეშვით დამაყარეთო.

ჩემი შვილია დედაჩემი, ასე თუ ისე, თავი გაგვაქვს, თანდათანობით ხელში მეღევეა და ალბათ მალე გამოქრება და მე უშვილოდ გადავვებო.

ან ვიდრე შევძლებ, მე ვიქნები ჩემივე შვილი, ჩემი დედაც მევე ვიქნები, არ მეშინია. მინის ზემოთ ვის დატოვებენ! შიშით კი იმას ეშინოდეს, ვისაც ამქვეყნად სასახლე აქვს, მაგრამ იმქვეყნად ერთი კენჭიც ვერ წაუღია.

აი, ასე ვარ, მე — ლტოლვილი — სამშობლოშივე, ჯერჯერობით კი მხნედ დავრჩები, ვიდრე ასეა, ჩემი შვილია — დედაჩემი!

არ შეურიგდე!

როცა დავმორდი პირველ სიყვარულს, უცებ ვიგრძენი, რომ დედამინა დაბარბაცდა და სიმძიმის ცენტრი დაკარგა და რომ სიცოცხლე ამ სამყაროში ფეხს ვერა და ვერ იკიდებდა. გათენებული — არ ღამდებოდა, დაღამებული — არ თენდებოდა. სულ ცოტა ხანში მე დავიღალე და მოვდუნდი, მე შევეჩვიე, ბედს შევურიგდი და გავიფიქრე შეგუებაში გამონაფულმა, რომ ყველაფერი უბრალოდ, დროის ამბავია.

როცა დავმორდი ჩემს სამშობლოს, უცებ ვიგრძენი, რომ დედამინა დაბარბაცდა და სიმძიმის ცენტრი დაკარგა და რომ სიცოცხლე ამ სამყაროში ფეხს ვერა და ვერ იკიდებდა.

გათენებული — არ ღამდებოდა, დაღამებული — არ თენდებოდა. სულ ცოტა ხანში მე დავიღალე და მოვდუნდი, მე შევეჩვიე, ბედს შევურიგდი და გავიფიქრე შეგუებაში გამონაფულმა, რომ ყველაფერი უბრალოდ, დროის ამბავია.

უკრაინაში როცა პირველად ომი დაიწყო, უცებ ვიგრძენი, რომ დედამინა დაბარბაცდა და სიმძიმის ცენტრი დაკარგა და რომ სიცოცხლე ამ სამყაროში ფეხს ვერა და ვერ იკიდებდა.

გათენებული — არ ღამდებოდა, დაღამებული — არ თენდებოდა. სულ ცოტა ხანში მე დავიღალე და მოვდუნდი, მე შევეჩვიე, ბედს შევურიგდი და გავიფიქრე შეგუებაში გამონაფულმა, რომ ყველაფერი უბრალოდ, დროის ამბავია.

სხვა რა გზა რჩება სუსტიანთის? ერთს გაიბრძოლებ და თუ მორევა არ შეგიძლია, რაც არის არის, შეურიგდები, მაგრამ, მსოფლიოვ, ყოველწამიერ დროს იმდენი სიკვდილი მოაქვს, მტერს კი ვერაფერს შეაგონებ, რადგან გონიდან გადასულია.

გესმის, მსოფლიოვ? შენ ძლიერი ხარ, მსოფლიოვ, დავდგეთ ყველა ერთად: თვით უსუსტესიც, სუსტესიც, ძლიერესიც, უძლიერესიც, ვიბრძოლოთ ერთად, ვისაც რითი შეგვიძლია, ნუ დავიღლებით, ნუ მოვდუნდებით, ნუ შევეჩვივით, და ნურასოდეს შევეურიგდებით!

ინტარმისია

ხმაკრიალა ვიოლინომ ჩელოს ჩააბარა ბანი. აი, დარდი, თუ მრავლობენ იუდანი, ბარაბანი!

არა — დოლი, დოლი — არა! გული არის ბარაბანი და ხმიანობს წარამარა ფრთების ოფლში განაბანი.

მე ვარდები მომელიან, თანაც ერთი-ორგან ია, აქ ბასუნი — რომელია? ეს ვენები — ორგანია.

ო, მატრო, ნუმც მომასწრო იმ დღეს, როცა არ ვიქნები! ცათა შინა კი არ წავალ, აქ ჰანგებად დავიქნები.

ო, მსმენელებს ალბათ სურდათ, ამ დარბაზში დაესვენათ, გადაიქცა ყველა სმენად, მთლად სამყარო იქცა ვენად, ამ ბარბერმა გაუბერა, თავი გაიბეთჰოვენა!

სადაც რამე გულს ეხება, ყველგან ისმის ბეთჰოვენი. მე ბეთჰოვენს, მე ბეთჰოვენს ვერასოდეს ვეთხოვები!

ორკანსტრი. პაუზა

ფრანგულ საყვირებს, ნერწყვით ავსებულს, მუხლზე ირტყამენ ორკესტრანტები. სძინავს პიკოლოს ისტერიულს, და კონტრაბასთან აბასად დინჯი ბასუნი. ვიოლინოსთან ისმის ვიოლა, ვიოლამ საქმე გააიოლა.

მე გიმეორებ: — ის, რაც კარგია მუსიკაში, პოეზიაა. მხოლოდ მან იცის, რას განიცდის ნამსვლელ-დამრჩომი.

რომელი უფრო საბრალოა, იკითხა ვინმემ? — დამრჩომისაა გული იგი პოეზიისა, ტირის უგონო, იქნებ კენესა შენ გაუგონო; ნამსვლელისაა გონი იგი, გონი უგულო, არ დაედევნო, ცივი ცეცხლით გადაბუგულო!

თუკი ნასვლაა, ნასვლა უნდა იყოს ასეთი: უცებ ადექი, დაგუბებული — ლოყების ბერვით, ამოიუნთქე, ხმა აღარ დაძრა, შეტრიალდი და გაეშურე!

წყალმა წაიღოს და მენყერმა გადაუაროს, რაც წინ მიმავალს უკან დაგრჩება. ხოლო ვინც გრჩება, დაე, ჰქონდეს იმას კუნძული, პალმის ხეებით, ზეთისხილით, მწვანე მდელოზე მონანკარე ალმასებით, ბატკნით და ეჟენით, ხოლო დროდადრო, ღამლამობით, ციურ მანანას რომ ჩამოთოვს, შემდეგ თოვამდე სავსე ჰქონდეს გობი და ქვაბი.

ცხოვრება ჩვენი — გაძლებაა. უძლებ, თუკი ხარ ადამიანი და თუ მხეცი ხარ, აქეთ გიძლებენ. თუ ანგელოზი — ზემოდან უნდა დასცქეროდე, როგორ უძლებენ და ვერ უძლებენ სხვები ერთმანეთს. სამივე ერთად შენში თუა — ვინმე სხვას არა, უნდა ადგე და საკუთარ თავს თავად გაუძლო...

ჰოდა, მეც ვუძლებ და ნურავის ნუ გენყინებათ, როცა უეცრად გავექცევი თავქუდმოგლეჯით, რადგან ცხოვრება ერთი გაბმული გაძლებაა, მაგრამ გაბმული როცა ძალიან დაიჭიმება, გასანყვეტად როცა წკიპზეა, მაშინ ცხოვრება — გაქცევა და გადარჩენაა.

აი, ამ ერთხელ კიდევ გადავრჩი! წინ — მზერავ ჩემო! ყურო ჩემო — ახალ ხმას მიჰყევ! დაე, დროდადრო გამოცდილი პერკოშენისტის მოზომილობით ნიავს მოჰქონდეს სუნთქვა შორი, ნანწკარი, „მე- ეეე!“ ჩამოდგეს ჟამი და ჟღარუნობდეს ტამბურინზე კიდევ ეჟევანი!

ბამბის ნაყინი

ნეტა ეს რაღა სახელიაო, სად ნაყინი და სად — ესაო? ცისარტყელას მთელი სპექტრი შიგ რომ ერიოს, უბრალოდ, რაღაც თბილი არისო, თბილი და ტკბილი, ნაყინი კი ვერ იქნებაო.

მინდოდა მეთქვა, მენაყინენი თბილის-ქალაქში მთელი კვირა რომ ნაყინის ყუთს დაატარებდნენ, უფროსები არ ყიდულობდნენ, სუსტი ყელი გაქვს, სიცხეს მოგცემსო, კვირის ბოლოს კი ერთი დღე იყო, ერთადერთი, პარასკევი, ბამბის ნაყინის ჩამოტარებით გულს გვიხარებდნენ. მერე რა, თუკი მშრალად მბოლავი რაღაც ყინულის სანატრელად მყრალი სურნელი ყიდვისას და ყუთის ახდისას ცხვირში ჩვენ არ გვეძგერებოდა! ის სურნელი სხვებისა იყო, ყელმაგრებისა, ცივი ნაყინის ამტანებისა, ჩვენ კი გვერგუნა — ბამბის ნაყინი.

განეპილ თითებს განეპილივე ენის ნვერით რომ ვილოკავდით, განა გვესმოდა, განა ვინმე დაგვაჯერებდა, ორგანიზმისთვის სასარგებლოს რომ არ შეიცავს იგი არაფერს

და ნახშირწყლების ამ დიდ საბადოს მეტაბოლიზმი ცხიმად გარდაქმნის და მუცელ-თეძო-ბარკლეულში ფენა-ფენა ნაზად გვილაგებს; ცუდ ქოლესტერინს ეხმარება, სულ მალლა-მალლა აინიოს, მთელ სისხლძარღვებში ჩახერგოს ყველა მოსახვევი თუ გასასვლელი, ათასნაირი ტრომბოზების წერა გაგხადოს

შენ თუ ნახვედი, რა აზრი აქვს ან გაციება-გაცხელებას, ავად გახდომას ან კარგად ყოფნას? შენ თუ ნახვედი, რამე ახალ აზრს გამოვიგონებ, გულში ცარიელ ორმოს დიდხანს არ დავიტოვებ, ყოფას მოვირთავ საარაკოდ, ათასერთ რამეს მოვიფიქრებ, საკუთარ თავთან დამტოვებ რაკი. შენ თუ ნახვედი, დავრჩები ისე განბილებული, როგორც ის ბავშვი, ხვეწნა-ხვეწნაში გულგრილმა თუ დაღლილმა მამამ ხურდის მიცემა ძალიან რომ დაუგვიანა, მერე თავქვეზე კი გამოიქცა, სულს ძლივს ითქვამდა, მაგრამ ნაყინის მოტოციკლეტი იქ აღარ იდგა, ნასულიყო და შავი ბოლი თრახთრახით რომ მოიქნია ბუზისტოლამ შორ მოსახვევში,

ერთი დღით, არა, ერთი კვირით, არა, მთელი ერთი სიცოცხლით ნავიდა და თვალს მიეფარა. მე შევცქეროდი და გავიფიქრე: თუ დაგვიანდი, რა აზრი აქვს, ფულიც რომ გქონდეს. ფულიც რომ გქონდეს, ვერ გიშველის, თუ რაც გინდა, არ იყიდება. მაშინ იმხელა არ ვიყავი, ფიქრს რომ ამაზე ღრმად ჩავყოლოდი, ახლა ცოდნა კი რაღა დროსია!

იქნებ ცხოვრების ქარიშხლებით გადაქანცულის გადასარჩენი სიყვარულია ბამბის ნაყინი: ტკბილი და თბილი, უფაფუკესი, ზოგჯერ ნაზადაც შეფერილი, ვეებერთელა, მაგრამ მსუბუქი, ნებადართული

ვინ დაგაჯერებს, ორგანიზმისთვის სასარგებლოს რომ არ შეიცავს იგი არაფერს! დე, როგორც უნდათ, იმეორონ:

ნეტა ეს რაღა სახელიაო, სად სიყვარული და სად — ესაო? ცისარტყელას მთელი სპექტრი შიგ რომ ერიოს, უბრალოდ, რაღაც თბილი არისო, თბილი და ტკბილი, სიყვარული ვერ იქნებაო.

ცნობადი კაცის გასვენება

ცნობები და ნაცნობები, სნობები და ნასნობები!

მუსტანგი

ამერიკაში ცხენი პირველად მაშინ ნახეს, ესპანელებმა რომ ჩამოიყვანეს. ნამსახურევი ცხენის თავისუფლად გაშვების ნაყოფია გაველურებული ცხენი — მუსტანგი. ამჟამად მათზე ნადირობა აკრძალულია, კანონი იცავს, ადრე კი იჭერდნენ და გახედნილებს ისევ ცხენებად იყენებდნენ.

მუსტანგო პატარავ, ოფლიან ქოჩორქვეშ გიჟურად გიელავს ავსული ალები, რა ოფლის ბულია, ირგვლივ რომ ტრიალებს — შარდული სიმყრალე და ნესტოებიდან ვნებურად მქშინავი

ეგ ცხელი ნასუნთქი! ტანი მოცახცახე, ხელის შეხებაზე გვერდით რომ გახტები!

არ გინდა, მუსტანგო? — ტანგოს მუსიკაზე შენი სასურველი ყელგადაგდებული ზედ გეკიდებოდეს, ალი ედებოდეს, ოდეს მოფართხალე სრიალით ლაქქვეშ შემოდრომას ლამობდეს, ზედვე გაკვდებოდეს?

დრო როცა განცხრომით ატარე, რეატა არის თუ რიატა,

უეცრად კისერზე მოგედო, ასე დაგიჭირეს ლაზოთი, ლაზათი შენსავით ვინ იცის ცისკარზე ჭენების! ნებისად ბალახის მძოველი ველად დალევ ნამს და ჯოგის დამკარგავი ავად იარები და არ უბრუნდები გადავლილს. ვინ იცის, ვისი ხარ ნადავლი!

აქ ძველი წესია ცხენების გაშვება, შინაურ ცხოველთა გაგარეულება და მერე გარეულ რემათა მიგნება. ნება ნაშეერთა — ერთად კი არა და მარტო ხეტიალი და ბედი ტიალი, ხიფათის ცემა და დაცემა შენსავით! ავით შენს გახედნას შეიძლებს ვერავინ და ნელა გიჩვევენ, ვიდრე ზურგს მიუშვერ ვერაგებს.

ო, შენი ძარღვები ვეება, კუნთები — ნეკნების მომჭერი, კისერი, სერი კი — ნაშანთი უცნაურ ნიშანთა!

მუსტანგო! არ გინდა? — დაგინდო და ისევ გაგიშვა თავნება, ვნებათა ელვარე არე ვლე ჭენებით, შვებაა! როგორი შვებაა თავის გაბავშვება! მე გიშვებ, მუსტანგო!

თოვს

ყინვისაგან ლოყებდაბრანული ნათხოვარ ციგას თხისქონით რომ ძირს ვუპოხავდი, ხელთათმანებში და სველ ჩექმებში გრძნობადაკარგულ თითებს ძლივს რომ ვამოძრავებდი, მამიდაჩემი მეტყოდა ხოლმე:

— ეს რა თოვლია, ნამდვილი თოვლი ჩემს ბავშვობაში უნდა გენახა — და იმაზედაც უფროსები მეუბნებოდნენ, ეს რა თოვლია, შენ ჩვენი უნდა გენახაო!

თოვს მთელი ღამე, მაგრამ როგორც თოვს, არასოდეს ისე არა დებს, როგორც არა წვიმს ისე, როგორიც ქუხილია და დილის თოვლი შუადღეზე — ტალახია, ღამით — ყინული. თუ კიდევ მოთოვს — — საშიშია ყინულზე თოვლი.

ბავშვები ნაძვებს ქვეშ უძვრებიან, ტოტებს ზედ თავზე იბერტყავენ, თოვლში წვებიან, გორაობენ, გადმოგდებული ენის წვერზე ფიფქებს იდნობენ, ცინგლი ჩამოსდით ცხვირიდან და მაჯით იწმენდენ, რამდენი მივა შინ წითლად ლაჯებგამომწვარი!

რა თაობაა! — სრიალი უნდათ, ციგის ატანა — ეზარებათ, მე მოკლე-მოკლე ნაბიჯებით აღმართზე ამაქვს და რომელიმეს ვეუბნები:

— ეს რა თოვლია, ნამდვილი თოვლი ჩემს ბავშვობაში უნდა გენახათ!

ჰო, ბავშვობაში, ჩვენს ბავშვობაში! არასდროს ისე აღარც ითოვებს, როგორც თოვდა ჩვენს ბავშვობაში.

თოვს!

ბაჩო

ვაგონი, ზაფხულის ვაგონი! მეტოქეს ვილაცა ვეგონე, უგონო! ვერარა ვაგონე, და ველარც ვუგანე, ვიგინე, ვაგინე! ვაგინი, შენკენ გზას ვაგინი. ღამეა, ვაგინა, ვაგონი! ჩემია, ჩემია ვაგინა! ვა, გონი!

ცოტნე

ერთ დილას, როცა ნახევარ ქალაქს ჯერ ისევ ეძინა, მეორე ნახევარში ხმა გაგარდა, გიჟ როსტომას უშვებნო და შუადღეს მთელი ქალაქი ცენტრალურ მოედანზე შეკრებილიყო. იქ კი იმითომ, რომ ყველამ იცოდა, სადაც ცხოვრობდა. გელათის ქუჩა უნდა აეგლო. მართალია, სხვანაირადაც შეეძლო მისვლა, მაგრამ მეტი საქმე არ ჰქონდა გიჟ როსტომას, მაგაზე შეენუხებინა თავი და ხალხისთვის თავის არიდება ეცადა. ჰოდა, იდგა ასე მთელი ქალაქი თეატრის კიბეებთან, თითქოს ბეკეტის პიესას ელიანო. ისე, კაცმა რომ თქვას, ასეთი ამბისთვის ზედმეტად ჩვეულებრივი დღე იყო.

იმის ამბავი მაკასგან ვიცოდი. მეგობრობდნენ და მაკაც თავისებურად მიყვებოდა, სხვანაირად. „იყო და არა იყო რა, და მაინც იყო, იმის მიუხედავად, რომ როსტომას, ალბათ, მეორე ერჩია“, მიაშობდა ასე, „და იქნებ არაფერი დანაშაულებრივი, პირდაპირობისთვის თავის არიდებას თუ ეცდებოდა. ბავშვობიდან ჯიუტი ყოფილა, თვითონ მითხრა. ასე, და ერთხელ, სკოლის დამთავრებამდე ერთი წლით ადრე, ქართულის გაკვეთილზე მასწავლებელს უთხრა, „ვეფხისტყაოსანი“ არ მიყვარსო. მაშინ რა იცოდა, უფლება თუ არ ჰქონდა! განაცუდიანო, მაგარი არააო, რამე უკეთესი შეგვიქმნიაო. არა, უბრალოდ — არ მიყვარსო. ასეა, ბატონო, ნამოსცდა ერთხელ როსტომას, აქ დაიბადე და მორჩა, დედის საშობიდან გამოძრომის წამიდან მოგესაჯა „ვეფხისტყაოსანი“, შენი უპატრონოდ მიგდებული ქვეყნის, რქანთლის, შურიანი მეზობლისა თუ უტყვიო ნათესავის, და საერთოდ, ყველაფერი აქაურის სიყვარული! ის თქვა თუ არა, მასწავლებელმა ეჭვის თვალით გახედა, კლასელებმა ბოროტად ჩაიციინეს, დირექტორმა გაკვეთილის დამთავრებამდეც კი ყველაფერი იცოდა და მთელი სკოლა იმაზე ლაპარაკობდა. როცა ზარი დაირეკა, როსტომი უკვე გიჟი როსტომა იყო, ერთხელ და სამუდამოდ!“

მეორე მისვლაზეც იგივე მელოდა, ისტორიები ერთადერთ მეგობარზე. — თავიდან, მგონი, ბრანდებოდა კიდევ. მერე და მერე მიეჩვია. მე სულ როსტომს ვეძახდი, ამიტომაც დავმეგობრდი. საერთოდ აღარ მეპიტნავებოდა იმის ამბების მოსმენა. რა მექნა. თავს ვაჩვენებდი, თითქოს დიდი გულისყურით ვუსმენდი. — აღმოსავლეთიდანაა, — გააგრძელა მაკამ, — ზუსტად არ მახსოვს, რა ჰქვია მაგის სოფელს. ჩვენთან სანამ გაიგებდნენ, როსტომს ეძახდნენ, მერე როსტომა გახდა, ბოლოს კი, იმ ამბების შემდეგ — გიჟი როსტომა. აი, მეტამორფოზი. აქ გამოკეტეს და ყველაზე დიდი ხნით ის შემორჩა. რა გასაკვირია.

ამას რომ ჰყვებოდა, მე კი უკვე თითქმის ზიზნარევი თვალებით მივმეტრებოდი, მაშინ დავინახე პირველად. მაღალი იყო, ძალიან მაღალი, ორ მეტრამდე მაინც იქნებოდა. მერე, როცა მოედანთან ჩამოიარა, ელდა მეცა. თურმე როგორ შეიძლება, ადამიანი ორ წელში შეიცვალოს-მეთქი, გავიფიქრე. მაშინ კი ჯერ არც წელში მოხრილიყო, თმაც შავი და ხვეული ჰქონდა. აგვიანებდა, თუმცა მაინც გამოჩნდა. სად წავიდოდა! ჩემგან განსხვავებით, ბევრს ჯერ კიდევ ბავშვი ახსოვდა. მაინც ძლივს ამოიციენს.

— რამდენი შეკრებილხართ, რამოდენა პატივია.

ეს რომ თქვა, ყველა გაიტრუნა. რალაც ბოროტად, ავისმომასწავლებლად გადახედა ერთიანად გარინდულ ხალხს. სხვა არაფერი უთქვამს. წავიდა. გელათის ქუჩის აღმართს რომ მიუყვებოდა, წელში კიდევ უფრო მოხრილიყო. მშვიდი, თანაბარი ნაბიჯით მიდიოდა. ვერაფერს ვხედავ, უკან გაწყლოდა. მხოლოდ მერე, რამდენიმე საათის შემდეგ, როცა დაძინებას აპირებდა, მოულოდნელად დავადექი თავზე.

ეს რომ მაკას ენახა...

იყო ქალაქი. იყო როსტომი, გიჟი როსტომა. და ყველამ ყველაფერი იცოდა, სუუულ ყველაფერი.

ოთახი დალაგებული იყო. მე მაკას სიტყვები გამახსენდა: „იყო და არა იყო რა, და მაინც იყო, იმის მიუხედავად, რომ როსტომს მეორე ერჩია“.



ოთარ გოგალაძე

იყო და არა იყო...

კუძღვნი ანამარია

— აქა მშვიდობა, — ნამოვიძახე სულე-სულად.

— კი, აბა.

თავიდანვე მაჯობა.

— არ მინდა, თავი მოგაბეზროთ. ისე, ერთი-ორი შეკითხვა მაქვს, თუ არ შენუხდებით, რა თქმა უნდა.

— ცოტნე, ხო?

— საიდან იცით?

— ნიჭი მაქვს, — გადაიხარხარა, — ერთხელ თუ დავინახავ ადამიანს, არასოდეს მავინყდება, თქვენ ორჯერ განახეთ, მაკასთან.

— ჰოდა, რა მოხდა? ერთადერთი ადამიანი ხართ, ვინც შეიძლება, რამე იცოდეს. ჩემთვის ეს მნიშვნელოვანია.

— მნიშვნელოვანი! მე არაფერი ვიცი, — მომიჭრა მოკლედ, უცერემონიოდ. ყველანაირი იმედი გადამიწურა.

— რა უნდა ვიცოდეთ?

მოვიდა და დამემშვიდობა. ჩვეულებრივ მხიარული, თუ ალგზნებული ჩანდა, რაც არც ისე კარგად მენიშნა. ეგ იყო და ებ.

— ტყუილად გაისარჯეთ, არ უნდა შეგეწუხებინათ თავი, მართლა არაფერი ვიცი. მნიშვნელოვანია, ხო? ისე, ჩვენში დარჩეს და, ხომ არ გგონიათ, რომ ადამიანები ერთმანეთს არასათანადო ყურადღებას ვაქცევთ? არ ფიქრობთ, რომ სულ სადღაც გვეჩქარება? მაშინაც კი, როცა ნასასვლელი არსად გვაქვს! ხომ არ გადავეჩვიეთ პირისპირ მუხვედრებს, ღიმილს ძველი, კარგი მეგობრის დანახვისას, ცრემლებს — ძვირფასი ამბების დასრულებისას? თქვენ, აქ, ისედაც არაფრისმოძებნე წვრილმანებს მეტად აწვრილმანებთ. ხო, ბუზს სპილოდ აქცევთ, როცა ნამდვილის სპილო ჭიანჭველადაც არ მიგაჩნიათ. ახლა ადექით და გააჯვით აქედან, უგულო, გაბღენძილო კაცო.

რა მინდოდა, ვინ მექაჩებოდა?

ამ ამბიდან ერთი კვირის შემდეგ, ისე, რომ საერთოდ არ ვფიქრობდი მაკაზე, ერთი უცნაური აზრი მებადებდა... სულერთი იყო: რიონი იქნებოდა, მტკვარი თუ სენა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, ნითელი ხიდი იქნებოდა, მშვიდობის თუ მირაბოს. ხიდი ხიდა, მდინარე — მდინარე. ახლა მარტო ის მახსენდება, რომ მაკა თავიდანვე უკმაყოფილო ჩანდა. არ უნდოდა თბილისის დატოვება. საკუთარი სახლის, სადაც მთელი ცხოვრება გაატარა. მით უმეტეს, იმ ბინის გაყიდვას ვერ ეგუებოდა. ყველაფერი სახეზე ეწერა, თუმცა არაფერი უთქვამს. და რადგან ცხოვრებაში ყველაფერს უკუღმა ვაკეთებ, აქაც ასე გამოვიდა. საცხოვრებლად თბილისიდან ქუთაისში გადავედი. მერე და რა ადგილი შევარჩიეთ, აქაც მე ვივაჟკაცე. ავიტყე, გინდა თუ არა, გარეუბანი აჯობებს-მეთქი. ცენტრი რომ არ მინდოდა, იმიტომაც ნამოვედი თბილისიდან.

იქ კიდევ ყველგან ცენტრია, ხმაურია, სიბინძურება. ასე იყო თუ ისე, ბინა იქ ვიყიდეთ. საცხოვრებელი კორპუსები მხოლოდ ცალ მხარეს იყო, მოპირდაპირე მხარეს კი ეკლესია და სასაფლაო.

საერთოდ, მაკაზე იშვიათად ვფიქრობ, თითქმის სულ გადავეჩვიე. გადავეჩვიე შენზე წერას, შენს სიკვდილზე. მეპატიება, ალბათ... დღეს განსაკუთრებით არ მინდა ამაზე ფიქრი, რადროს ეგაა, ნუცა სრულწლოვანი გახდა. დილით, ადრინადა, ფინჯანი ყავისა და ტრადიციულად — ზედიზედ სამი ღერი სიგარეტის შემდეგ, სახლიდან გამოვედი და მას შემდეგ საჩუქარზე დავუხეტი. ჩემზე უფანტაზიო ადამიანი არ მინახავს. რუსთაველის ხიდზე სწრაფი ნაბიჯით გადავდივარ. დაფიცებული მაქვს, მარჯვნივ არ უნდა გავიხედო, ჯერ არა! რამდენჯერაც ამ ხიდზე გადავალ იმდენჯერ მეკვირება უცნაური აზრი, რომ ქუთაისის სიმბოლოების ქალაქია. უფრო სწორად, თავად ქალაქია ერთი დიდი, დატვირთული, პირთამდე საესე და ჯერ კიდევ ამოუცნობი სიმბოლო. რუსთაველს რომ გადახვალ და გალაკტიონზე ჩაუხვებ, აბა, მაგას რა დავარქვავ?

გალაკტიონიდან სწრაფი ნაბიჯით გრიშაშვილის ქუჩაზე ვუხვებ და ის არის, დუმბაძეზე უნდა გადავჭრა გზა, ძველ ნაცნობს ვახყვებ. ვინ გამაცნო? ვერაფრით ვისხენებ, წარმოდგენა არ მაქვს. მაგარი რთული ამბავია ამის გახსენება ისეთ ქალაქში, როგორშიც ახლა მე ვცხოვრობ. ყველა ყველას იცნობს, ჩახვალ, ერთს გადაეყრები და დაგენძრა! ის ერთი მეორეს გაცნობს, მეორე მესამეს და ასე, დაუსრულებლად:

— ვაა, ზდაროვა, ცოტნე.

— თვალზე რა დაგემართა?

— ვიჩხუბეთ, — მერე თითქოს თავს იმართლებსო, ხმას უმაღლებს და ისე აგრძელებს, — იმათი ბრალი იყო. დღეს ვნახავთ და მიიღებენ როგორც წესი და რიგია. ჯერ დავილაპარაკებთ.

— კაი, კოდალა, მეჩქარება მე.

ვინ შეარქვა ეს სახელი? ვინც არ უნდა ყოფილიყო, მეეჭვება, საერთოდ კოდალა ერთხელ მაინც ჰყავდეს ნანახი.

— არ ნამოხვალ?

— არა, სპასიბა. წესი და რიგო, ხო?

საერთოდ ვინ ადგენს ან შეადგინა ეგ წესები? ვაბზე, გილირთ? დაიკიდეთ-მეთქი, ეგ არ მითქვამს. აი, დავილაპარაკებთო და აპატიეთ, დიდსულოვნების პონტში.

— ვაა, — გადაიხარხარა კოდალამ, — ვინ ვის პატიობს დღეს რამეს, თუ ჩემი ძმა ხარ, მართლა გჯერა კიდევ ეგეთებს? აი, გრეისი იყო მაგარი, იმენა ჯიგარი! გრეისი, რა. „დოგვილი“ არ იცი, შეჩემა? ბოლოს ყველას რო გადაატარა. შენ კიდევ რალაც ზღაპრებში ხარ. მიდი, აბა, მეორე ლოყა მიუშვირე, რა გგონია? ორჯერ გაგარტყამენ.

მართალია, რას ერჩია.

— არა, არ ვიცი. კაი, კოდალა, წავედი, მეჩქარება. იფიქრე მაინც იმაზე, რაც გითხარი, ნუ იჩხუბებთ. ისედაც ყველგან სევდიანი ამბებია, ყველა დაგრუზულია.

— ბოლოს როდის განხე მე შენ? ხო, მეც არ მახსოვს, მარა მაგარი აგორევი. რას მიედ-მოუდები! სევდიანი, თუ იცი, რა არი? დაიცა, რა ჰქვია? ა, ხო. კანჯი ვატანაზე რო საქანელაზე ზის ბოლოსკენ და მთელი გულით მღერის, ე, მაგი. რა იყო, შეჩემა, კუროსავაც არ იცი?

— დრო არ მაქვს, ხო ხედავ, ახლაც გავრბივარ. თუ რამე, დამირეკე. კი არ მეშინია.

როგორც იქნა, თავს ვიძვრენ და მიეყვები დუმბაძის ქუჩას. რამდენჯერ გამივლია ამ ქუჩაზე! ორმოცდაათჯერ? არა, ალბათ ბევრად მეტი იქნება. ჰოდა, მხოლოდ ახლად ვამჩნევ, ასიოდ მეტრში, მარცხენა მხარეს ლამაზი, აგურით ნაშენები სახლია. ამ სახლზე კი შემორჩა დაფა. თურმე, 1936-1954 წლებში თვით ჯემალ ქარჩხაძე ცხოვრობდა ამ სახლში. ნეტა კოდალას თუ წაუკითხავს „ზებულონი“, ან „ქარავანი“.

მე მაინც ვფიქრობ ნუცაზე; ნუცაზე, რომელიც უკვე დიდა და თავში ათასგვარი ფიქრი უტრიალებს (მათ შორის ისეთებიც, რომელთაც ვერ მიმხვლეს), და სადაცაა ნავა. მნიშვნელობა არ აქვს — სად. ნუცაზე, რომელიც ჩემგან მალულად სიგარეტს ეწევა, მაგრამ უკვე ერთი ნელია, ვიცი, რადგან სუნს ვერ ფარავს და, ცოდავ გამხელილი სჯობს, მის უჯრებშიც ვიქექები. არადა, მთელი ცხოვრებაა, მოსწავლევებს ვმოძღვრავ, რომ სხვის ცხოვრებაში ცხოვრის ჩაყოფა, როგორც მინიმუმ — უზნეობაა. სინდისის ქვენჯნას თუ განვიცდი? არა. ყველაზე მეტად ეს მაფიქრებს. ერთხელ, მეგობარმა მკითხა, ნეტა ღმერთს სინდისი ქვენჯნის ხოლმეო? უეჭველია, სინდისიც ქვენჯნის, იუმორიც აქვს და ცრემლებიც სდის ძალიან ხშირად. ახლა უკვე ვგრძნობ, ჩემი აუტანელი ფიქრების მსგავსად, როგორ მამძიმებს ზურგჩანთაც, რომელსაც არასდროს ვიშორებ და სადაც საგულდაგულად ვინახავ დილით ნაყიდ სუნამოს. ჰო, და კიდევ, იქვეა რემარკის „სამი მეგობარი“. ვერ ვიტან რემარკს. სამაგიეროდ, ნუცას უყვარს რავიკის და ჟონანის ამბების შემდეგ. კაცმა რომ თქვას, რა დამიშვა ამ რემარკმა, იმას თუ არ ჩავეთვლი, ყველა წიგნი ერთნაირი რომ დანერა!

სტუმრები სალამოს მოვლენ. დრო ხომ უნდა გავიყვანო. საიდან იბადება ასეთი აზრები: მაკას საფლავი უნდა ვნახო... ეს არ იყო კარგი აზრი: სასაფლაოზე ამოსვლა წვიმაში. წვიმა მატულობს. და არც ისე ახლოსაა ის მტკვრისპირა, იაფი სალუდე, სადაც ყოველთვის გპოულობდი, როცა სახლში არ იყავი. „მაკა, გოგო“, ვუბნებდი იმას, ვინც საფლავის ქვიდანაც ისევე ჯიუტად მიყურებს, როგორც სიცოცხლეში იცოდა, „დიდი ხანია, აქ აღარ მოვსულვარ. ისიც ხომ გესმის, ხანდახან სახლიდან რო გელაპარაკებ? შენ აზრზე არ ხარ, ნუცა როგორ გგავს... თუ ხარ? მანდ რა ხდება; საერთოდ, ხდება კი რამე? მაგრად დამალა სამსახურმა. მთელი წელი ერთსა და იმავეს ვლაპარაკობ, ვასწავლი. ნუცაზე ბევრი რამე სჭირდება. წელს აბარებს. ხო უნდა ვარჩი-

ნო? მშობლის ამავს ვერ გადაიხდის შეილო, პირველად ვინ თქვა? აი, სისულელე. პირიქითაა ეგ. მე ვერ გადავიხდი სამაგიეროს ვერასდროს იმისთვის, რაც ნუცამ მაგრძობინა. ვინ ვიყავი მის დაბადებამდე? არავინ, არარაობა. იმ დღიდან ვინ ვარ და — ღმერთი. მკრეხელობა არა ის! გახსოვს რა სიტყვას ვერ ვიტან, ხო? ვალდებულება... მომკალი და ამას აკედება. აი, შვილის წინაშე კი ვალდებულზე ოდნავ მეტი ვარ და ვიქნები სულ. რაზე გელაპარაკები! რა და იმის თქმა მინდა, თუ აქაურობას მოვეშვი, დავნებდი, მორჩა. შენ ხომ მაინც იცი, მანძილი კლავს ყველაფერს, ნებისმიერ გრძობას, რა ძალისაც არ უნდა იყოს. ყველაფერს მოვიკლებ: მთელი კვირა არ შეეჭამ, მთელი წელი გამოუცვლელად ვივლი, მაგრამ ნუცას ვერ დავკარგავ. მართალი თქვა როსტომმა, შენ ხომ დავკარგე, საკმარისია...“

ნასვლის დროა. დიდი ხნის წინ უნდა ნავსულიყავი. სახლში უკვე ყველა მთვრალია, ალბათ. შეიძლება, ნუცამაც დალია. რა მოხდა, უკვე სრულწლოვანია. ვერ ვეგუეები. თითქოს არ ვიცოდი, ეს დღეც რომ დადგებოდა. ჯობია, სულ არ მივიდე. მგონი, მართლაც უკეთესი იქნება. არც სადღეგრძელოები ხასიათზე ვარ, მთვრალეები მაინც არ უსმენენ ერთმანეთს. სად მეჩქარება, ხვალ მივცემ საჩუქარს. ამ ღამეს ვინმესთან გავათევე, ან სულაც ღია ცის ქვეშ. მაინც არ მეძინება.

რა აღარ ვთქვი მაკას საფლავთან. ის კიდევ ცარიელი იყო, ვის ველაპარაკე? ხო, ლამის დამავინწყდა. მაკას ცხედარი ვერ ვიპოვეთ. ხუთი დღე ეძებდნენ. იქნებ ცოცხალია?

ნუცა

„ძვირფასო, ღმერთო, ეს მე გწერ — ნუცა. კარგად ვიცი, ამას ვერ წაიკითხავ. მაღლე მეშვიდე კლასში გადავალ და უკვე დიდი ხანია, აღარ მჯერა ასეთების. მაინც გწერ, მეც არ ვიცი, რატო. ალბათ იმიტო, რომ მინდა, დედას დაეხმარო. ერთი კვირაა, ჩამოვიდა და ვეღარ ვცნობ. სახეზეც კი ვერ ვცნობ, სახელი მახსოვს მხოლოდ. ისე სულ სხვა ადამიანია, მე ასე მეჩვენება. განა შეიძლება, უცხოეთში ორწლიანმა ცხოვრებამ ასე გამოცვალოს ადამიანი? რა ვიცი, მამა ამბობს, უცხოეთში იყო. უცხოეთში თუ იყო, რატო არ რეკავდა? შენ გეცოდინება, ღმერთო. თუმცა როგორ მომწერ...“

მგონი, მამა ვერ ხვდება, რო დედას რაღაც დაემართა. თვალეები არ უნდა სტიკოდეს, იტირა ალბათ. ორი წელი მენატრებოდა დედა. ნეტა მასაც მოეწონებდა? რაღაც არ მგონია, ერთხელ ჩამეხუტა და მორჩა. ადრე სულ მეხუტებოდა.

მთელი დღეები სადღაც დადის. ნავა, ნავა, დადის. მერე გვიან ღამით ბრუნდება, მე მძინავს მაგ დროს, მაგრამ მაინც მესმის ნაბიჯების ხმა. ძალიან გასუქდა და ახლა უფრო უჭირს სახლში შემოპარვა. მამას ვკითხე, დედას თუ დაელაპარაკები-მეთქი და იმან მკითხა, რაზე? არც იცის, რაზე უნდა დაელაპარაკოს, რა კითხვები დაუსვას. რთულია ღმერთობა, ხო? თავს გაბეზრებენ ადამიანები კითხვებით. მე კიდევ ერთი კითხვა მაქვს, მხოლოდ ერთი.

რატომ? რატომ? რატომ? თუმცა ბევრ რამეზე მინდა, ეს ერთი კითხვა დაგისვა. ბოდიში.

უფროს ადამიანებს ყოველთვის ერევათ ურთიერთობები, თანაც რაღაც სულელური მიზეზების გამო. ამხეც დაგისვამდი იმავე კითხვას, მაგრამ მეშინია, თავი არ მოგაბეზრო. ვფიქრობ და ალბათ იმიტო, რომ სულ ატყუებენ ერთმანეთს. დედა და მამაც ყველაფერზე ტყუილებს ამბობენ. მე ორივე მიყვარს, ორივეს ვუყვარვარ მე. მაგრამ არ ვიცი, ერთმანეთი თუ უყვართ. უყვართ? მაშინ რატო არიან ერთად ასე იშვიათად, ან დედას რა უნდოდა ორი წლით უცხოეთში? ფული ისედაც არ გვაკლია. უფროსები სულ ფულზე ლაპარაკობენ. მეტი და მეტი უნდათ. მერე რაც მეტს შოულობენ, უფრო ნაკლებს ხარჯავენ. ვერაფერი გამიგია. გაიზრდები და მიხვდები, მშობლები ყველაფერზე ასე მპასუხობენ, ოღონდ ცალ-ცალკე, ალბათ შეთანხმდნენ, ნუცას ასე ვუთხრათო.

ამ ორი დღის წინ, დედა სახლში ადრე მოდის. ან ისევე გვიანია და უბრალოდ მე არ მძინავს.

„ნუცა, რატო არ იძინებ?“, მეკითხება, „გვიანია და ხვალ ადრე უნდა ადგე, ხომ არ დაგავინწყდა?“

„რა გჭირს?“, ვუბრუნებ კითხვას.

დედას არ უყვარს, ვერ იტანს, როცა კითხვაზე კითხვით პასუხობენ. მე ეს კარგად მახსოვს.

„რა უნდა მჭირდეს? ვნერვიულობ შენზე, მამაზე, ყველაფერზე. გაიზრდები და მერე მიხვდები.“

ისევე. ისევე იგივე. არ მინდა, ნუ გავიზრდები. აღარ მინდა, რამეს მიხვდეთ.

„მარტო ის მინდა, იცოდეთ, რომ ყველაზე მეტად მიყვარხარ.“

დედამ პირველად მითხრა, მიყვარხარო. ბავშვობაშიც მეტყობდა, მაგრამ აღარ მახსოვს. ისე კი, წლიდან ყველაფრის გახსენება შემიძლია.

„მეც მიყვარხარ, დედა.“ გულში მიკრავს და ტკბილად მეძინება. დღითი ძლივს გამაღვიძებს.

დედა ისევე განერვიულებულია, მოუნწერიგებელი. კიდევ არ ეძინა, სიფათზე ანერია. აუჰ, ეს არ უნდა დამეწერა. მამა მეჩხუბა, ეგეთი ტერმინები არ გამოიყენო. სკოლაში გავიგონე და... ნეტა ტერმინი რა არის? დღეს მეც უხასიათოდ ვარ. არადა, გუშინდღის მერე, წესით, კარგად უნდა ვიყო.

მინდა, რო დედას დაეხმარო, ძვირფასო ღმერთო. სცადე მაინც...“

მაკას საფლავთან ვდგავარ, ყვავილებით ხელში. რა სისულელეა ეს ყვავილები საფლავზე?! მაგრამ მეგონებდა, არანაირი აზრი ამაში არ დევს, ესეც სხვების დასანახად მოგონილი ფარსია, როგორც ყველა დანარჩენი. მაკას საფლავთან-მეთქი, მაკას. რამდენი წელია, დედა აღარ დამიძახია... ეგ კი არა, ორმოციც არ იყო გასული ტელეფონიდან ნომერი რომ ნავშალე. ნავშალე და მაშინ ვიტყვი პირველად. არც გასვენებაზე, სახალხოდ. არც მეორე დღეს, მარტო რომ დავრჩი. აი, მხოლოდ მაშინ, როცა ნომერს ვშლიდი. შეიძლება მაგ დროს გავიზრე, ნამდვილად რომ წავიდა. ასანთს ვიღებ და 12 წლის ნუცას წერილს

ვწავ. განა რამე, ისე. დღე არ გასულა, არ წამეკითხოს და როდისმე ხომ უნდა დასრულებულიყო? ბოდიში, დედა. რაც შენ ნახვედი, საქმეები აირია. ხო, მართლა, გუშინ მამამ სუნამო და წიგნი მაჩუქა. რას ვერჩი, რა ქნას ბოლოს და ბოლოს, რაც შეუძლია კი აკეთებს.

მამა სახლშია. დღეს კვირაა. — მე ვიცი, რაც უნდა გავაკეთოთ, — ამბობს მოულოდნელად.

— რასთან დაკავშირებით?

— აი, ისე, — დაიბნა, — ბედნიერები რომ ვიყოთ. ბოლო-ბოლო, ხომ უნდა ვიბრძოლოთ, თუ ყველაფერს თავი დავანებოთ და გავყვეთ დინებას, როგორც მკვდარი თევზები? როგორ გირჩევნია?

— ამხეც არ მიფიქრია, მამა. ვცხოვრობ, რა.

— მე ვიცი, რა მინდა.

— რა გინდა? — დიდად კი არ მაინტერესებს, მაინც უნდა მეკითხა.

— მაკონდოში მინდა.

— რაო? საად?

— არა, არა. მე მინდა პატარა წიგნის მაღაზია, სახელად „მაკონდო“.

— კარგი რა, წიგნის მაღაზიების მეტი რა გვაქვს.

— ეს სხვანაირი იქნება. ნუ მეკითხები, ჯერ ზუსტად არ ვიცი. მხოლოდ სახელი მაქვს მოფიქრებული. მაკონდო იმიტომ, რომ მისტიკაა. სივრცე, რომელიც არ არსებობს და თან ისე არსებობს, როგორც არაფერი ამქვეყნად. ვიქნებით ამ მაკონდოში მე და შენ, მხოლოდ ჩვენ ორი და ვისაუბრებთ იმდენს, რამდენის სურვილიც გვქონება.

— არ ვიცი, კი შეიძლება რამე მოვიფიქროთ, მთავარია, არ ავიჩქარდეთ.

რამდენი ხანია, მისი თვალეები ასეთი ანთებული არ მინახავს.

რა ქნას, რაც შეუძლია მართლა აკეთებს...

მაკა

— ერთხელაც გამიმეორეთ თუ შეიძლება, — მორიდებით მთხოვა ექიმმა და ყავისფერ ბლოკნოტში რაღაც ჩაწერა.

— ნუთუ ასე რთულია. მე დიდი, ძალიან დიდი შენობა ვარ, რომელიც ნაწილებად იშლება, ოღონდ ძალიან ნელა, თან უზარმაზარი; აი, „ტყუპების“ მსგავსი. დიახ, ნიუ-იორკში იმეო იყო.

— თქვენ და გიჟი როსტომი მეგობრობთ, ხო?

— გიჟი არ არის.

— კარგი, კარგი. კითხვაზე მიპასუხეთ.

— დიახ, ჩემი მეგობარია.

— რაზე საუბრობთ ხოლმე? როგორ გგონიათ, ახლა რა მდგომარეობაშია?

— რაზეც ვსაუბრობთ ეს მხოლოდ ჩვენ გვეხება. რაც შეეხება მდგომარეობას, არ მესმის, რას გულისხმობთ. ის ჩვეულებრივი ადამიანია და აქ არაფერი ესაქმება. მე მხოლოდ ამას ვარ დარწმუნებული.

— და თქვენ?

— რა მე? მართლა ფიქრობთ, თავის მართლებას დავინყებ? დამსახურებულად მოვხვდი აქ, ახლა არა მიშავს, რა შედარებაა.

— იმაზე მალე ნახვალთ ოჯახში, ვიდრე წარმოგიდგენიათ.

— როსტომი?

— ჯერ არ ვიცი. დაკვირვება საჭირო, მისი საქმე ბევრად რთულადაა, ყველა სხვა შემთხვევასთან შედარებით.

— კი მაგრამ, რატომ? მხოლოდ იმის გამო, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არ უყვარს... — მხოლოდ? — მკაცრად მკითხა და სათვალე გაისწორა, — ნუ მაიძულებთ, თქვენზეც შევიცვალო აზრი.

იყო ქალაქი. იყვნენ როსტომი და მაკა. და არც იყვნენ...

— როსტომს გაუმარჯოს, — ხელის აწევით ვესალმები, ჩვენებურად, — დავიღუპე, ბიჭო. მართლა დავიღუპე.

— სალამი, მაკა. რა ხდება?

— მიშვებენ, მგონი.

— აბა, შენა ხარ რა. რა გულს მიხეთქავ, ადამიანო.

— არ ვიცი, რა უნდა ვაკეთო.

— შვილი ხომ გყავს, რა ჰქვია?

— ნუცა.

— ჰოდა, რაღას მეკითხები, პასუხია — ნუცა!

— იცი, მართალი ხარ, — ვუპასუხე იმ-ნამსვე, ბევრი ფიქრის გარეშე, — თავად ვართულებთ ყველაფერს, არა?

— ეგ რა.

— არ ინერვიულო, როსტომ. შენც მალე გავიშვებენ. აი, ნახავ. როცა გამოხვალ შევხვდეთ ერთმანეთს, ნუცასაც გავაცნობ, ცოტენსაც, ორივე კარგები არიან, ძალიან კარგები. დავსხდებით, დავილაპარაკებთ ადამიანურად. არც აქ გვექცევინა ურიგოდ, რას იტყვი?

— ეგ რა.

— მაღლობა, როსტომ. შენ მე ახლა ისეთ რაღაცას მიმახვედრე, უშენოდ ვერასდროს მივიდოდი მაგ დასკვნამდე. ნუცაა პასუხი, არა? ყოჩაღ, რა მაგრად თქვი. შენ გენაცვალე, როსტომ, ჩემი მხსნელი ხარ.

ვერ ვიტან ამ დამშვიდობებებს. საერთოდ, ვინ იტანს! მაგრამ როსტომთან განსჯობა ყველაზე მეტად გამიჭირდა. იმდენს კი მიხვდი, რომ არ უნდა შემემჩნია. ერთმანეთს ვამზიარებდით — ვატყუებდით...

აქ მიჭირს. ხანდახან ვფიქრობ, რომ იქ ჯობდა. უმიზეზოდ ხომ არაფერი ხდება, ალბათ ამასაც აქვს რამე მიზეზი, რაც ჩემს მსგავს მდგომარეობასთან პირდაპირ კავშირშია. ერთადერთ გამოსავალს ვხედავ, მაგრამ ნაბიჯის გადადგმა მიჭირს. მეშინია. არც ტკივილის, არც იმის, რაც შეიძლება მერე ხდებოდეს. სულ სხვა რაღაცის. მეშინია, რომ ზუსტად იმ მომენტში გადავიფიქრებ, როცა გაჩერება, ან რამის შეცვლა შეუძლებელი იქნება და იმ წამში გავიყინები სამარადისოდ: შემინებული, დაბნეული, დამცირებული. მთელი დღეა, ქალაქში დავდივარ. დიდი დრო გავიდა, თუმცა ბევრი არაფერი შეცვლილა, მაინც ყველაფერი გაუცხოებული მეჩვენება. ორი წელი. მთელი ოცდაათი თვე შვილის, ნუცას, გარეშე, ცოტენსგან შორს. თავიდან ხომ მიჭირდა, პირველი დღეები გაუსაძლისი ჩანდა. მერე, ახლა აღარ მიჭირს ამის აღიარება, ყველაფერი გამარტივდა. თითქოს არც არაფერი ყოფილა იქამდე. ახლა კი ყველაფერი თავიდან იწყება. როგორ შევეგუები? საიდან უნდა დავიწყო? ნუცა ვერ ხვდება მიზეზს, რატომ დავდივარ სადღაც მთელი დღე. ცოტენს არ აინტერესებს. ან უბრალოდ არ უნდა, ზედმეტი კითხვებით თავი მომაბურთოს. გავებთ ეკიდება ადაპტაციის პერიოდს. ძველ ცხოვრებაში დაბრუნება ახლის დაწყებაზე რთული ყოფილა. ნეტა როსტომი რას შვრება? ალბათ, არასდროს გამოუშვებენ. იქნებ, ასე უკეთესია? უკან მინდა დაბრუნება. ამისთვის რაღაც უნდა გავაკეთო და ზუსტად ვიცი, რა არის საჭირო. თუმცა ეს ხომ დამაშვავა. რამდენი ხანი შეიძლება ადამიანი ემალეოდეს საკუთარ თავს, საკუთარ ფიქრებს? ერთადერთი რაღაცის არ მეშინია, ზუსტად ვიცი, ცოტენ არაფერს მოაკლებს ჩვენს შვილს. რა, მე რამეზე უარს მეუბნებოდა? არა, არა და არა! მხოლოდ რაღაც ვერ გაიგო. ის, რაც ვერავინ გაარკვია ბოლომდე, რაც ჩემში იმდენად ღრმადაა, ველარავინ შეძლებს, რომ ამოძირკვოს.

მაგნოლია აყვავებულია. რა ლამაზია. არიან ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ, უყურონ მაგნოლიას და იგრძნონ, რომ უხარიათ, საკმარისია მათთვის. აი, რა არის ბედნიერება, როსტომ. წვრილმანებით, ძალდატანების გარეშე, სიამოვნების მიღება. დროა.

მთავარია, სინანულის გრძობამ იმ დროს არ შემომიტიოს, როცა უკან დასახევი ყველა გზა მოჭრილი იქნება. დროა.

ხიდის მოაჯირს ვეყრდნობი. არ მინდა, გამვლელებმა რამე იქწვონ. ყველაფერი წამებში უნდა მოხდეს. ეს ხიდიც ამიტომ ავარჩიე. თითქმის სულ ცარიელია. ახლა რა მოხდება? ხვალ როგორი ამინდი იქნება? ათი წლის შემდეგ ნუცა როგორი იქნება?

ნეტა წყალი ცივია?...

იყო ქალაქი. და არც იყო. იყვნენ ცოტენი, მაკა, ნუცა, როსტომი — გიჟი როსტომი.

და არც იყვნენ. და არავინ არაფერი იცოდა, სულელ არაფერი...





თამარ ულენტი

ისე გალურჯდა! — ვერ დაუფარავს აღფრთოვანება ყრმა გალილეოს:

„— სასწაულია ეს „სამრეცხაო“, რიჟრაჟის ლილა, ღრუბლების ქაფი. ცა საარწივე, ცა სამერცხალო, ცა — ურწმუნოთა თავებზე ლაფი.

ცა ბრუნავს, როგორც მინა და... უფროც! ლურჯი სინათლით ყველა სხვის მოსავს. მე გავფრინდები ასეთი უფროც, თუ მოვიპოვებ რწმენას, ღვთისმოსავს!..“ —

ხუთასი წლის წინ პოეტურ აზრებს — ბრმა უმეცრების ზღვა გალიეო, ასტროფიზიკის აღზევებამდე ასე აფრქვევდა ყრმა გალილეო.

თვალის გასწორება

ჩემო გაყინულო მზერავ, დიდი ბოდიში — თვალი ვერაფერს ავარიდე. ისე განვიცდი, რომ ყველაფერს გაყურებინე, რისიც შენ ასე გემინოდა, რაც ძალზე გძულდა.

სამაგიეროდ, ახლა უკვე არც ბეცი გეტქმის, არც შორსმხედველი — კარგად არჩევ ყოველგვარ დეტალს ცხვირწინ თუ მთების და ზღვების და თვით წლების იქით.

ეს ვითომ დიდი არაფერი, მაგრამ ის რად ღირს, რომ ველარ გეტყვის ველარავინ ვერც ერთი ტონით: „გამოიხედე, გოგო, თვალში!“ — ჰოდა, ასე რომ,

ჩემო გაყინულო მზერავ, დიდი მადლობაც, რომ ბოლომდე უძლებდი ნანახს. და რამდენჯერაც აწყლიანდი, იმდენჯერ გაშრი.

უბრალოდ ვწუხვარ, რომ ვერაფრით ველარ გაგათბე. მე რა ვიცოდი, თუ ასეთი გრძელია ღამე, მზე — ასე სუსტი და ასეთი პატარა — კაცი.

სტამბული

ცისკრის ნამაზია. ქალაქის ნამუსი, ნოხზე მოხრილი ყადი ლოცულობს... ბაზარი რუზრუზებს: უზმობე ნამოყრილ ტყვეებს ყიდის.

უყურებს მინარეთს (საცაა ინათებს) ერთი წითური გოგო. არავინ — ვინც წუთით, არავინ — ვინც რამით, სულ მცირე შევბას მოგვრის.

ბოლმით და ბალღამით გასკდება ამ ღამით (ას აქჩედ იყიდა მოლამ), ოღონდ არ გახდება ხასა და მხევალი!.. წყალში თავს დაიხრჩობს უმალ!

ჩანს, თითქოს ნახევარ მთვარეთა ნახელავ სიავეს გული ვერ იურვებს, მაგრამ... თვით ფადიშაჰს მიჰგვარეს ჰარემში ხარჭად მღვდლის შვილი — ჰიურემ!

... მწუხრის ნამაზია, ფეხმძიმე ავაზა — მბრძანებლის ერთა, ცოლი, პირველი ჰასეკი, სულთანის ჰიურემ თავის გაჩენას ლოცავს...

... რატომ არ იურჩე, როგორ გაიყუჩე,

ადგილის დედა

პირველ სიმღერაზე დარწმუნებით ვერაფერს ვიტყვი, ვერც პირველ ცეკვაზე, ალბათ უფრო კაცებისაა, სანადიროდ წასულებს ლოსის მოხელეებისას სიხარულის ყიჟინა რომ აღმოხდებოდათ და ერთს კარგადაც დაუვლიდნენ, პირველი ლექსი კი ქალს ეკუთვნის, დანამდვილებით. შინ დარჩენილ შემგროვებელს, მცენარეების ფესვთა მჩიქნავს, ხეებიდან ნაყოფის მომწყვეტს.

დილაბნელზე თავის კაცს რომ შეაღვიძებდა, მგლის ტყავში საგზლად გაუკრავდა გნოლსა და როჭოს,

და გაუშვებდა. მერე ნაკვერჩხალს შეუხედავდა, ნაცარს მიყრდნობდა, შიგ ხმელ ტოტებს შეუკეთებდა, გამოქვაბულს აბლაბუდებს ჩამოაშლიდა, ღამეული ფრინველების ნასაქმს გახვეტდა და მდინარესთან ჩაირბენდა წყლის მოსატანად.

ანარეკლში დახედავდა საკუთარ სახეს, იქნებ თმისთვის ხელიც შეეველო. ტყავის ტომარას აავსებდა, გაბრუნდებოდა თავის ქვაბში, გასძახებდა ტომის სხვა ქალებს და გვერდიგვერდ შეუყვებოდნენ ჭალას სისხამზე.

დადიოდა და აგროვებდა ქალი გზადაგზა მზამზარეულს და ბუნებრივად დაფასოებულ ათასგვარ ბალახეულს, ხილეულს, თხილეულს, ბოსტნეულს, მარცვლეულს, ბოლქვებს და სოკოებს, ტოტებს და ყვავილებს, კენჭებს და ნიჟარებს. ყველაფერს, რაც მის ცნობისწადილს გააღვიძებდა, რაც თვალს მოსწყვეტდა და რალაციით გააკვირვებდა.

ამასობაში იმდენჯერ დაშავდა — თითი დაესერა, მუხლი გაეყვლიფა. მოინამლა და თითქმის მოკვდა კიდეც, მაგრამ ბოლოს მაინც ისწავლა ვარგისის და სარგოს არჩევა, უსაფრთხოსა და უწყინარზე მოპოტინება.

და შინ, სადაც მხოლოდ ხორცი ეგულებოდა, ნანადირევად მიტანილი კუჭის ნადილი, თავად მიჰქონდა ყველაფერი, რაც გულს უნდოდა, უსისხლოდ, უმსხვერპლოდ მონადირეული თავშესაქცევები.

ზოგი მათგანი იჭმეოდა და ისმეოდა (მთლად უქმადაც როდი შთებოდა), უფრო მეტი კი თვალისთვის იყო. და თავში მუდამ ახალ-ახალ კავშირს ბადებდა.

ერთხელაც კაცი შინ უგუნებოდ დაუბრუნდა, ხელცარიელი.

განზე გასწია ქალის ხელი, კოპებშეყრილი მიეყუდა ქვაბის შესასვლელს და ტანთყავის გახსნა დაიწყო, ამ დროს კერასთან თვალი ჰკიდა მძივად აცმულ მარცვლებს, ნიჟარებს, ახლად დანწულ ნწელის კალათებს, ბუჩქად ერთმანეთს მიმაგრებულ ფერად ბუმბულებს, კენჭის ხუხულას... და უცაბედი, საზარელი ბრაზით აღივსო.

წამოავლო ხელი კომბალს, ფიცხლად მივარდა და ყველაფერი ერთიანად მილენ-მოლენა, ინერწყვებოდა და ღრიალით ფეხით თელავდა ყველაფერს, რასაც ქალის ხელის შევლება ეტყო.

როცა კარგად გული იჯერა, ერთი შებღვირა ქალს, რალაცა შეუჯავჯლანა და მერე მშვიდად მოგიზგიზე ცეცხლთან წამონვა მშვიერი, მაგრამ კმაყოფილი, დასაძინებლად.

ქალი კი ედგა თავზე თავის დაღწილ საგნებს, იმ დიდხანს ნაზიდ სიფაქიზეს, საიდუმლოს, სიბრძნეს, სიხარულს. დაჰყურებდა და მარილიან გემოს გრძნობდა მოცახცახე ტუჩის კუთხესთან. აღარ შიოდა, მხოლოდ გარეთ გასვლა უნდოდა.

ნელა აკრიფა დაფანტული, ტყავში გამოკრა და გარეთ იქვე შორი-ახლოს ჩაფლა გულდაგულ. უკან მისული გამოქვაბულის პირთან შედგა და ცას ახედა. მთვარის ნათელი ჩაღვინთა სველ წამწამებში. ერთხანს უყურა და სიამით გულში აღმოხდა — რა ჩემი მუცელივით დამრგვალებია თვალი ღამესო.

ასე იყო. პირველი ლექსი უსათუოდ ქალმა დაწერა, იქამდე, სანამ მონადირე კაცობრიობამ შეიმეცნა, რომ მარცვლების შეგროვებით, მერე გაფანტვით, დედამინაზე პური ჩვენნი არსობისა მოიყვანება.

ყრმა გალილეო

„— თითქოს განთიადს მზემ დაუბარა, ჩემს ამოსვლამდე ცა გალილეო, —

როგორ გაგიხადეს ყაბულს? —
ეს კითხვა, მგონია,
კონსტანტინოპოლთან
მუდამდღე ექნება
სტამბულს.

სოფლად

დილაბნელზე გაგონილი მამლის ყვირილი...
ჭრიჭინების გაბმულ ჭრიჭინში
ბალახის მჩატე კალიებით აშრიალება...
ხის იატაკის ჭრილი და
ოთახში კოლო,
აქა-იქიდან მოღწეული ფუტკრის ზუზუნი,
ნახირის ზმუილს შერეული ძაღლის წკვენიკავი...
ჭასთან კრუხის და წინილების აკრიახება,
საცერი, დიდი ქვასანაყი, ღერლილი, ქატო,
საბძელთან ცხენის ფრუტუნის და, რაღა თქმა უნდა,
ხელით ნარეცხ, მზეზე გაფენილ,
გამოხარშვისგან სიუხეშეშეპარულ
ზუნარს,
გალილავებულ ბალიშისა და საბნის პირებს
გამოყოლილი სახამებლის და ეზოს სუნი —
ახალთახალი თეთრეულის თეთრეულობა.

თუმცა სოფელი, უპირველეს ყოვლისა, არის
სულ ორი სიტყვა, ყურმოკრული დილის ბურანში:

„ბოშები ჩამვიდნენ?“
ან — „ბაღნები ჩამოვდნენ?“
ან —
„მოიდნენ ბლარები?“
„ჩამოიდნეს ბაღნები?“

„ქუმორთესო ბაღანეფქ?“
„ბოშები მევიდნენ?“
ან — „ბეფშვარ ჩანხადხა?“
„ყაზირლები მევიდნენ?“

კიდევ ბევრია ასეთები, „მოსულარინენ
ბუღარტები?“ და სხვა,
ჯერაც მთვლემარს გულს რომ გაიმეხს.
და მთქმელნი შენთან შეყრასა და ბაასს ელიან,
რადგან სოფელი, ეს მეზობლის სტუმარ ბავშვებთან
დილაადრიან გადასული მეზობელია.

რ.დ.გ.

რ.დ.გ. ანუ რისი დამტკიცებაც გვინდოდა,
არის ის,
რომ სინამდვილეში
არაფრის დამტკიცება არ გვინდოდა —
აი, ჩვენი ცხოვრების დევიზი,
მარტივი, კარგად ნაცადი და საიმედო!

ვთქვათ და ვაკეთოთ ყველაფერი არაფრისათვის!
ისე, უბრალოდ;
არაფრის ნიშნად, არაფრის გამო, არაფრის ხათრით.
ო, რა მომხიბლავად უსაფრთხოა,
ამტკიცებდე არაფერს!

შენ კი რატომღაც
დაბეჯითებით გნამს,
რომ ყველაზე ლოგიკური რამ,
რაც შეიძლება გვექონდეს,
სინდისია,
და პირიქით, —
ყველაზე სინდისიერი, რაც შეიძლება ჩვენი იყოს,
არის ლოგიკა.

მაგრამ ვერ ამჩნევ,
რომ უმეტესი რამ, ჩვენ გარშემო,
ამ ორ ცნებას უკუღმართად აერთიანებს,
შედეგად კი სახეზეა:
გამქირდავი, უსინდისო ლოგიკა
და უარესი — ლოგიკური უსინდისობა!

ასე, მაგალითად:
მარტო ეს რად ღირს —
საყოველთაო და ჩვეული სიტყვა-პასუხი,
რომელიც შენც და თითქმის ყველას,
ჩვევაში გვიზის;
აბა, სხვა რაა ეს მოდელი:
— გმადლობ!
— არაფრის!

„არაფრის!“ — ხედავ?
სულ ესაა, მართლაც, რ.დ.გ.

ზაფხული, შალოტის ასული

შენი ლოცვები შესმენილია,
სახლიდან გამოვედი!
ჩვენი დიდ-დიდი სარკეები დაპატარავდა,
ჩვენი ხელები ნაზი გახდა,

მუცელი — ბრტყელი,
ალარ გვედის შვრის, სუნელების
და ბოლის სუნი,
ალარც კალთაში გვიზის ვინმე,
არც მკლავზე გვიწვეს, —
სახლიდან გამოვედი.

ჩვენ ვიცით მწვანე ზაფხულის ფასი:
ჰამაკი ჩვენი დაწნულია,
წყაროზე გასვლას ვინ დაგვასწრებს,
ვიცით საერთოდ ყველა ხილის დამურაბება,
ჩვენ ვაძლევთ ახალ ბალიშისპირს
შუადღის სურნელს,
ლარნაკში ეზოს ყვავილების გვერდით
ვდგამთ თევზზე
ბოლოებმოჭრილ სულ ახლახან მოკრეფილ კიტრებს.
თოკები ჩვენი დაგრებილია,
სარეცხი — ჩვენი გაფენილი...
ზაფხული ჩვენ ვართ.

ჩვენ ვართ, ჩვენ, ჩვენ!
სულ ჩვენ ვიყავით.
ეს ყველაფრისთვის საკმარისად გვეჩვენებოდა,
და ეს იყო ყველასათვის სასიამოვნო,
იქამდე, სანამ
მოვისმინეთ შენი ლოცვები:

ვინ ვართ ყოველი ჩვენთაგანი
ზაფხულის შემდეგ? —
საქმიანობას დაბრუნებულ დამსვენებელთა
ყრიამულისგან განძარცული
საკარმიდამო.
რა გვრჩება ბოლოს ზაფხულიდან? —
სიცოცხის მიში
და ადრიანი დაბნელებით დაზაფრულობა.

და მერე როგორ გამალებით გადის ზაფხული...

ამიტომ, სანამ ჯერ კიდევ დროა,
გადავნიეთ მძიმე ფარდები
და ზოგი ჩუმად, ფეხაკრეფით,
ზოგი სულაც კარის ჯახუნით,
ზოგი სისხამზე,
ზოგიც კიდევ შუადამისას,
ავდექით და
მართლა უკანმოუხედავად
სახლიდან გამოვედი...

წინ დიდი გზა...
დიდი ძალა დაგვჭირდება
ხმაში, მზერაში...

ნეტა ვიცოდეთ,
დარჩა ვინმე, რომ ილოცებდეს,
ამჯერად უკან,
ჩვენი ფეხით დაბრუნებისთვის?!

ჯერ ფრჩხილებით გაფრცქვნი ვისწავლე.
მერე ცერით და საჩვენებლით მაგრა მოჭერა,
ნაჭუჭის გახსნა და გვერდიდან გულის გამოცლა.
ბოლოს კი (სულ მთლად დავოსტატდი):
წინა კბილებშია მოვიტყვედი ენის წვერით და
ერთი კნატუნით გავარჩევი, უფროსებით.

ზეიმი იყო
ტაფაზე გვერდებშებრანული კეკლების ხტუნვა,
კოვზით რიტმული მორევის ხმა
და მთელ ოთახში
ოდნავ დამწვრისსუნშეპარული მსუყე სურნელი.
მაგიდის ირგვლივ შემოსხდომა,
ძველი გაზეთის
მიხევე-მოხევა ჩენჩოების დასახვავებლად.
ცხელი კეკლების ამომუჭვა და
კნატაკუნუტით
ერთმანეთისთვის დღის ამბების ხელად ჩაკაკვა.

ტელევიზორის ხმაც ისმოდა დროგამოშვებით,
ზოგი ყავასაც მოიდგამდა მისაყოლებლად,
სიმშვიდე იყო, მყუდროება
მე თუ მზრდიდა...
ოჯახი მეგონა
მოხალული
მზესუმზირა.

სხვათა შორის, შეყვარებულიც:
მახსოვს, ჩვენს სკვერში ბიჭი გოგოს როგორ ურჩევდა
და ხელისგულზე უგორებდა ოქროსფერ მარცვლებს —
წინველურ ყოფის მთელი მუჭა ბედნიერება!
მჯეროდა, ასე ამისხნიდა ვინმე სიყვარულს,
სიამე იყო,
სიტკბო იყო,
მე, სულ მცირე — წყვილობა
მეგონა
გარჩეული
მზესუმზირა.

ეგ კი არა, მთელი უბანიც:
სამფეხა სკამზე ჩამომჯდარი ბებოს ხელებით
სამკუთხედებად გაკეცილი გაზეთის პარკი,
„ერთი კულოკი ათი თეთრი“.
ეზოს ბავშვები
ჯიბის ხურდით რომ ვყიდულობდით
და ერთი ჭიქის
ფასად ბებო რომ ორს გვიყრიდა.
მერე კი, როგორც
დათვი ერბოს, ჩვენც — ჩვენს „სემიჩკას“
ყველა მთხოვნელს რომ იძულებით ვუნანილებდით.

ზოგჯერ
ვისაც ჩვენ დავუყარეთ, ის არ გვიყრიდა,
ზოგჯერ კი — „ორი კეკალი მაქვს, აჰა, ერთი შენ“.
თითო მარცვალი მეგობრობის აღთქმას უდრიდა.
ზეიმი იყო...

უნდა ითქვას, ზოგი ჩვენგანი
ზრდილად ჭამდა,
ანუ ნაჭუჭებს
მუხლზე იბნევდა ან კალთაში,
ზოგი — ძირს ყრიდა,
ზოგი კი სულაც აფურთხებდა და, როგორც წესი,
ვინმე ფანჯრიდან გადმომდგარის ლანძღვას იღებდა.

ეს ზრუნვა იყო,
ეზო იყო,
უბანი იყო
გარეთ მტვრიანი
ხელით ნაჭამი
მზესუმზირა.

...
ამას წინ დედამ ამანათი გამომიგზავნა.
მონატრებულ ქართულ ნუგბართან,
დაფასობულ პარკში იდო
ბრენდირებული
ასი გრამი „მაკნატუნა“ ანდაც „სოლარი“.
რა გავიხარე!
ვაკნატუნე და ვაკრანუნე,
და როცა შავი ჩენჩოების გორა დახვავდა,
ვიგრძენი, როგორ მორჩენილა
რალაცა კარგი,
რალაცა ჩემი, და რალაცა ალბათ ყველასიც:

თბილი, მარტივად გასაგები,
გამეტებული,
ერთმანეთისთვის გარჩეული,
ცოტ-ცოტა ყველას
ხელისგულზე დასაყრელი,
ოდნავ მიმწვარი,
დღემდე რომ მოგვდის მისი სუნი
ზეზეულ სიზმრად,
სულ მარცვალ-მარცვალ ასაკრები
და შესატკბობი
თბილისი —
სახლში მოხალული მზესუმზირა.



ბლესები სოფლის შარაზე

— თომას კარგი ღორის დაკვლა, თომას! — მამუკა.

— ჰოუ, მამ, რო ცივა თანა, — თენგი-ზა.

— შარშან იყო მაგარი ავთუსთან, იმ-იტოლა ხალხი იყო, რო თამადა ხეზე იჯდა.

— ისე მიყვები, თითქოს იქ არ ვიყავ... — იყავ შენცაა? — ნაუმღერა მამუკამ.

— იიი, მაგრა ხარ, ვერან, არეული, მა-გრა.

მამუკამ სიგარეტი ამოიღო, თენგიზამ სთხოვა. ორივემ მოუკიდა, მამუკამ კოლოფი ჯიბეში ჩაიღო, ღრმად ამოიოხრა და შარას გახედა. სალამო იყო, სანახიროდან ნახირო ბრუნდებოდა, წინ ყველაზე გალუული, მონაცრისფრო ძროხა მოდიოდა.

— ვისია, ბიჯო, აეს? — იკითხა მამუკამ.

— კოტესი.

— რასა (ი)გავ, კაცო!

— იიჰ, რაც კოტეა, იმი ძროხაც ეგ არი.

— ჰოუ! — სახე დაღმიჭა მამუკამ, — ისე, ღორის დაკვლა საიდან გაგახსენდა ამ შემოდგომა დღესა?

— რავი, აბა...

— ჰა, თქვი!

— მთლად ღორის დაკვლის სუფრა არ არი, მაგრამ...

— სადა?

— სადა და ყაყიტანთა, შეპირებული ვარ, მორებს დაგისებავთ-მეთქი და მა-გათ ხო იცი, წამო, მომეხმარე...

— უმაგისოდ არ მოგეხმარებოდი? — მამუკამ წყენანარევი მზერით შეხედა ძმა-კაცს.

— წამო, წამო, ნუ ხარ შარზე. ბიჯო, გაცინო, ზურუა როა, ხო იცი...

— ზურუა?

— აი, უპატრონო კაკოს ძმა...

— ჰოუ, მერე?

— მაგის შვილიშვილი ფეხბურთსა თა-მაშობს...

— ვახ, მალაღეც.

— მაიცა, გითხრა, ნუ ხარ სულსწრაფი.

ჰოდა, თასი აუღიანო რაღაცა და ამასაც ჩა-უტანია პაპასთან — პაპი, თასი მოვიგეო და რას ეკითხება, არ იცი, ესა, ეს მართლა აჯამი?

— არაფერ კარგ ეგ არ ეტყობა.

— რამდენი ჩადისო.

— ორივემ გადაიხარხარა.

— რა ძაან ცეტეა, ბიჯოოო...

— ჰო, დედაბუდიანად ცეტეები არიან ეგენი...

მერე ორივე ქვიან გზას აუყვავ, მიმედ, ზღაზღანით, ცალთვალმოჭუტულები, სიგ-არეტის კვამლისგან შენუხებულები, დაღ-ლილები, სახედამანჭულები. აუყვანენ ნაც-ნობ გაცვეთილ გზას.

მარია

იმ დღეს ძალიან აღელვებულმა დარე-კა. ვიცოდი მისი ხასიათი, როცა ტელეფონზე რეკავდა და მთხოვდა, მოდიო, მეტს აღარაფერს ამბობდა — ეს ნიშნავდა, რა-ღაც უჭირდა და უნდა მივსულიყავი. ტე-ლეფონი გავთიშე და სწრაფად ჩავიცვი.

ციოდა, საშინელი ამინდი იყო. სწრაფი ნაბიჯებით ავიარე ქუჩა და გაჩერებთან მივედი. ავტობუსი მალე მოვიდა, გამიმარ-თლა. დავეჯექი სკამზე და ფიქრებში გავი-რინდე — რა იქნება, ნეტავი რა მოხდა, მარ-ია ისეთი იყო... დეპრესიული, ფილოსოფი-ური, მდუმარე, ანაქორეტის მდუმარებით მიქროდა ხშირად მისი პერიოდები, რაღაც სიტყვას აიტაცებდა და...

ისე გაიარა ავტობუსმა რამდენიმე გაჩ-ერება, ვერ გავიგე, მერე ვილაც ქალი ამ-ოვიდა, მოტეხილი, ოდნავ მოხრილი, ძვე-ლი დიდების იერი შერჩენოდა, სახეზე ძლი-ერ ჰგავდა მარგარეტ ტეტჩერს. მომიბო-დიშა, დაჯდა, ფანჯარას მიაშტერდა, თან წამწამებს სწრაფად ახამხამებდა, მერე ჩა-ნთა მოიხსნა და მუხლებზე დაიდო. შავი ჩანთა იყო, ზედ რკინის მარკა ჰქონდა, შრ-ომანი ეხატა. უცებ მოგონებებში წავედი, საიდან, საიდან მახსოვს, საიდან მახსოვს, ერთი მუსიკალური საღამოდან, მარიას მე-გობრის შვილმა გამართა, ქალბატონმა უა-ნამ, დაგვატიყა, იმას ჰქონდა ასეთი ჩან-თა, მაგრამ ამ მოგონებაში ჩანთა არ იყო მნიშვნელოვანი, აქ მარიას ხასიათი იყო მნი-



თორნიკე
გოგნიაშვილი

შენელოვანი. მუსიკამ რომ დაგვალა, მა-რიამ მედიჩეზე ჩამომიგდო სიტყვა, ხმა-აბლა, ჩურჩულით. მეც ავლაპარაკე, მედ-იჩების პოლიტიკური და მეცენატური საქმეების განხილვას მოვეყვით, განხილვ-აც არ ერქვა, ორიოდ სიტყვით ვახსენეთ. უანამ შეამჩნია, მოგვიტრიალდა და გვით-ხრა:

— ასეთ საღამოზე საუბარი?!

ისე შერცხვა მარიას, მთელი ორი დღე მოლუშული იყო, იდარდა, იდარდა და მერე როგორ? რაღაცნაირად, უცხო დარცხ-ვნილი, მხრებჩამოყრილი იყო, თითქოს ვიღაცამ საფინანსო სპეკულაციაში გამოი-ჭირო. არ ვეკითხებოდი არაფერს, მაგრამ ვიცოდი, რაზეც იყო განაწყენებული.

აი, ასეთი გახლდათ მარია....

ამასობაში მარიას სახლიც გამოჩნდა, უფრო სწრაფად, კორპუსი. ავტობუსი გაჩე-რდა, ჩასვლისას ქალბატონმა შემომხედა, ხომ არ შეგანუხეო, თვალებით მეუბნებო-და. მერე სულ ოდნავ, ძლივს შესამჩნევად, დამიკრა თავი, დამემშვიდობა. მეც ასე მო-ვიქეცი.

ისედაც ველავდი, თან, როგორც გი-თხარით, ციოდა, ამიტომ სწრაფად წავედი, კიბე სწრაფად ავირბინე და ზარი დავრეკე. მალე გამიღო. გამოჩნდა თხელი, ქურქის ბენჯში გახვეული ქერა თავი და თხელი მხ-რები. სიფრიფანა, აკანკალებული, სიგარე-ტიანი ხელი უკან გასწია და მაკოცა. მერე შევედით, შევედით სახლში, რომელიც ყო-ველთვის რაღაცნაირ, უცხო სიცივეს ბა-დებდა. მაგიდაზე სულ მუდამ კონიაკი და ჭიქები იდო, იქვე ძხვეწული, ლიმონი, მარ-ინადი, კანფეტები და გახსნილი მურაბა, დაბალ ხმაზე სულ შოპენი იყო ჩართული და სულ პიტნის მოტკბო სურნელი იდგა.

დავეჯექი, კონიაკი დავისხი. მარიაც და-ჯდა.

— გისმენ! — ვუთხარი მე.

— მეც მინდა! — მითხრა მარიამ.

შემრცხვა ჩემი არაჯენტლმენური საქ-ციელი, როგორღიშე და დავასხი.

— რა ხდება? — ვკითხე ხმადაბლა.

— ჩემი ძმა ჩემების სახლს ჰყიდის, ეტყ-ობა, თავგზა აურიან იმ ტუტუცმა დედაკაც-მა, იდოტი, გომბიო, მდაბიო ქალი! — მა-რიამ სადღეგრძელოს თქმის გარეშე და-ლია და გამწარებულმა დაახეთქა ჭიქა მა-გიდაზე.

— დამშვიდდი, რას იზამ? სახლი მათია, ეს შენების ბრაღია, შენი მშობლების, მათ უნდა გაენახილებინათ სწორად ქონება, საქართველოში ასეა....

მარიამ მიყურა გასტერებულმა, მერე თავად დაასხა, როცა ჭიქა მომანოდა, მერ-ელა შევიმჩნიე, რომ ოთახში არანაკლებად ციოდა, ვიდრე — გარეთ. ქურთუკის საყე-ლო ავიწიე და კონიაკი დავყვოს, მივხვდი, ხარისხიანი იყო და ოდნავ გავხალისდი, სულ, სულ ოდნავ.

— ჰო, მაგრამ... ეს სახლი... აქ გავიზა-რდე. ჩემი რძალი დეგენერატია, რატომ

უნდა გაყიდო ამხელა ადგილ-მამულები რაღაც პატარა სოროს გამო, მაგრამ ის ხომ... ის ხომ... არ მინდა, ადამიანი მღრღ-ნელს შევადარო.

— მოდი, ბავშვობის მოგონებებს გაუ-მარჯოს! — განგებ გავუტარე, არ მინდო-და შეყოლა, უფრო დავამძიმებდი. ყოველ-თვის ასე სჯობს — როცა ადამიანი ძლიერ გალიზიანებულია, სჯობს, ნახევრად ხუმ-რობით დაელაპარაკო, ან თემა გადაუტა-ნო, არ უნდა მიახვედრო, რომ დიდ შარშია გახვეული.

— გაუმარჯოს! ისე ვარ დათრგუნული, ასე მგონია, ჩემს გულს ყიდიან. შენი სახ-ლი რომ გაყიდოს ვინმემ...

— გაყიდეს უკვე... არ გვილაპარაკია?

— არა...

ამ დროს კარზე ზარი დარეკეს, მერე დააკაკუნეს. მარია გავარდა. ქალი და კაცი იყვნენ, იმდენად ცუდი სულიერი მდგო-მარეობა ჰქონდათ სახეზე გამოხატული, იმდენად ბანალური და ნეგატიური ადამი-ანების იერი ჰქონდათ, რომ აღწერას აღარ შევუდგები. უბრალოდ, მივეყვით თბრობას.

მარია არც მიესალმა. ისინი შემოვიდნ-ენ, ცივად მომესალმნენ და დასხდნენ. საუ-ბარი რომ დაიწყეს, მივხვდი, ვინც იყვნენ — მარიას ძმა და რძალი. საუბარი საინტე-რესოს არაფერს ეხებოდა, მარია საყვედუ-რობდა, რატომ ყიდით სახლსო. ავდექი, გამოვერიდე, ფანჯარასთან მივედი, იქი-დან მშვენიერი ხედი ჩანდა, კორომი, ბავშვე-ბი თამაშობდნენ...

მოულოდნელად საუბარი კამათში გა-დაიზარდა, ჯერ მარიამ აუწია ხმას, მერე მისმა ძმამ, რძალი ჩუმად იჯდა და უსმენ-და. კაცმა მარიას ხელზე მოკიდა ხელი, სახეში შეაცქერდა და დაუღრიალა. რა თქ-მა უნდა, ვერ მოვიტყვი, ჩავერიე. კაცს მხარზე დავარტყი ხელი. შემოტრიალდა, მე მუშტი მაგრად შევკარი და პირდაპირ დავარტყი თვალბეჭა, კაცი ჯერ შებარბა-ცდა, მერე დაეცა, რძალმა კვილი დაიწყო, მარიას მკაცრი ლიმილი მოეფინა სახეზე, მერე კარი გააღო, მოემზადა მათ გასაყ-რელად. მეგონა, ყველაფერი იოლად მორ-ჩებოდა, მაგრამ კაცმა დანა ამოიღო, ნამო-ხტა და ჩემკენ გამოქანდა. რაც შეეძლო, მომიქნია დანა, გავინიე და დანა ოდნავ შე-მეხო მკლავზე, სქლად მეცვა და გაჭრა ვერ მოახერხა, ამის მიუხედავად, მინც გავის-ვი მკლავზე ხელი, ამან კაცი დააბნია წამ-იერად, მიხვდა, ვერ დამჭრა, მაგრამ მინც გავიგნა, მერე კიდევ გამოინია, ხელი ამ-ოვუტრიალე და დანა გავაგდებინე, მერე ხელი ვკარი, იმან კარისკენ წაიწია, საყე-ლოში ვეცი და ისე შემოვატრიალე, და-ვარტყი, კაცი კარში გავარდა და მოაჯირს ეცა. ამჯერად მე შემეშინდა, არ გადავარ-დეს-მეთქი და გავჩერდი. თავი დავანებე, მივხვდი, არ იყო სათანადო მეტოქე... კაცი კიბზე დაეშვა, ქალი გაშეშებული იდგა კარში, მერე ისიც გაჰყვა, რაღაცას ბურ-ტყუნებდა, ვერ გაიგებდი — რას.

კარი დავხურე. მარია გაშეშებული იჯ-და სკამზე, ხელები უკანკალებდა, ხელში კონიაკის ბოთლი ეჭირა. ბოთლს რომ შეე-ხედე, მივხვდი, კარგად მოესწრო დაღევა. შევხედე, ამღვრეული ჰქონდა თვლები... შემეცოდა, ძალიან შემეცოდა...

— მე არ დამისხამ?

მარიამ დამისხა.

— შენ გაგიმარჯოს!

— გმადლობ! იცი, არ გამტყუნებ, მაგრ-ამ მინც არ იყო საჭირო. იდიოტია! — მი-თხრა მარიამ.

— შენ ესე უნდა გამოთვრე?

— არა, გამოვლის მალე, მოიცა!

ადგა, სანოლიდან წიგნი აიღო, პასტერ-ნაკის ლექსები, ყდაშელახული, რუსული გამოცემა....

— მინდა, რომ სადმე პარკში წავიდეთ და ლექსები ვიკითხოთ! ბევრი!

მივხვდი, ეს მისთვის შვება იქნებოდა. აღარ შევეკამათე. წავედით იქვე სახლთან ახლოს, კორომებისკენ გავისიერეთ. სუფ-თა ჰაერი იყო, აღარც ისე ციოდა, საღამო-ვდებოდა და ნისლი ნელ-ნელა იმატებდა, თუმცა ეს არ იყო ისეთი სიბნელე, ადამი-ანს რაიმეც დანახვა გასჭირვებოდა.

ერთი ადგილი შევარჩიეთ. ქვები, გარშ-ემო სიგარეტის ნაშვავები და ბოთლები ეყარა. რაც შემეძლო, გადავყარე ფეხით, მერე დავსხედით. მარიამ აკანკალებული ხელით მომანოდა წიგნი, მე გადავშალე. პი-რველი ლექსი უნდა წამეკითხა, რომ თავი ხელებში ჩარგო და ხმამაღლა აქვითინდა.

ოჰ, მადლენა, მადლენა

ბიზო გაფშეკილი თითით დაანვა ლი-ლაკს, ტელეფონის ეკრანზე მადლენა და-ენერა, მერე რამდენიმე წამში ხმაც გაისმა: — ჰო...

— მადლენა, შენს სახლთან ვიქნები მა-ლე, უნდა შევხედეთ, სადღაც უნდა წავიყ-ვანო...

— ხო მშვიდობაა? — იყო ათრთოლებუ-ლი, ნაზი ხმა.

— ჰო, მალე მოვალ, კარგი?

— ჰო...

გიგომ ტელეფონი გათიშა, ჯიბეში ჩაი-დო, პიჯაკი ჩაიცვა და გავიდა.

შემოდგომა იყო, არეული ამინდი, ოდნ-ავ შესაღამოვებული, ფოთლებგაყვითლე-ბული ჭადრები სულგანაბულნი, დამზრ-ალნი აყუდებულიყვნენ გზისპირებთან.

გიგომ სწრაფად გაიარა გზა და მანქა-ნაში ჩახტა.

გაშეშებულიყვით იჯდა საჭესთან, ორ-ივე მხარეს გაჰქროდნენ ლანდები ხეების, მალაზიების, ლამპიონების, ადამიანების...

გიგოს მადლენას ხმა ახსენდებოდა: — ჩემი ცხენი, გასროლა, რა საშინელე-ბაა...

გიგომ მადლენას წლები წინ ჩაჰკიდა ხელი და მას შემდეგ მისი ტკივილისა და დარდის არათუ მოზიარება, მასზე მეტადაც კი აღელვებს. იგი მისთვის რელიკვიაა, ბედნიერების, სიმშვიდისა და ლამის ღვთაებრივი ძალმოსილების წყაროც კი, რა კაფე უნდა ყოფილიყო, რომ გიგოს მადლენა არ წაეყვანა, რა სამკაული და ქურქი უნდა ყოფილიყო, რომ მადლენას მხრებს არ ენახა, ვის უნდა აღელვებინა მადლენას გული თავისი უხეში საქციელით, რომ გიგოს თავისი ქალბატონი არ დაეცვა.

მანქანამ ოციოდე წუთს იარა, შემდეგ გიგომ ერთ პატარა და მყუდრო ჩიხში შეაყენა, ძრავა ჩააქრო და ისევ ამოიღო ტელეფონი.

ეკრანზე კვლავ მადლენა დაენერა.
— ჰო, — იყო ისევ ათრთოლებული ხმა.
— აქ ვარ, ძვირფასო, მოდი.
— ახლავე მოვალ, დამელოდე და მოვალ, — იყო პასუხი უნაზესი ხმისა.

გიგო ფიქრებში გაირინდა, ისევ მადლენას ხმა იყო: ჩემი ცხენი... გასროლა... მოკვდა ის ცხენი... სისხლი... მერე მადლენას აკანკალებული, ათრთოლებული ხელები გაახსენდა... მეტყველი, ცისფერი თვალები ელდანაკრავი კაშკაშებდნენ, წრიალებდნენ ხორბლისფერ ბუდეებში, თითქოს პასუხებს ეძებდნენ რაღაც კითხვებზე.

მერე ისევ ხმა გაახსენდა:
— მამაჩემის დაბადების დღე იყო... სტუმარი ჰყავდა, ვისთანაც მუშაობს. დაურეკეს, რაღაცაზე გაბრაზდა, გავიდა, იქ ელაპარაკა ვიღაცას ხმამაღლა, მერე ამოიღო პისტოლეტი და თავლაში დაბმულ ჩემს ცხენს მოარტყა... თუ ესროლა, თუ რაც იყო...

გიგომ იქით გაიხედა, მადლენა შეამჩნია, ბუნვის საყელოში ჩაფლულიყო, მოდიოდა თავდახრილი, წერვიულად, სწრაფად. გიგომ გაიწია და კარი გააღო.

მადლენა ჩაჯდა.
გიგო ერთხანს სახეში შეაქცქერდა.
— რა ლამაზი ხარ, მადლენა, რა ლამაზი...

მადლენამ თმები ყურებიდან გადაიწია, მერე გაიღიმა, თხელი, სიფრიფანა ბაგეების ათრთოლებამ გიგოს კიდევ უფრო აუფორიაქა გული.

— რა ხდება? — ჰკითხა მადლენამ.
— მოდი, არ მკითხო, მხოლოდ ერთს გეტყვი — სიმშვიდეა, სინყარე...
— მაინც?
— გთხოვ რა, მადლენა...

მადლენამ თავი დაუქნია, მერე ღვედი მიორგო და ღრმად ამოიხრა.
გიგომ ისევ შეძლებისდაგვარად სწრაფად მოსწყვიტა მანქანა ადგილიდან.

ისევ უკან მორბენალი სილუეტები. თითქმის უჩუმრად იარეს, მერე მანქანამ მარცხნივ გაუხვია, პატარა ქუჩაში შექვრა, აქედან კიდევ უფრო ღარიბული სტილის უბანი იწყებოდა, პატარა, უსახური ხეებითა და დაწნული მავთულის ღობეებით სავსე.

გიგომ ანიშნა, გადავიდეთო. გადავიდნენ.
გიგომ მადლენას ხელი მოჰკიდა, ისინი უსწორმასწორო გზას გაუყვნენ.

გიგო გრძნობდა, რომ მადლენას ხელი ვერ ისვენებდა, ამიტომაც მოუწია, ეთქვა, სადაც მიჰყავდა, მაგრამ მალევე გადაიფიქრა. „ცოტაც და“ — თქვა გუნებაში. ერთ მუქნითელ ჭიშკართან გაჩერდნენ, გიგომ დააკაკუნა, იქიდან დაიძახეს:
— გიგო, შენ ხარ?
— ჰო, ნიკო, მე ვარ! — იყო გიგოს პასუხი.

კარი გაიღო, მაღალი, საშუალო ხნის კაცი გამოვიდა, სტუმრებს მიესალმა, მადლენამ თავი დაუკრა.

— მადლენა, შევიდეთ! — უთხრა გიგომ.
კაცი შევიდა, ესენიც შეჰყვნენ. უბრალოზე უბრალო ეზო აიარეს, ბოლოში ავიდნენ, მარცხნივ დაბალი, უსახური სახლი იდგა, მის წინ რაღაც უცხო, წვრილ ხეს მოეწყინა, მარჯვნივ, შემოღობილში, ორი ცხენი იწვა — ერთი მუქი ნაცრისფერი, მეორე — თეთრი.

— მადლენა, ნიკო ჩემი ახლობელია, ცხენებს ჰყვითის. რომელი გინდა, რომ გიყიდო?

მადლენა აღელდა, მერე ხელები აუკანკალდა, თხელი თითები სახესთან მიიტანა და გიგოს მიეყრდნო.

— გიგო... — თქვა მადლენამ
— ჰო... მადლენა, ვერ მოვისვენე, ასე

აღელვებული რომ იყავი... რომელსაც მეტყვი...

— მუქი!
— დილით ამოგიყვანენ აგარაკზე!

მერე გიგომ საფულე ამოიღო, იქიდან კუპონები ამოალაგა და ნიკოს გადასცა. ნიკომ ფული პერანგის ჯიბეში ჩაიღო და გიგოს ხელი ჩამოართვა. გიგომ ისევ გაუყარა ხელკავი მადლენას, ამჯერად ხელი აღარ ღელავდა, ის ბევრად უფრო ჰაეროვანი გამხდარიყო.

სიბნელე ოდნავ უფრო იკვეთებოდა, ლამპიონებიც ჩაერთოთ, ისინი ძლივს შესამჩნევ შუქს აფრქვევდნენ სივრცეში...

მიდიოდნენ მშვიდად, გიგო კი ფიქრობდა — „ოჰ, მადლენა, მადლენა...“

იუვენტუსის გულშემატკივრები

ვალლოდია ჟურნალს კითხულობდა, ავტომობილებზე ეძებდა ინფორმაციას, თეონა ტელევიზორს უყურებდა, ეკრანზე დაღონებული ფეხბურთელები ჩანდნენ.

საათის ნიკნიკი ისმოდა.
გამჭვირვალე ლანაკში უსუსური, გამხმარი ყვავილები ეწყო.

თეონამ ღრმად ამოიხრა და ხელისაქცევით თქვა:

— კიდევ წააგეს!
ვალლოდია ჟურნალი დადო, ეკრანს შეხედა, შავ-თეთრ მაისურში გამოწყობილ ფეხბურთელებს მოჰკრა თვალი.

— იუვენტუსია, იუვენტუსის გულშემატკივარ ხარ, ესე იგი!
— ჰო...

— დამშვიდდი, ეტყობა, ცუდ ფორმაშია, მერე მოიგებს!
— რას მოიგებს, იცი, რა უხალისო შემადგენლობაა? განძრევა ეზარებათ!

— ჰო, დღეს მეტნაკლებად ყველა უსუსურად თამაშობს! ჩემს დროს კი სხვა იყო, ბიძაშვილო, სხვა იყო გუნდებიც და გულშემატკივრობაც! შენ გული არ გაიტეხო, იცი, მეც იუვენტუსს ვგულშემატკივრობდი ბავშვობაში. აუ, გინდა, ერთი რამ მოგიყვე?

თეონამ გაიღიმა და თავი დაუქნია.
ვალლოდია ჟურნალი მუხლებზე დაიდო და ზედ თითები აათამაშა.

— ჩემს ბავშვობაში მეზობელ სოფელში პრესა მოჰქონდათ, სპორტული ჟურნალ-გაზეთებიც იყო, რა თქმა უნდა... და იყო კიდევ ფეხბურთელების პლაკატები და ნაკლეიკები, რომელსაც, როცა კი საშუალება მქონდა, ყოველთვის ვყიდულობდი.

ერთ დღეს ჩემი მეგობარი მოვიდა, ის აიპქს გულშემატკივრობდა, აიპქსის პლაკატი მოიტანა და მითხრა, ეხლა ვიყიდე, იუვენტუსისაა არის. აუ, გადავირიე, დიდი პლაკატია, უუუუშველებელი, ვიძახი, რა მოვიფიქრო, რა მოვიფიქრო, პლაკატის გამო ვინ წამიყვანს... ჰოდა, აუდექი და მოვიფიქრე. კბილი მტკივა, მივიდე ხელი, ვიძახი, კბილი მტკივა, გავაბი წუწუნი. დაქოქე მამაჩემმა თავისი ძველი „მერსედესი“.

ნავედით, მეშინია კბილის ექიმის, მაგრამ... თან დარდი მაქვს, არ გაიყიდოს ის პლაკატი, თან ეჭვი მდრღნის, ხო არ მომატყუა მეგობარმა, თუ ასეა, უნდა მოვკლა. მივედი, ოციოდე წუთს ვიცადე, მერე მოვიდა ჩემი ჯერი, დატრიალდა ექიმი, გამობურლა, ჩამიდო წამალი, გამომიშვა... წამოვედი,

გზაში ვეუბნები, ხომ არ ვინუნუნე ექიმთან, ჯიხურთან გამიჩრეთ-მეთქი, გამიჩრეს. ცაცხვებქვემ იდგა პატარა, ჟანგიანი, ერთდროს ლურჯი ჯიხური, შევედი და მართლაც დავითრიე ის ჩემი ამხელა მსხვერპლად დამსახურებული პლაკატი, იუვენტუსის პლაკატი, თავისი დელ პიეროთი და ტრეზეგეთი. ალტაცებული დავბრუნდი მანქანაში... ახლა რომელი ბავშვი იზამს ამას? ტელევიზორთან ჯდომა ეზარებათ, ფეხბურთი კი დღეს ბიზნესია, ფული, მილიარდების კენწვლა, არ მიყვარს ეს სიტყვა, მაგრამ — მაყუთის კეთება! ამხელა თანხებს იღებენ არაფერში და ისე თამაშობენ, იფიქრებ, თამაში კი არა, ცხოვრება ეზარებათო.

ვალლოდია ჟურნალი მაგიდაზე დადო და გარეთ გავიდა.
თეონა ცოტა ხანს იჯდა, მერე გაეღიმა და ისიც გარეთ გავიდა.

ცხოვრების აზრი და ინტერესი

ფილოსოფია მიყვარს, ბევრ რამეს ვკითხულობ. ცხოვრებაზე ბევრი რამ მსმენია, ზოგი მას როგორც ტანჯვას ისე უყურებს, ზოგი როგორც ბედნიერებას, ბევრი რამ მსმენია ადამიანად ყოფნის მისიაზეც, ზოგს პროფესია აქვს, ზოგს — ხელობა, ზოგს ჰობი, ყველას რაღაც ინტერესი ამოძრავებს, ყველა რაღაცაზე ფიქრობს...

არაფერს ვეუბნები, მე როგორი ადამიანიც მინდა, ადგილწერით, უფრო სწორად, ერთი ადამიანის ერთი ფრაზა გითხრათ, ერთი წინადადება...

მოვდივარ სამსახურიდან, დაღლილი ვარ, ფეხებს ძლივს ვადგამ. ერთი სული მაქვს, სახლში მივიდე და დავისვენო, დავჯდები ცოტა ხანს ტელევიზორთან, მალე ფეხბურთია, დავისახურე ეს ყველაფერი...

ვხედავ, ფერდობიდან ნაცნობი ეშვება, ლაპარაკი უყვარს, ფეხს ვუჩქარებ, მაგრამ მასწრებს მაინც, ვესალმებით ერთმანეთს, ჯერ დროს მეკითხება, მერე მიყვება რაღაცას, მითრევს საუბარში... ყოფითი ამბები რომ რჩება, ცხოვრებაზე ამბობს ორიოდ სიტყვას, მერე ასეთ რამეს მეუბნება:

— რამდენიმე ტომარა ლობიო, ხორცი, ღვინო, პური, რაღაცები, მოიმარაგე, მოიკეტე კარი და გინდა, ციმბირის ზამთარი მოვიდეს, რა გინდა მეტი?

— მართალია, მეტი რა არის ადამიანის ცხოვრება? — ისე ვუთხარი ირონიანარევი ლიმილით, რომ ვერ მიხვდა, გავაშაყირე თუ დავვეთანხმე, გაშრა კი, ოდნავ ფერი ეცვალა, ცოტა ხანს კიდევ მითხრა რამდენიმე სიტყვა და მერე წავიდა.

მეც უფრო დამძიმებულმა გავაგრძელე გზა...
არაფერს ვეუბნები, ცხოვრება და ხალხი ჭრელია, როგორც ხალხმა იცის თქმა.

მცველი

მამა-შვილი მინდორზე მოდის, ბავშვს ბურთი უჭირავს ხელში, სახე აქვს აწითლებული, სუნთქვა აჩქარებულია, დაღლილია.

— მამა, ყველას რატომ უნდა, შემტევი გამოვიდეს? ყველა მატაობს და არავის უნდა დაცვაში იდგეს, — ეკითხება შვილი.

— ყურადღების ცენტრში ყოფნა უხარიათ...

— და უკან ვინც თამაშობს?
— ისინი ცოტა დაუფასებელი, მაგრამ უფრო მშრომელი ფეხბურთელები არიან...
— მე დაცვაში მინდა თამაში!

მამამ გაკვირვებულმა შეხედა, ბავშვს გაეღიმა და ბურთი გულზე მიიხუტა, წინ დიდი ალგები იყო, მერე მდინარე, მერე გზა ეშვებოდა ქვემოთ...

ბავშვობა

რა სჯობს სოფელში სეირნობას საღამოობით — გრილა, სიმშვიდეა, არაფერზე დარდობ...

მოვდივარ ცაცხვებში და ვფიქრობ: „რაც უნდა პრაგმატული დრო მოვიდეს, ყოველთვის იქნებიან პოეზიის მოყვარული ადამიანები, ყოველთვის დაიბადება დიდი მუსიკა, ყოველთვის დაუკრავს საქსოფონი, ყოველთვის დააფასებენ ვენეციურ თუნდერლანდურ ფერწერას, უყურებენ მანჩესტერის, აიპქსის, რეალის თამაშებს, ითამაშებენ ჭადრაკს, გაისეირნებენ ბუნებაში, სამყაროს აახმაურებს ბავშვთა ჟრიამული, იქნებიან ლალი ადამიანები, მიიღებენ განათლებას...“ ვარ ამ ფიქრებში, ოპტიმისტურად განწყობილი მოვაბიჯებ და უეცრად მუსიკის ხმა მესმის. ლამაზი მუსიკაა, წყნარი, უუუნუნარესი. შევდივარ პატარა ჩიხში, აქ ნითელი აგურის ღობეზე ვარდების ზღვაა გადაფენილი, იქვე დგას მანქანა, კარია ღია და ისმის მუსიკა, დაბლა ბავშვები ცეკვავენ, იცინიან, იქნებიან ასე რვა-ცხრა წლისანი. ვჩერდები, გული მინათდება მათ დანახვაზე...

— ბავშვებო, მეც მინდა ცეკვა... — ვეუბნები ბავშვებს.

ბავშვებს ჯერ გაეცინათ, მერე გაუხარდათ, მერე რაღაც ჩქარი მუსიკა ჩაირთო და ჩვენც ავტყებთ ჟრიამული, ხელი ჩაკვიდეთ ერთმანეთს და წრეზე დავიწყეთ ზტომა...

— ბავშვებო, მეც მინდა ცეკვა... — ვეუბნები ბავშვებს.

ბავშვებს ჯერ გაეცინათ, მერე გაუხარდათ, მერე რაღაც ჩქარი მუსიკა ჩაირთო და ჩვენც ავტყებთ ჟრიამული, ხელი ჩაკვიდეთ ერთმანეთს და წრეზე დავიწყეთ ზტომა...

— ბავშვებო, მეც მინდა ცეკვა... — ვეუბნები ბავშვებს.

ბავშვებს ჯერ გაეცინათ, მერე გაუხარდათ, მერე რაღაც ჩქარი მუსიკა ჩაირთო და ჩვენც ავტყებთ ჟრიამული, ხელი ჩაკვიდეთ ერთმანეთს და წრეზე დავიწყეთ ზტომა...

— ბავშვებო, მეც მინდა ცეკვა... — ვეუბნები ბავშვებს.

გოგაეუო

ტყეში ვარ, ჩემს საფეხბურთელოში, ჩემს სივრცეში, მივდივარ სიცხისგან განთავისუფლებული, დასვენებული, დაწყნარებული, აქეთ-იქით ხეები მეგობრებივით მეგებებიან თითქოს, ალაგ-ალაგ ირხევა რამდენიმე ფოთოლი.

შევდივარ სიღრმეში, ვხედავ ნაცნობ ბავშვებს წრე გაუკეთებიათ, ერთს დიდი ქვა აუღია და რაღაცას უპირებს დარტყმას, გავნიე აქეთ-იქით, შევედი და რას ვხედავ — დიდი, უზარმაზარი გომბეუო, საშინელი, საზიზღარი, მეჭეჭებიანი. ამხელა გომბეუო ჩემს დღეში არ მინახავს.

— გაჩერდით, ესეც ბუნების შვილია! ვთქვი ხმამაღლა და თვალდახუჭულმა ავიყვანე გომბეუო. ბავშვებს დავუყვირე, გაიხიეთ-მეთქი და გავიქეცი, რაც შემეძლო. ვირბინე ასე — ხან დავხუჭავდი თვალებს, ხან გაეახლებდი, რამდენჯერმე ხის ტოტს წამოვედი, ლამის დავეცი, ჩავედი მდინარესთან და მთელი ძალით გადავაგდე გომბეუო წყალში. ტყაპ! იყო ხმა...



ნანამ საწოლში ვერ მოიხვეწა. ადგა, მძინარე თორნიკესა და ლაშას დახედა, საბანი შეუსწორა და საძინებლიდან სამზარეულოში გავიდა. გაზქურა აანთო, ჩაი მომზადა. მისაღებ ოთახში მდგარ სავარძელში ფეხმორთხმით ჩაჯდა და ცხელი ჭიქა ტუჩიდან არ მოუშორებია, ისე დაინყო პატარა ყლუპებით დაღევა. სითბომ სასიამოვნოდ დაუარა სხეულში. მოდუნდა, მიესვენა საზურგეს და თვალდახუჭულმა ისევ ფიქრებს მისცა თავი. 28 დეკემბრის ღამეა, რა ქნას, რა აჩუქოს ხუთი და ექვსი წლის ლაშასა და თორნიკეს. ისინი ხომ ნელსაც ელოდებიან თოვლის ბაბუას, ყოველ ახალ წელს მოხდენილი ფორმით, თეთრწვერულვაშიანი, ომახიანად რომ შემოაბიჯებდა ხოლმე მათ ოჯახში და დიდ სათამაშო მანქანებს, წიგნებსა და ასანყობ ფიგურებს ჩუქნიდა. ასეთ დროს ავიწყდებოდათ პატარებს ათი წუთის წინ სახლიდან გამქრალი მამა და მთლიანად საჩუქრებზე ჰქონდათ ყურადღება. კეთილი ბაბუა არც ნანას ივიწყებდა. ნივთი, რომელზეც ქმართან დაინუწუნებდა, თოვლის ბაბუის ხურჯინში აუცილებლად აღმოჩნდებოდა ხოლმე.

ნანას ამ მოგონებებმა ღიმილი მოჰგვარა. ნამოდგა, კარადასთან მივიდა, საგულდაგულად შენახული თოვლის ბაბუის ფორმა გამოიღო. უყურა, ცრემლი მოადგა, მიეფერა, გულში ჩაიკრა და ის იყო უნდა აქვითინებულიყო, რომ ლაშას ხმა მოესმა — დედაო, ეძახდა. ნანამ ფორმა სასწრაფოდ დაკეცა, კარადაში შედო და საძინებელში შევიდა. ნახევრად მძინარე საწოლში ნამომჯდარი ლაშა თვალებს ისრესდა:

— დე, სად იყავი? — ჰკითხა ნანას და ხელები გაუშვირა, ჩამეხუტეო.
 — რამ გაგაღვიძა?! შუალამეა, შვილო, — უთხრა ნანამ და საწოლზე ჩამომჯდარმა გულზე მიიკრა ცოტა შეშინებული ბიჭი.
 — სიზმარში ჯადოქარი ვნახე.
 — მერე ჩვენ ხომ შევთანხმდით, რომ ჯადოქარი მხოლოდ ზღაპრებში ცხოვრობს და რეალურ ცხოვრებაში არ უნდა გვეშინოდეს მისი. კარგი, დაიძინე, — ნანამ გულში ჩაიკრა თავისი მოტიტიწე პატარა და გვერდით მიუწია.

ლაშას მალევე ჩაეძინა, ნანამ კი ფიქრი გააგრძელა. ნეტავ, წელს რას დაუწერენ ბავშვები თოვლის ბაბუას. ლაშა წერს წერილებს, თორნიკემ ჯერ წერა არ იცის. როგორმე მოახერხებს ყიდვას და ნაძვის ხის ქვეშ დაუწყოფს. როგორ გაუკვირდებათ პატარებს, თოვლის ბაბუა რომ აღარ მოვა. ისევ ცრემლი მოერია ნანას. უდროოდ გარდაცვლილი მოსიყვარულე ქმრის მონატრებას ვერ გაუმკლავდა და ნერვებმაც უმტყუნა. ბევრი იტირა და ასე ტირილში ჩაეძინა.

დილით მალეძარას ხმამ შეაკრთო. სასახურში ნასასვლელად მზადებას შეუდგა. ბავშვები ბაბუა უნდა ნაყვანა და მერე, საღამომდე, თეთრ ხალათში გამოწყობილს პაციენტებზე ეზრუნა. რაც კოტე გარდაიცვალა, სამსახურშიც ნახევარ განაკვეთზე გადავიდა. სამუშაო საათები დათმო, რომ ბავშვებს მისი ყურადღება არ მოჰკლებოდათ. ფინანსურად ისე მყარად ვეღარ იდგა ფეხზე, თუმცა დახმარების ხელსაც უწვდინდნენ და თვიდან თვემდე თავი ეხორმალურად გაჰქონდათ. ცოტას ძმა ეხმარებოდა სოფლიდან პროდუქტებით. არც კოტეს მეგობრები — თამაზი, ლადო და გიგი — ტოვებდნენ უყურადღებოდ. გიგი ლაშას ნათელია იყო. თვითონ ცოლ-შვილი არ ჰყავდა და ნათლულზე ზრუნვა დიდი სიხარული იყო მისთვის.

განსაკუთრებული მეგობრობა ჰქონდათ, იშვიათად ჩაივილიდა დღე ისე, ერთმანეთი არ ენახათ. მართალია, მათი მეგობრობა ბავშვობიდან არ მოდიოდა, თუმცა სტუდენტობის დროიდან მოყოლებული ბევრი წინააღმდეგობა გადალახეს ერთად. კოტე სულ ამბობდა: „ჩემზე ბედნიერი კაცი არ მეგულება — ისეთი მეგობრები მყავს, ბევრი რომ ინატრებს და ისეთი ერთგულები, ჩემი გულისთვის, ასე მგონია, მთებს დაძრავენ. უმეგობრო ადამიანზე საცოდავი არავინაა ქვეყანაზე. ადამიანმა, რომელმაც ერთგულება არ იცის, ეგოიზმითაა სავსე. არ არსებობს გრძნობა, რომელსაც გულიდან გასცემ და უკან არ დაგიბრუნდეს, იმავე ძალით ან უფრო ძლიერად. ჩემი მეგობრებით ყველაზე მდიდარი და ძლიერი ვარ ამ ქვეყანაში“. მხოლოდ სიკვდილი ვერ დაამარცხა ამ ძლიერმა ადამიანმა. მეგობრობაც გვერდით ედგნენ, მაგრამ მინც... სამი თვე ებრძოდა გვიან აღმო-

ჩენილ ავთვისებიან სიმსივნეს და ამბობდა: „ბედნიერი ვარ, რომ კარგი ადამიანის სახელს ვტოვებ და ჩემს კვალზე რომ ჩემი პატარა ვაჟკაცები დადგებიან, სიამაყით იტყვიან, ეს ჩვენი მამა იყო. სიმდიდრეზე მეტად, კარგი სახელის მოპოვება და დატოვებაა რთული. მეც მყავს მტერი და მოშურნე, მაგრამ ტალახს რომ მესვრიან, არ ვყვირი, მშვიდად ვაქცევ ზურგს. შესაბამისად, ჩემში შიგნით არ ხვდება მათი შხამიანი ტალახი და არ ვინამლები. გარედან მოხვედრილი კი უკვალოდ მშორდება, რადგან სუფთა ვარ და სულიერი მდგომარეობა ყოველთვის ერწყმის გარეგნულს“.

ნანა ფიქრებიდან ტელეფონის ზარმა გამოარკვია. გიგი რეკავდა:
 — ნანა, გამარჯობა!
 — გამარჯობა, გიგი.
 — როგორ ხარ, ვაჟკაცები რას შვრებიან?



მარი თაბაგარი

საასხალწლო მოლოდინი

— კარგად, რა უჭირთ, ცელქობენ.
 — ნანა, ერთი სათხოვარი მაქვს. სამსახურში გვჭირდება და კოტეს რომ თოვლის ბაბუის ფორმა ჰქონდა, მათხოვე რა...
 — კარგი, გიგი. დღეს მორიგე ვარ, საღამომდე გეშვობ, ბავშვებიც ბაბუა მიმყავს. საღამოს გამოგვიარე და გაგატან.
 — შენ გაიხარე, სად არ ვეცადე კარგი ფორმის შოვნას და რაც მომერგო, არ მომეწონა, რაც კარგი იყო, მინიატიურულ ბაბუებზე იყო ვათვლილი.
 — გიგი, შენ უნდა ჩაიკვა? გახსოვს, კოტეს რომ დასცივდა, მსახიობობა დაინწყევო? — სიცილი ვერ შეიკავა ნანამ.
 — ჰოოო, შვილები რომ არ მყავს, ვერ ვხვდებოდი, კოტეს ამ პატარა რიტუალსაც რა დიდი და კარგი დატვირთვა ჰქონდა... — თავი იმართლა გიგიმ.
 — კარგი, კარგი, საღამოს გამოიარე! — სიცილითვე უთხრა ნანამ.
 — კარგი, ნანა, საღამომდე.
 ამ საუბარში ბავშვებმაც გაიღვიძეს, საცვლებით გამოტანტალდნენ დედასთან:
 — დედაა, ახლა თოვლის ბაბუისთვის წერილი დავწერ და მერე ნავიდეთ ბაბუა, კარგი? — უთხრა ლაშამ.
 — კარგი, ოღონდ თოვლის წერილიც შენ უნდა დაწერო, ხომ იცი?! — შეახსენა უფროს ბიჭს ნანამ.
 — კი ვიცი, მაგრამ ერთნაირი სურვილი გვაქვს და შევთანხმდით, რომ ერთად დამწერა — ორივენი სახელით.
 — კარგი. დაწერე! — ნანას ცოტა გაუკვირდა, მაგრამ არ შეიმჩნია.
 ბავშვები გავიდნენ და ზუსტად ათ წუთში საგულდაგულად დაწებებული კონვერტით დაბრუნდნენ. კონვერტს ეწერა — „თოვლის ბაბუას ლაშასა და თორნიკესგან“. ნანამ გამოართვა წერილი და ჩანთაში ჩადო.
 — ახლა სასწრაფოდ ჩაიცივით და ვისაუბროთ, თორემ დავაგვიანებ, — გამოუცხვავდა ბავშვებს, — ნამოდით, დაგეხმარებით ჩაცმამი.
 ჩაიცივს, ისაუბრეს და ბავშვებიც მიიყ-

ვანა ნანამ ბაბუა. ბალის ეზოდან გამოსულმა, მანქანაში დაჯდა თუ არა, ჩანთიდან წერილი ამოიღო. ნეტავ, რა დაწერეს ასეთი საჩუქარი, თან სწრაფად და თანაც ასე შეთანხმებულად?! ინტერესი კლავდა ნანას. კონვერტს თავი მოახია და ფურცელი გაშალა:

„თოვლის ბაბუა, მამა დაგვიბრუნე, მეტი არაფერი გვინდა“ — ეწერა წერილში. ნანას სახეზე ღიმილი შეაცვივდა. სათამაშოების ჩამონათვალს ელოდებოდა. ხვალ ბავშვებს ბებოსთან გაიყვანდა და მე საჩუქრებს ვიყიდო, გეგმავდა. საშინელ ხასიათზე დადგა. სამსახურში წასვლის ხალისიც აღარ ჰქონდა, მაგრამ ახლა ტირილი არ შეიძლებოდა. მანქანა დაძრა. სამსახურში, მიუხედავად პაციენტების სიმრავლისა, გული ვერაფერს გადააყოლა. მთელი დღე ეფიქრებოდა თოვლის ბაბუის წერილზე. აღარ იცოდა, ახლა დალაპარაკებოდა შე-

ნანას სხვა ფიქრები ჰქონდა, ბავშვების ჩუმად, როდის გამოეღო კარადიდან საჩუქრები.

უკვე თორმეტი საათი გახდა და აივნის ღია კართან სიხარულით მოხტუნავე ბიჭებს სულ ნამიერად გამოეპარათ მისაღები ოთახის კენ მიმავალი ნანა, საჩუქრები ნაძვის ხესთან დადო და ის იყო ბავშვებთან შებრუნდა, კარზე ზარი გაისმა. ნანა ცოტა დაიბნა, გაოცდა. ბავშვებიც გაირინდნენ. ჯერ ერთმანეთს გადახედეს და მერე დედას ღიმილითა და ცნობისმოყვარეობით ალვსილი თვალებით შეხედეს. ნანა კართან მივიდა:

— ვინ არის?
 — თოვლის ბაბუა ვარ! — გაისმა კარს უკან ნანასთვის ნაცნობი ხმა. ნანას გაელიმა, გაუხარდა, კარი გააღო და შესცინა:
 — დიდი მადლობა, თოვლის ბაბუა!
 კართან იდგა ისევ იმ ნაცნობ ფორმაში გამოწყობილი თოვლის კაცი, შარშან და შარშანწინ რომ მოდიოდა და საჩუქრებით ანებივრებდა ლაშას, თორნიკესა და ნანას. ახლაც საჩუქრებით სავსე ხურჯინი გადმოიღო თოვლის კაცმა, ბავშვებს წინ დაუდო. ლაშამ და თორნიკემ ისევ ერთმანეთს გადახედეს, მერე თოვლის ბაბუას შეხედეს და:
 — ჩვენ რომ სხვა სურვილი დაუწერეთ თოვლის ბაბუას? — ჰკითხა გაოცებულმა ლაშამ.

— ეტყობა, გზაში შეფერხდა ის წერილი და ბაბუამ უსაჩუქროდ არ დაგტოვათ, — უცებ რაც მოაფიქრა ნანას, ეს იყო.
 — არა, ჩემო კარგებო, მე წერილი მივიღე, მაგრამ გადაწყვიტე, ისე დამესაჩუქრებინეთ, როგორც ამას თქვენი მამიკო მოისურვებდა. წერილის პასუხი კი მეც წერილითვე გავცე. ისე გვიან მომიხდა დაწერა, ფოსტით რომ გამომეგზავნა, ვერ მომასწრებდა, ამიტომაც თან გამოვიყოლე. თოვლის ბაბუამ წერილი გადასცა ლაშას. ლაშამ გახსნა და ყველასთან ერთად წაიკითხა:

„ჩემო პატარა მეგობრებო, როცა რომელიმე მშობელი ტოვებს შვილებს და მიდის სხვა ქვეყანაში, ეს თოვლის ბაბუის გადაწყვეტილება არ არის და ამიტომ არც შეუძლია შემდეგ რამე შეცვალოს. მაგრამ სულ უნდა გახსოვდეთ, რომ მამიკო ციდან დაგყურებთ და თქვენი ყოველი ნარმატება ახარებს. რადგან გინდათ მისი დაბრუნება, ესე იგი, ძალიან გიყვართ და გენატრებათ. ამიტომაც სულ უნდა ეცადეთ, რომ ის გაახაროთ. რასაც არ უნდა აკეთებდეთ, ყოველთვის ჰკითხეთ თქვენს თავს, „ეს მამას მოეწონებოდა?“ მე ბევრი წიგნი მოგიტანეთ საჩუქრად, ზოგს დედა წაგიკითხავთ, ზოგსაც ლაშა შეეცდებოდა. წიგნის საშუალება, რომელიც ცხოვრებაში ყველაფერს აგისრულებთ, ყველა ნატვრას რეალობად გიქცევთ და რაც ახლა თითოეული ჩვენგანისთვის ამოუცნობი და შეუცნობელია, ნათელს მოჰფენს. გიყვარდეთ წიგნი და როცა წაიკითხავთ, ყოველ ზღაპარსა თუ მოთხრობაში ეძებთ კეთილი პერსონაჟები და მათ მიბაძვით. როცა წიგნი გაგაკეთილშობილებთ, ვერც ვერაფერი მოგერევთ ქვეყანაზე და თვითონ მიხვდებით, რა, როდის და როგორ უნდა ინატროთ. აუცილებლად შეძლებთ, ყველა სურვილის ასრულებას ისე, მე რომ აღარ დაგჭირდებით. ყოველთვის გახსოვდეთ დედის და წიგნის დარიგება. დედა ყველაზე კეთილია, წიგნი კი ყველაზე ბრძენი!“

ლაშამ კითხვა დაასრულა. თოვლის ბაბუას შეხედა და გაუღიმა. თორნიკეც უჩვეულოდ ბედნიერი ღიმილებოდა, ნანა კი ცრემლიან თვალებს ხელეშში მალავდა.
 — ახლა კი ქურთუკები ჩაიცვით, თამაზისა და ლადო ბიძიას ოჯახები გველოდებიან. მათ ბავშვებსაც მივულოცოთ ახალი წელი. თქვენ მეკვლეები იქნებით. ახალი წელიც ერთად აღვნიშნოთ; დედაცოც მოემზადოს! — თქვა თოვლის ბაბუამ და ნანას შესცინა.

თორნიკე ადგილს მოწყდა, ფეხსაცმლის ჩაცმა დაინყო. ლაშამ კი:
 — მარტო თამაზსა და ლადო ბიძიას? გიგი ბიძიასაც მივულოცოთ რა?
 — გიგი ბიძიაც იქ მოვა და განაგებთ! — თოვლის ბაბუამ ამ პატარა ბიჭის დიდი სიყვარული იგრძნო და ესიამოვნა. სურვილი გაუჩნდა, გულში ჩაეკრა თავისი ნათლული, მაგრამ ყველაფერი წყალში ჩაყვრებოდა და თავი შეიკავა.
 — ნამდვილად მოვა? — ჰკითხა ლაშამ.
 — აუცილებლად!

— რა ბაბაჩხა, კაცო, რომ დამდგარხარ ყოველ ალიონზე და ყოყინებ, შენს გამო ძილი ვერ შეგვირგია, — დილაობით ასე ამკობდნენ ეზოს ბინადარნი რაჟდენას.

— გამაგიჟებს ეს ხალხი, ჩემი მანონი თუ არ გინდათ, რატომ გამოდიხართ დილაუთენია და რიგს მიყენებთ? — ხელებს შლიდა რაჟდენა, უკმაყოფილოდ ჩადებდა მანვინის საფასურს ძველებურ გაცრეცილ ქისაში და ბუზღუნით მიაჭრიალებდა მანვინით ავსებულ ურიკას.

— ცოტა გვიან რომ მოხვიდე, არ შეიძლება? მაინც და მაინც 7 საათზე უნდა დაინყო „სოფლის მანონის“ ყვირილი და ბავშვები გაუთენებელზე წამოყარო ლოგინიდან? — კაპასობდა ნანა, ამოიღებდა დაკუჭულ ქალაქის ფულს აზღუდიდან და რაჟდენას ხელში საგულდაგულოდ ჩაუდებდა.

რაჟდენა ღიმილით მოუჭერდა დაძარღვულ მუჭს თბილ ფულს და ნანას თვალს ჩაუკრავდა, ქალი პარკში ჩადებდა ორ ქი-

დრო ლამაზად გადიოდა პატარა ქალაქურ ეზოში.

ერთ დილას, ნანამ რომ გაიღვიძა, მზე უკვე დიდი ხნის ამოსული იყო, ბავშვებს გადახედა — მშვიდად ეძინათ.

— რა ხდება? — გაუკვირდა უნებურად, — უიმე, რაჟდენის მანონი? სად დაიკარგა ეს კაცი დღეს? ალბათ ისე ღრმად ჩამეძინა, მაგის ოპერის ბარიტონმაც ვერ გამაღვიძა.

მეტი რა გზა იყო, დედა და შვილები უგემურად შეექცნენ ჩაის.

ვახო, ჩვეულებისამებრ, ადრინად გადმოდგა აივანზე, მაგრამ, მისდა გასაკვირად, ეზოში უჩვეულო სიჩუმე იდგა. ცოტა ხანში შინ შებრუნდა, მაცვივრიდან ნოყიერი საჭმელი გამოიღო და თამამად შეექცა.

— რას შვები, კაცო? — შემოვარდა ოთახში ცოლი.

— როგორ დავინყო დიეტა, რაჟდენა არ მოსულა, — გაკვივითლის მცოდნე ბავშვით თამამად ჩაიბურტყუნა საჭმლით პირგამოტენილმა ვახომ.



ლა მანონს და კეკლუცი, ქალური რხევით ხის კიბეს აირბენდა.

— მაიტა, რაჟდენ, სამი ცალი, დღეს მაინც უნდა დავინყო ეს ოხერი დიეტა, — ნელს ზემოთ მიშველი გადმოდგებოდა ვახო აივანზე, — ეს მუცელი ისე უნდა დავაგდო, როგორც ხუთი წლის უკან მქონდა, თორემ ცოლი აღარ დამინებდა გვერდით, — ნამოზრდილ ღიბზე მიიტყაპუნებდა ხელს.

— ხუთი წლის წინაც ეგ ღიბი გამშვენივდა, ვახოჯან, და არც რვა წლის უკან ყოფილხარ საროს ტანის, — ჩაიღიმებდა რაჟდენა და მანვინის სამ ქილას დაამწკრივებდა მოაჯირზე.

— იი, შენი გამოსწორება არ იქნება, მანვინის მეტი შენ რა იცი, — აღშფოთებულად „ვახო და ფულს აღშფოთებული ესროდა რაჟდენას. ისიც, უკვე კარგად განაფული, ჰაერშივე იჭერდა აფრიალებულ ქალაქლებს და კვლავ განაგრძობდა — „სოფლის მანონი“...

ვახო უმალ დანთქავდა სამივე ქილას და როცა ცოლს გარეთ დაიგულებდა, მაცივარს მიადგებოდა.

— შენ კი დაგაყარე მინა, კიდევ მაცივარში ძველები, ვერა ხედავ, რას დაემსგავსე? — ძუ ლომივით მიახტებოდა ცოლი ფაქტზე დაჭერილ ვახოს და „სამოთხის კარიც“ იხურებოდა.

როცა ყველა ქილას გაყიდა რაჟდენა, ამჩატებული ურიკით პირველ სართულზე პატარა ღარიბულ კარს მიადგებოდა.

— უიმე, ისევე შენ, რაჟდენ? ამდენ ვალს ვერ გადავიხდი, — თვალების ფშვნივით გააღებდა კარს ლალი და სახეზე სინითლევც დაჰკრავდა.

— გადაიხდი, ქალო, გადაიხდი. ხო იცი, არ გაჩქარებ, მჭყივანა ჩვილს საჭმელი არ უნდა? — დაუტატანებდა რაჟდენა და საგანგებოდ გადანახულ ერთ ქილას მიაწოდებდა მორცხვად მოღიმარ ქალს.

ამასობაში ჩვილი წამოიზარდა, მაგრამ რაჟდენა ყოველ დილას მაინც მიადგებოდა ლალის კარს და 8 წლის დაგროვილი ვალიც „არ ეჩქარებოდა“.

— არ მოსულა? — შეცბა ცოლი, — ახლა ტყუილებიც დაინყე?

გარეთ გავიდა, მაგრამ გაღვიძებით აწუნუნებული მეზობლები ვერსად დალანდა.

დილის 11 საათისთვის მთელმა ეზომ გაიღვიძა. ბავშვებს ტურის კუთხეებში მანვინის თეთრი კვალი არ ემჩნეოდათ. მეზობლები უჩვეულოდ მოთენთილად გრძობდნენ თავს, ჩვეულისამებრ, ამ დროისთვის ხომ რაჟდენაც წასული იყო, მანონიც შეჭმული და ეზოც აყაყანებული.

რამდენიმე დღე გავიდა. დილაობით ყველა გაფაციცებით ელოდა „მადლიძარას“, თუმცა, ამოვ. ერთხელაც ეზო წკრიალა ხმამ გააღვიძა:

— მანონი არ გინდათ? სოფლის კარგი მანონი, — ომახინად ყვიროდა პატარა, 9-10 წლის შავტუხა ბიჭი და გაძეცილ ურიკას სუსტი ხელებით აწევებოდა.

— მინდა, — ფრთხილად თქვა ვახომ და ბიჭს კარგად დააკვირდა, — ვისი ხარ?

— რაჟდენასი, — არხენად უპასუხა პატარა ვაჭარმა და ქილების გადმოღება დაიწყო.

— და... რაჟდენა სად არის? — საკუთარი ხმა თითქოს შეცვლილი ეჩვენა ნანას.

— ბაბუა ერთი კვირის უკან დავასაფლავეთ, — შედგა ბიჭი, ციმციმა თვლებში შეეპარა სევდა, მაგრამ უმალ გადაიყარა ღრუბელი და ხმამაღლა იკითხა, — აქ მჭყივანა ჩვილი არ გყავთ?

— ჩვილი? — მახსოვრობა დაძაბა ეზომ.

— აი, ეს არის, — ლალიმ წინ წასწია 8-9 წლის ბავშვი.

— ესა? — ბიჭმა უნდოდ შეათვალერა თანატოლი, — ხოო... ბაბუაჩემს თქვენი ვალი ჰქონია, დამიბარა ყოველდღე თითო მანონი დაგიტოვოთ, — და თეთრი ქილა საქმიანი იერით გაუნოდა ლალის.

ქალს ცრემლით დაენამა თვალები, გაახსენდა, ქმრის სიკვდილის შემდეგ აღარც ერთხელ ატირებულა. ეზო გარინდულიყო.



ლალი ავალიანი

შემოქმედი და „რაჟიმი“

დიდი მწერლის ტკბილ-მწარე ხვედრი

რაჟიმი N1

დავით კლდიაშვილი რომ დაიბადა 1862 წელს, იმდროინდელი რუსეთის იმპერიის „განაპირა“ ქუთაისის გუბერნიაში, მაშინ ბატონყმობაც კი არ იყო გაუქმებული.

ახალ დროებსა და მორგებულმა ხელმოკლე მამამ, „კილეუსკი რეგისტრატორმა“ სამსონ კლდიაშვილმა 7 წლის ბიჭი დედის ტკბილ კალთას მოაშორა და ქუთაისში მცხოვრები რუსი ექიმის ოჯახს მიაბარა რუსულის შესასწავლად. ეს იყო ბავშვობის პირველი დიდი ტრავმა მწერლისათვის. ცოლ-ქმარმა კეთილად მიიღო იგი, თუმცა პირველსავე დღეს გაპარვა სცადა: „კიბეზე მტაცეს ხელი და დამაბრუნეს მტირალი... მწარედ მოვთქვამდი; მოვიდა მამაჩემიც, მაგრამ ვერც იმან დამაწყნარა. გამაბრუნეს სოფელში რამდენიმე ხნით. შემდეგ ჩამოსვლაზე დედაც გამომყვა და, როგორც იქნა, დამამაგრეს ამ ახალ ოჯახში. ორივე ცოლ-ქმარი დიდი სიყვარულით მეპყრობოდნენ და სულ მოკლე ხანში მიმიჩვიეს... ისე შემეჩვიეს, რომ ჩემი საკუთარი ოჯახი თითქმის დამავინყებინეს. სულ მოკლე ხანში შემასწავლეს ენაც, წერა და კითხვაც“ (დავით კლდიაშვილი, „ჩემი ცხოვრების გზაზე“).

შემდგომ, მრევლოვის მოსამზადებელ სასწავლებელში ნიჭიერ პატარას აღარ გასჭირვებია ყოფნა, მით უმეტეს, რომ სამსონი იმხანად ქუთაისში ვაჭარობდა.

მამას ერთადერთი ვაჟიშვილის მომავალი იმთავითვე ჰქონდა განსაზღვრული — სამხედრო კარიერა, რაც ცხოვრების სახსრით უზრუნველყოფდა მას. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ თავადაზნაურობის გაღარიბება გარდაუვალი იყო: „თავადაზნაურობა დიდი ხალხით აძლევდა ბავშვებს მთავრობას, რადგან ის ზრდიდა თავის ხარჯზე და მშობლებს ათავისუფლებდა ყოველი ხარჯისაგან შეილის აღსაზრდელად“ (დავით კლდიაშვილი, იქვე), მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის სამხედრო სასწავლებლებში მათ მიზანმიმართულად ავინყებინებდნენ დედაენას და ქართულ ტრადიციებს.

9 წლის ბავშვი სრულიად მოუშზადებელი იყო უცხო ქვეყნისათვის. მას ელდა ეცა, როცა სამსონმა რუსეთში გამგზავრება აუწყა, ფოთის პორტამდე კი მიაცილა შვილი, მერე კი უჩუმრად გაეცალა. მხოლოდ სამი წლის შემდეგ შეძლო სამსონმა ვაჟიშვილისათვის არდადეგებზე სამგზავრო ფულის გაგზავნა შინ დასაბრუნებლად. დედას, კესარია ლოლობერიძეს, რომელმაც თავის დროზე ქართული წერა-კითხვა ასწავლა ბავშვს, მონატრებულ დედისერთასთან სალაპარაკოდ თარჯიმნად მაზლიშვილი მოველინა. დავითის ადრეული ბავშვობის მთავარი გასართობი დედულეთის უზარმაზარ ეზოში მდგარი სამზარეულო სახლი იყო: „აუარებელი ხალხი ფუსფუსებდა, მიყვარდა აქ ყოფნა, აქ შუაცეცხლის პირას მოყაყანე ხალხში გარევა. რა ზღაპა-

რს, რა არაკს, რა ამბავს, რა ხუმრობას არ გაიგონებდი ხოლმე! ვუჯექი მუხლებზე ხან ერთს, ხან მეორეს და ვუსმენდი ამათ გაუთავებელ ლაპარაკს“ (დავით კლდიაშვილი, იქვე). ახლა კი, კიევის სამხედრო გიმნაზიის 11 წლის მოსწავლეს, მათი საუბარი არ ესმოდა.

არდადეგების მეშვეობით და, განსაკუთრებით, კიეველი ქართველი სტუდენტების დახმარებით, დავითმა ასე თუ ისე აღიდგინა დედაენის ცოდნა. თუმცა მათი საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 1880 წელს, როცა კიევის გიმნაზიაში წარჩინებით დაასრულა სწავლა, მხოლოდ „ჩიქორთულად“ მეტყველებდა.

სხვა პიროვნულ ღირსებებთან ერთად, დავით კლდიაშვილი უხვად იყო დაჯილდოებული მაღლიერების გრძნობით, რასაც მისი მემუარებაც მეტყველებს; კიევის სამხედრო გიმნაზიაში გამეფებული ლიბერალური მიმართულების, ახალგაზრდა დირექტორის პედაგოგიური ნიჭის, კიევის უნივერსიტეტის პროფესორების მოწვევის, საგანთა საუკეთესო შერჩევის (ლათინურისა და ძველბერძნულის ნაცვლად — ფრანგული და გერმანული ენები, მუსიკა, დურგლობა, წიგნის ყდაში ჩასმა, ხეზე კვეთა და სხვა) გამო პატივისცემის განცდას გადაწონის დიდი მაღლიერება აღმზრდელის, მიხაილ ესიკორსკის მიმართ: „ეს კაცი ნამდვილი მამა აღმოჩნდა მისდამი მიზარებულ ბავშვებისათვის, განსაკუთრებით ჩვენთვის, ქართველებისათვის. არ ვიცი, თუ იმაზე მეტი სიყვარულობა და გულითადი მოპყრობა შეიძლება, ვეცოდებოდით შორიდან მოყვანილი ბავშვები“ (დავით კლდიაშვილი, იქვე).

გიმნაზიის პირველი ხარისხით სწავლადამთავრებულს, მათ შორის 18 წლის დავით კლდიაშვილს კვლავ სახელმწიფო ხარჯზე ეკუთვნოდა უმალესი სამხედრო განათლების მიღება. აქ კი ყმანვილკაცს დიდი იმედგაცრუება ელოდა მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში გამეფებული მკაცრი სალდაფონური სულისკვეთებისა და სულთამშუთავი ატმოსფეროს გამო.

დავითს ახალი სასწავლებელი სატანჯველად მოევიწინა, რადგან სწორედ აქ იგემა პირველად უმკაცრესად სამხედრო დისციპლინის „სიამენი“ და სისასტიკითა და ახირებულობით განთქმული დირექტორის გენერალ სამოხვალაოვის შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება მოსწავლეთა მიმართ. იგი განსაკუთრებით მტრულად იყო განწყობილი კიეველი გიმნაზისტებისადმი, „ლიბერალებსა“ და „ოტრიცატელნაია როჟას“ უწოდებდა მათ.

დავით კლდიაშვილმა ამასაც გაუძლო: საბედნიეროდ, სასწავლებელი მხოლოდ ორწლიანი იყო. 1880 წლის აგვისტოში მან დაამთავრა სასწავლებელი და სექტემბრის ბოლოს უკვე დანიშნულების ადგილს, ბათუმის სამხედრო ნაწილს მიაშურა.



დასასრული

იმდროინდელი ბათუმი, ოთხი ათასი მოსახლით, „პორტო-ფრანკოდ“ (თავისუფალ ეკონომიკურ ზონად) იყო გამოცხადებული; ქალაქი არც კი ეთქმოდა: მოუვლელი, ჭაობიანი უკაცრიელი უბნები, ციება, ათასი ჯურის საეჭვო ხალხი, ფაცხები და ქონხები, როტმილდის მენავთობეთა ქარხნები და, რა თქმა უნდა, „ძღვეამოსილი“ რუსეთის ჯარის ნაწილები. გარე სამყაროს ნავსადგურიდან ფოთამდე თუ დაუკავშირდებოდი, რკინიგზა კი არ იყო დამთავრებული. 1883 წელს რკინიგზის მშენებლობის დასრულებამ, ხოლო 1885 წელს პორტო-ფრანკოს გაუქმებამ ბაბილონის გოდოლად აქცია ბათუმი: დაიწყო ნამდვილი თარეში მინების მუქთად ან მოტყუებით შესაძენად, ტყეების უმონყოლო გაჩეხვა და თურქეთში მუშაჯირების იძულებითი გაძევება. ყველაზე უფრო დაჩაგრულად გამოიყურებოდნენ ქართველები — ქრისტიანებიც და მუსლიმანებიც.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, ბათუმის შემოერთების შემდეგ ჩამოაყალიბა ქართული სკოლა, თუმცა მუსლიმანი ქართველები შიშობდნენ, შვილები არ გაგვიქრისტიანონო და ნაკლებად ეტანებოდნენ მას.

ნიჭიერი, მშრომელი და პასუხისმგებლობით აღსავსე 20 წლის ოფიცერი დავით კლდიაშვილი იმთავითვე აღასრულებდა თავის მოვალეობას, ბედმა რომ არგუნა. სამი წლის სავალდებულო სამსახურის შემდეგ გადადგომასა და საზღვარგარეთ წასვლაზე ოცნებობდა, რაც უსახსრობის გამო არ მოხერხდა: 1908 წლამდე შემოსავლის ერთადერთი წყარო მისთვის საძულველი ჯარი იყო.

მემუარებში ვხედავთ ჭკუმატილი მწერლის თვალთ დახახულ პანოპტიკუმს: ქედმაღალ, უფიც, თავნება შოვინისტ რუს სამხედრო მაღალჩინოსნებს, მათ ზერულე დამოკიდებულებას საქმისადმი, ახირებებსა თუ გაუფონარ სისასტიკეს ქვეშევრდომებისა თუ „ტუზემცების“ მიმართ, 1905 წლის რევოლუციის შემდგომ სასაკლავო ბათუმის ქუჩებში — და, საპირწონედ — დავით კლდიაშვილის, ოფიცრისა და ღირსეული ადამიანის ჰუმანიზმსაც და დაურიდებელ დაპირისპირებას და დაუმორჩილებლობას უსამართლობის მიმართ.

ეს იყო ბენჯის ხიდზე სიარული ნერვების უკიდურესი დაძაბვის ფასად; 1908 წელს „არაკეთილსაიმედო“ პოდპოლკოვნიკი დავით კლდიაშვილი აიძულეს გადამდგარიყო.

„გათავად ჩემი სამხედრო სამსახურიც, ეს არაფრად მანუხებდა. სამწუხარო ის იყო მხოლოდ, რომ ჯანმრთელობა ძლიერ შემერყა. შფოთში, შეუნელებელ აღელვებაში გატარებულმა წლებმა თავისი ქენს — მომტყეხეს, ავადმყოფი გამხადეს. მივატოვე ბათუმი, სადაც ოცდაექვსი წელიწადი გავატარე და საცხოვრებლად გადავედი ქუთაისში, რომლის მახლობლად ჩემი სამშობლო სოფელია, სიმონეთი“ (დავით კლდიაშვილი, იქვე).

მწირი პენსიის ამარა დარჩენილ დანერვილშვილულ დავითს კვლავ მოუხდა სასახურის ძიება: ქუთაისში ქალაქის თვითმმართველობაში მიიწვიეს, მისთვის საძენელო, უფერული და უჩვეულო აღმოჩნდა ახალი სამსახური, მაგრამ რა გაენწყობოდა... სამი წლის შემდეგ მწერალი შავი ქვის მრენველთა საბჭოში გადავიდა საქმის მწარმოებლად, იქაც ქალაქში იყო ჩაფლული, მაგრამ დიდ კმაყოფილებას ჰგვირდი და საბჭოს შემადგენლობა და მათი საზოგადო-საქველმოქმედო მოღვაწეობა: თავმჯდომარე გიორგი ზდანოვიჩი იყო — ღრმა ცოდნით აღჭურვილი, დიდებული პიროვნება, მოადგილე — დავითის მწერლობის უპირველესი დამფასებელი — ჩინებული კრიტიკოსი და მწერალი კიტა აბაშიძე.

დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და გადამდგარი პოდპოლკოვნიკი ოსმალეთის ფრონტზე გაიწვიეს; 53 წლის ჯანგაბეხილ დავითს ეს უდიდეს განსაცდელად მოეცინა: იაპონიასთან ომში სასტიკად დამარცხებული და შერცხვენილი რუსული გენერალიტეტი გააფთრებით მიიწვედა წინ, ქვას ქვაზე არ ტოვებდა, უმონყოლოდ ფლტედა ადგილობრივ მოსახლეობას, ამას დაერთო ბრიგადული მრავალმილიონიანი პროექტი ბათუმიდან ტრანზიზონამდე რკინიგზის სწრაფი გაყვანისა, რაც იმთავითვე

განწირული იყო. „ეს გაგიჟება იყო, ნამდვილი გაგიჟება დასამხობად გამზადებული წესწყობილების მონათა. ყველაფერი იმზობოდა, ინგრეოდა. ყოველდღე, ყოველი მხრიდან — დამარცხების, გახრწნის ამბები. რყევა, რღვევა — დღითი დღე“ (დავით კლდიაშვილი, იქვე). უკეთურებისა და უსამართლობის მიმართ ფიცხი და შეუვალი დავითი სუბორდინაციას ხშირად არღვევდა; ამასთან, ლაზების გამოსარჩლებისათვის მას სავსე სასამართლოც ელოდა. ბედად, თებერვლის რევოლუციამ მოუსწრო.

ლალი ავალიანი

შეიქმედი და „რეჟიმი“ დიდი მწერლის ტკბილ-მწარე სვედრი



„უკუღმართი და მკაცრი იყო ცხოვრების სკოლა... როგორ შეეძლო ასეთ გარემოებაში დავით კლდიაშვილს შეენარჩუნებინა სიყვარულით გამთბარი გული, ადამიანის პატივისცემა და ნდობა, რომელიც მას ახასიათებს მთელი სამწერლო მოღვაწეობის მანძილზე?“ გერონტი ქიქოძის ამ რიტორიკულ შეკითხვას თავად დავით კლდიაშვილმა გასცა პასუხი თავისი ცხოვრების წესით, პიროვნული ღირსებით, სამოქალაქო აქტივობით.

მიუღებლად მიმჩნია „რეჟიმისთვის“ გადამეტებული ზეგავლენის მიჩნევა შეიქმედზე, რასაც ლამის გადააყოლონ XX საუკუნის დიდებული ქართველი კლასიკოსები. კმარა მწერლობაში „პომო სოვიეტიკუსების“ ძიება; თანაც, ეს მხოლოდ საბჭოთა ეპოქის პრობლემა ხომ არ არის! ამ თვალსაზრისის გასაბათილებლად სანიმუშოა რუსეთის იმპერიის პოდპოლკოვნიკის დავით კლდიაშვილის (რომელიც სამ რეჟიმში გაუძლიერდა ღირსეულად) მთელი შემოქმედება. მისი სამწერლო აღზევება XIX-XX სს. მიჯნას დაემთხვა. შედარებით მოკრძალებულია მისი წვლილი XX საუკუნეში. პარადოქსია, რომ ძირითადად, საძულველ ჯარში მსახურებისას შეიქმნა მწერლის შედეგები („მსხვერპლი“, „სოლომან ცხორებელაძე“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ქამუშაძის გაჭირვება“, „დარისპანის გასაჭირი“).

„უბედურების“ (1914) შემდეგ უიმედობით შეპყრობილმა დავითმა თითქმის დააინება წერას თავი.

დავითს ჯანმრთელობამაც უმტყუნა, არც „პარტიათა სამეფოდ“ ქცეული სამშობლოს მომავალი ეიმედებოდა, ილიას მკვლელობისა თუ რადიკალურად განწყობილ და ანტიეროვნულ პოლიტიკოსთა ქმედებათა გამო.

მწერალს, რომელიც სამხედრო სამსახურის დროს შესაშურ საზოგადოებრივ აქტივობას იჩენდა ბათუმის ქართველობის საკეთილდღეოდ და დიდი ამაგიც დასდო ქალაქის აღორძინებას, რომელმაც დაუყოვნებლივ დაუდო გამოიწვია „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ შვარზმედი რედაქტორი პალმი ქართველთა შეურაცხყოფი-

სათვის, როგორც ჩანს, აღარ შესწევდა არც ღონე და არც ჯანმრთელობა. მისი დაავადება ნერვიული ხასიათისა იყო — წერდა მოგვიანებით სერგო კლდიაშვილი.

„პირდაპირ შემადრწუნებელია დავით კლდიაშვილის გმირთა მარტოობა“ — შენიშნავდა გრიგოლ კიკნაძე. მარტოობა, გაუცხოება და დეპრესია არც მწერლისათვის იყო უცხო: იგი გარიყულად გრძნობდა თავს, ძლიერ განიცდიდა, რომ ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი, მაგრამ ვეღარ წერდა, პარტიათა ჭიდილში „ძველმოღური“

ლაკის შესანიშნავი, გამაოგნებელი კინოფილმი „უბედურება“.

მემუარებში „ჩემი ცხოვრების გზაზე“ დავით კლდიაშვილს სრულიად იგნორირებული აქვს საქართველოს დამოუკიდებლობის სამი წელი, გასაგებია მიზეზიც: თხზულება დაიბეჭდა „მნათობში“ 1925 წელს, ცალკე წიგნად — 1926 წელს.

თვითმპყრობელობის დამხობას იგი, ფრონტიდან დაბრუნებული, ქუთაისში შეეგება: „პეტერბურგიდან არეულ-დარეული ამბები მოდიოდა. ათასი ხმები, ჩუმი ლაპარაკი; ერთგვარი შიშინობა. ახალი ამბების გასაგებად ყოველ დილას მოვეშურებოდით შავი ქვის მრეწველთა საბჭოსაკენ. ...თითქმის სამი დღის განმავლობაში პეტერბურგი გაჩუმებული შეიქმნა. ჩვენც საბჭოში კიტა აბაშიძის მაგიდას ვუსხედით, გაჩუმებულნი, ახალი ამბის მომლოდინეი.

...უცბე გაიღო კარი და ოთახში შემოვარდა აღელვებული ქუთაისის თავი ილიკო ჩიქოვანი. ხელში ქალაქი უჭირავს; აღელვებული მივარდა კიტას, გადახვია და გადაკოცნა. ...გადასცა დეპეშა, რომელიც ხელში ჰქონდა. კიტამ წაიკითხა დეპეშა, დეპეშა იყო ნიკოლოზის გადადგომისა და დროებითი მთავრობის სახელმწიფო სათავეში ჩადგომის შესახებ. მიღებულმა ამბავმა თვალის დახამხამებაში შემოიარა მთელი ქალაქი, ეცნობა ყველას.

სიხარული, ერთმანეთის მილოცვა, ყვირილი, ყიჟინი, სიმღერა, ქუჩებში აუარებელი ხალხი, აღელვებული, ხმაურიანი ლაპარაკი.

— მოვესწართ, მოვესწართ! გაუმარჯოს თავისუფლებას! ვაჰა! ვაჰა!“ (დავით კლდიაშვილი, იქვე).

აქვე ვიტყვი, რომ ბედის მწარე ირონიით, კიტა აბაშიძე ვეღარ მოესწრო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას: გარდაიცვალა 1917 წლის დეკემბრის თვეში, 47 წლისა.

რეჟიმი N2

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე დაიწყო „დიდი გადმოსახლება“ (სერგო კლდიაშვილი) აქამდე თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებზე სახელდებული საქართველოს დედაქალაქში. თბილისს მიაშურა დამოუკიდებლობით ერთაშესხმულმა ხელოვნებმა დასავლეთ საქართველოდან, მათ შორის ქართველმა მწერლებმა ქუთაისიდან. სერგო კლდიაშვილიც, სხვა „ცისფერყანწლებთან“ ერთად, თბილისში გადმოსახლდა. დავით კლდიაშვილს, არც სახსარი გააჩნდა და არც ჯან-ღონე, რომ თბილისში დაფუძნებულიყო: მუშლულესთან ერთად 1918 წელს საცხოვრებლად მშობლიურ სიმონეთში დაბრუნდა.

1919 წელს თბილისში, ახალგაზრდა მწერალთა ძალისხმევით, პირველად აღინიშნა დავითის ლიტერატურული მოღვაწეობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე.

იმ დროს, როცა თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების არნახული აღზევება დაიწყო, დავითი ერთგვარად გარიყული აღმოჩნდა. მის სათანადოდ დაფასებასა და პოპულარიზაციას უთუოდ ხელი შეუწყო იუბილემაც. „ცისფერყანწლები“ პაოლო იაშვილის დიდ დამსახურებად მიიჩნევდნენ, რომ მან, „შეიძლება ითქვას მარტო ერთმა გაუმართა დავით კლდიაშვილს იუბილე“ (გაზეთი „რუბიკონი“, 1923 წელი, N13).

ამ იუბილეს შესახებ არაფერი გვეცოდნება: სერგო კლდიაშვილის საბჭოთა პერიოდში გამოქვეყნებულ მემუარებში ამაზე კრინტიკი კი არ იყო დაძრული. საბედნიეროდ, არსებობს ბიბლიოგრაფიულ იმპიათობად ქცეული პატარა კრებული „დავით კლდიაშვილის საიუბილეოდ“ (თფილისი, 1920). მასში თავმოყრილია მწერლის 30 წლის მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ლექსები და მისალმებები. მათ შორის განსაკუთრებით საინტერესოა დავითის მიერ მოთხრობილი ავტობიოგრაფია, ჩანერილი და გადმოცემული არტემ ახნაზაროვის მიერ.

მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო შიუკაშვილის მისალმებებიდან: „ფართო საზოგადოება იცნობს მხოლოდ სუფთად დაბეჭდილ ფურცლებს ავტორის სახელის ზედწარწერით, მხოლოდ მცირე ნაწილმა იცის, თუ რა პირობებში უხდებდა, რად უღირს ქართველ მწერალს ამ სუფთა ფურცლების შექმნა, ნორმალურ პირობებში მწე-

რალი მთელ თავის ნიჭს, დროს, ენერჯიას ახმარს მწერლობას; მწერლობა მისთვის არის ერთადერთი საქმე, პროფესია. ...ამ სახის, ამ შინაარსის მწერლები ჩვენში არ მოიპოვებინან. ძალ-ღონე, დრო, ენერჯია ხმარდება სრულებით სხვა რამ საქმეს, რომელიც ერთადერთი საღსარია მისი არსებობისა; მწერლობა მისთვის არის იშვიათი დღესასწაული მისი მოღლილი სულისა!

...თქვენ, ძვირფასო დავით, ტიპიური წარმომადგენელი ბრძანდებით ასეთი „სხვათა შორის“ მწერლისა, ტიპიური ქველმოქმედი, ზვარაკი ერის სამსხვერპლოზე. ...და აი — შევცქერით ამ მსხვერპლშენიერებაში გაჭაღარავებულს, ქანცმიღლეულს, მაგრამ ისევ თავმდაბალს, ღმობიერად მომღიმარს და, თუ სხვა არა, ჩვენ — თქვენს ამხანაგებს ხომ კარგად გვესმის, ჩვენ ხომ დიდი სიმწვავით ვგრძნობთ, თუ რად გიღირთ ასე ადვილად სათქმელი 30 წლის სამწერლო მოღვაწეობა! ამ მიმართებაში არაფერია გადაჭარბებული: სამწერლო და საზოგადოებრივ სარბიელზე ეძიებდა დავით კლდიაშვილი თავისი „მოღლილი სულის დღესასწაულს“. იგი დიდებულ წინაპართა, ერის ტვირთშიდავთა ნაფეხურებით გაკვალულ გზას ადგა განუხრელად და ულატოდ. მძიმეზე მძიმე იყო მეფის რუსეთის ჯარში მსახურებასთან ერთად მწერლობისა და საზოგადო მოღვაწეობის შეთავსება: იგი „ინვოდა“ შემოქმედებაშიც და ცხოვრებაშიც, რამაც არცთუ ჭარმაგი დავითი, თავის სიმონეთელი თანატოლებისაგან განსხვავებით, ღრმა მოხუცს დაამგვანა.

1919 წლის იუბილე, ცხადია, შვებას და კმაყოფილებას მოჰგვრიდა დავით კლდიაშვილს, მით უმეტეს, რომ იგი, უფროსი თაობის თანამოკალმეთა დარად, დამოუკიდებლობის ეიფორიულ პერიოდში ამკარად ჩრდილში აღმოჩნდა; ამას მისი შემოქმედებითი უნაყოფობაც ერთოდა. „ჩემი ავადმყოფობის გამო შეწყდა ჩემი ლიტერატურული მუშაობა, დიდად ვწუხვარ ამისათვის“ — განუცხადებია მწერალს ინტერვიუში, რომლის ფინალი მაინც საიმედოდ აღწერდა: „ბედნიერი ვარ, რომ ჩემის ძვირფასის სამშობლოს განთავისუფლებას მოვესწარი და ეს დიდებული, ყოველის ქართველისათვის სანატრელი და ბედნიერი დღე ჩემის თვალთ ვიხილეო.“

ასე დაამთავრა თავისი ნაამბობი ჩვენმა პატივცემულმა იუბილარმა და თვალუბრაში სიხარულის ცრემლი მოერია“ (დასახელებული კრებული). სწორედ ამ იუბილეზე წარმოუთქვამს პაოლო იაშვილს ექსპრომტი — „ოფორტი. დავით კლდიაშვილს“.

XX საუკუნის II ნახევარში ლიტერატურის ისტორიკოსები ერთხანს ბჭობდნენ იმის თაობაზე — რომელი საუკუნისათვის მიეკუთვნებინათ 1931 წელს გარდაცვლილი დიდი მწერალი. თავად დავით კლდიაშვილი თავის შემოქმედებას ალბათ უფრო XIX საუკუნეს მიაკუთვნებდა: „ბედი მწყალობდა. სიყვარულიანი, თბილი, ენერჯიის გამაღვიძებელი სიტყვა ზედმეტადაც მხვედებოდა. კიტა აბაშიძე, ივანე გამართელი, ხომლედი („აკაკის კრებულში“), საშა წულუკიძე („ნოვოე ობოზრენიეში“), თავიანთი თანაგრძნობით პირდაპირ მაქებებდნენ და მიწვევდნენ სამუშაოდ; განსაკუთრებით პირველი ორი.

ამგვარივე მოსიყვარულე პირები შეხვდა სცენაზე ჩემს პატარა პიესებსაც. ...ეს სიტბო, ეს სიყვარულიანობა თან ახლდა ჩემს ლიტერატურულ შრომას, არასდროს არ დაკლებია იგი და ამიტომაც ჩემი გავლელი ლიტერატურული გზა ბედნიერად გავლდა გზად მიმანია“ (დავით კლდიაშვილი, იქვე).

ჩემი აზრით, დავითის მთელი შემოქმედება, მათ შორის პიესები — „ხალასი ოქრო“ (აკაკი ფალავა) — პერიოდიზაციას არ ექვემდებარება, რადგან „გენიოსია, შინაგანად არტისტიკა, თვითონაც არ იცის ისე“ (მიხეილ თუმანიშვილი).


პიროვნულად კი, დავით კლდიაშვილი, ყველაზე ბედნიერად და კომფორტულად თავს XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე გრძნობდა, რადგან მონონდებით არა მხოლოდ შემოქმედი, არამედ სოციალურად უაღრესად აქტიური მოქალაქე იყო. XX საუკუნეში მას საზოგადო სარბიელი დაეხმო, ამას დაერთო ავადობა და შემოქმედებითი კრიზისი. დამოუკიდებელ საქართველოში, დავით კლდიაშვილი, თხემით ტერფამდე ქალაქელი, უსახსრობის გამო სიმონეთს შეეფარა, რამაც მისი მელანქოლია კიდევ უფ-

რო გაამწვავა. ამას მშობლიური ბათუმის დაცემის ელდაც მოჰყვა.

რეჟიმი N3

აღმოჩნდა, რომ საქართველოს ანექსიის შემდეგ, მმართველ წრეებს მწარედ ჰქონდათ დამახსოვრებული მწერლის პოდპოლკოვნიკობაც და მისი გაუზზარავი ეროვნული მრწამსიც.

ბატონი სერგო კლდიაშვილის მონათხრობი:



1924 წლის ზაფხულში დავით კლდიაშვილი მკურნალობდა ბორჯომში, სადაც დაგვიანებით ჩააღწია სახალხო აჯანყების ამბავმა. აჯანყება მალევე დიდი სისასტიკით ჩაახშეს, მაგრამ დავითს თავისიანებზე ფიქრი არ ასვენებდა. მან მიატოვა მკურნალობა და სიმონეთს მიაშურა. იმერეთშიც ამ დროისათვის ბევრი მსხვერპლი, ბრალიანი და უბრალო, მოჰყოლოდა ამ ამბავს. სერგო კლდიაშვილი ამ დროს ცოლითა და ჩვილი ქალიშვილით სიმონეთში იმყოფებოდა. მას, მშობლიურ სოფელში ცოლ-შვილით თავშეფარებულს, თავი საიმედო ადგილას ეგულუებოდა.

დავითს ოჯახის კარგად ყოფნის ამბის გარდა, არაფერი უტრიალებდა თავში. წარმოიდგინეთ მისი გაოგნება, როცა უკვე „სამშვიდობოს გასული“ სვირის რკინიგზის სადგურზევე დააპატიმრა ადგილობრივი მილიციის უფროსმა. მან, ცხარე პროტესტის მიუხედავად, იქვე სარდაფში შეაგდო „მეფის პოლკოვნიკი“; უხეშადაც მოექცა, ისე მძლავრად ჰკრა ხელი, რომ თავი კედელს მიანარცხებინა. ბედზე ეს ამბავი გაეგო ოფიცერ შალიკაშვილს, რომელმაც სასწრაფოდ შეატყობინა მეთაურებს დიდი ქართველი მწერლის დაპატიმრების ამბავი. მათ, დიდი ყოყმანის შემდეგ, შეურაცხყოფილ დავითთან დაუქადნიათ, სახლისაკენ რომ მიიჩქარი, იქ შენი ვაჟი დაგხვდება, რომელიც ჩამოხრჩობის ღირსიაო!

შინაურებისათვის თავზარდამცემი და მოულოდნელი იყო ეს ამბავი, მაგრამ საფრთხე ორივე მამა-შვილს რომ ემუქრებოდა, ამაში კარგად გარკვეულან და ერთადერთ გამოსავლად მიუჩნევიათ ქუთაისში პარტიულ მუშაკთან ვალია ბახტაძესთან მისვლა, რომელიც აჯანყების ლიკვიდაციისათვის ყოფილა მივლინებული დასავლეთ საქართველოში.

შეშფოთებული და დაბნეული სერგო კლდიაშვილი შეღამებისას გამოსულა სახლიდან და ფეხით გასდგომია გზას. ქუთაისამდე ოციოდე კილომეტრი ჰქონდა გასავლელი. მიდიდა ხან ტყით, ხან შარავნით. რამდენჯერმე პატრულსაც გადააწყდა, მაგრამ შველდა რედაქციის, მისი თქმით, „იკლიკანტური“ წიგნაკი (მაშინ სერგო კლდიაშვილი თბილისის გაზეთ „მუშის“ რედაქციაში მუშაობდა), რომლის მეოხებითაც დაუბრკოლებლივ უშვებდნენ. შუალაქე კარგად გადასული იქნებოდა, როცა ქუთაისში ჩავიდა.

მივიდა სერგო კლდიაშვილი თავისი დარდითა და გაჭირვებით ვალერიან გაფრინდაშვილთან, მან დანვრილებით გამოჰკითხა ყველაფერი, კარგადაც მოასვენა და გამოაძინა.

სერგომ, როგორც შეაღწია ვალია ბახტაძესთან. იგი (როგორც იმდროინდელ პარტიულ მუშაკთა ნაწილი) კრიტიკოსობდა კიდევ და ცხადია, კარგად იცნობდა კლდიაშვილებს. ვალია ბახტაძემ მაშინვე უთხრა სერგოს — დავითსა და მის მეუღლეს ხელსაც ვერავინ ახლებსო და შესაფე-



რისი მონობაც მისცა; მაგრამო — იქნებ შენ კი იყავი ამ საქმეებში გარეული და ამისათვის მე პასუხს ვერ ვაგებო. გაგზავნა საწყალი სერგო კლდიაშვილი ჩეკისტ კუჭუხიძესთან. გააყოლეს კაცი სერგოს და იქვე, ბაღში თავშეყრილ პატიმრებს მიუერთეს. აქაც დიდხანს უაზროდ იყო, ბოლოს, როგორც იქნა, გაუშვეს.

ვალერიანთან მიაგნო სერგოს მისმა ცოლმა, რომელიც ჩვილი ბავშვით დიდიდან გამოსდევნებოდა ქმარს.

დავითის ხელშეუხებლობის ქალღმერთ დამამედეგულნი, ისინი გაემგზავრნენ თბილისში, სადაც სერგომ რედაქციაში მუშაობა განაგრძო.

დავითი მართლაც აღარავის შეუნუხებია, თუმცა ამ ინციდენტმა ღრმა კვალი დააჩნდა მის შელახულ თავმოყვარეობას. იგი მთლად განმარტოვდა, თავის თავში ჩაიკეტა.

ეს ამბავი მომიყვა ბატონმა სერგო კლდიაშვილმა 1979 წლის 4 ივნისს, მონათხრობი ჩაივინერე ცხელ კვალზე, იმ დღესვე, სამიოდე საათის შემდეგ: შეძლებისდაგვარად — მთხრობლის სტილის შენარჩუნებით.

ცხადია, ამ თავხედობამ და განუხველობამ დავითის ფსიქიკაზე ძალზე უარყოფითად იმოქმედა: ნერვიულობა, უეცარი გარინდება, კაპრიზები და საოცარი მონყენა კიდევ უფრო გაუღრმავდა; სიმონეთში დამკვიდრება თითქმის გაპარტახებულ სახლში მოუხდათ; რომ არა ერთგული მეუღლის სულის სიმხვევე, გონიერება და სიმარჯვე, მისი სოფელში ცხოვრება გაუსაძლისი გახდებოდა. მარტოობას ვერ იტანდა, სიმონეთელ ბავშვობის მეგობრებთან ყოფნა ახალისებდა: იშვიათი მთხრობელი, მათთან ბასსში მონოლოგურ სტილზე გადადიოდა, საათობით შეეძლო ძველი ამბების მოყოლა, რაც დიდ შვენას ჰგვრიდა.

სერგო კლდიაშვილი: „დავითისათვის წარსულის გახსენება უბრალო მოგონებები არ არის. მას აწვალეს წარსულის სურათები და სახეები. ისინი გამორჩნენ ლიტერატურულ გზაზე და ახლა ეპოტინებიან. ...გადამიღება წარსული, საოცარი, ხან მშვიდი, ხან მღელვარე... პირველად ვბედავ და ვაძლევ შეკვეთას: დასწეროს მემუარები.“

— ვისთვის იქნება ეს საინტერესო? რა იყო ისეთი ჩემი ცხოვრება? ჩემს თავზე ვილაპარაკო? ეს ხომ ტრაბახი გამოვა...“ (სერგო კლდიაშვილი, იქვე).

რაოდენ მაღლიერი უნდა ვიყოთ სერგო კლდიაშვილისა, რომელმაც მამის დასარწმუნებლად წარმატებული „ფანდი“ მოიშველია: დიდი გაჭირვება კი იყო, მაგრამ საკუთარი ფული, ვითარცა ჟურნალ „მნათობის“ ავანსი, ისე გაგზავნა სიმონეთში. პასუხისმგებლობით გამორჩეული დიდი მწერალი სულ მოკლე ხანში ენვია თბილისს და „მნათობისათვის“ მემუარების დასაწყისი ჩამოიტანა. XX საუკუნის მხატვრულ-დოკუმენტური ჟანრის შედეგად „ჩემი ცხოვრების გზაზე“ ჯერ ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა, ხოლო ერთი წლის შემდეგ ცალკე წიგნად გამოიცა (გამომცემლობა „ფედერაცია“, 1926).

მართალს ბრძანებს სერგო კლდიაშვილი: დავითმა უბრალო მემუარები კი არა, თავისი საუკეთესო მოთხრობების თანასწორი დაწერაო.

მელომანი დავითისათვის ნამდვილი დღესასწაული იყო თბილისში თუნდაც იშვიათად ჩამოსვლა და ქართული ოპერით ტკობა. ბათუმში, სამხედრო სამსახურის დროსაც, პატარა ვაჟიშვილების თანხლებით, იგი ყოველთვის ესწრებოდა გასტროლებზე მყოფი იტალიური ოპერის სპექტაკლებს.

სიცოცხლის მიმწუხრს, 1929 წელს დავითი თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში იწვა, ჯანმრთელობა დიდად არ გამოუკეთდა, თუმცა ფრანგული რომანების კითხვით და ავადმყოფებთან ბაასით იქცევა თავს.

„პროლეტარული ასოციაციის“ გარდა, დავითს სხვადასხვა თაობის მწერლები დიდად აფასებდნენ, მათ შორის „ცისფერყან-ნელებიც“ (ჯგუფი 1932 წლამდე დე-ფაქტო თუ არა, დე-იურე არსებობას ინარჩუნებდა). მათი დიდი ძალისხმევით გადაწყდა 1930 წლის 29 ივნისს მისი იუბილეს გამართვა, მაგრამ საწოლს მიჯაჭვული მწერალი კატეგორიულად უარობდა. სიმონეთში ჩასულმა სერგო კლდიაშვილმა, ამაო მცდელობის შემდეგ, დავითს შეატყობინა — მწერლები ჩამოდიან შენს მოსანახულებლად და ღირსეულად უნდა დახვდეთ. მათი სტუმრობის გამო დავითს ხალხის შეემატა, მასპინძლის მოვალეობამ გამოამჯობინა კიდევ; სერგო სვირის სადგურში ცხენებით დახვდა სტუმრებს (შალვა დადიანი, შალვა აფხაიძე, დავით სულიაშვილი, ივანე ყიფიანი, სანდრო შანშიაშვილი, გიორგი ლეონიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ნიკოლო მინიშვილი). „ხშირად უგრძნია დავითს მეგობრების ალერსი, მაგრამ ამ დღეს კიდევ სხვაანარად ბედნიერი იყო. ამ დღეს ერთხელ კიდევ ძლიერად იგრძნო ის დიდი სიყვარული, რომლითაც მისი სიცოცხლის დასასრული გვირგვინდებოდა.“

— სიხარული მიეცა მაგათ! გამამხნევებს, ძალა მომცეს. მივდივარ თბილისში, იუბილეს რომ არ იყოს, მივდივარ. დიდი სიყვარული ჰქონიათ ჩემი!“ (სერგო კლდიაშვილი, იქვე).


როგორც ჩანს, დავით კლდიაშვილი მანცდამანც არ მოუხილავს თავის იუბილეს; 1930 წელს ყველა ღონისძიებაში საბჭოური დიქტატი იგრძნობოდა. საიუბილეო საღამოს თავმჯდომარის ნათქვამმა ერთმა ფრაზამ („მწერალი თავის მოთხრობებში დაუნდობლად ამათრახებდა და დასცინოდა ხელმოკლე აზნაურებსო“), ისე შეაწუხა დავითი, რომ „ვიდრე მისაღმებები და მილოცები დამთავრდებოდა, დაღერემილი, თითქოს გულმოსული, იჯდა საგარძელში. ...დამთავრდა ორატორების გამოსვლა. საბოლოო სიტყვა იუბილარს უნდა წარმოეთქვა. დავითს მღელვარება ემჩნეოდა. მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და თქვა:

— არა, მე არავინ არ გამიმთარახებია, არ დავცინოდ იმ უბედურ ადამიანებს. მე ისინი მეცოდებოდნენ, მებრალბებოდა ადამიანი, რომელიც მახინჯმა ცხოვრებამ გააუბედურა და სასაცილო მდგომარეობაში ჩააყენა. მე მიყვარდა ჩემი ხალხი, ცრემლებს ვღვრიდი, მის გამწარებულ ცხოვრებას რომ ვხედავდი და ამ გულისტკივილით, მათდამი სიბრალულით სავსე ვწერდი. ასე რომ არ ყოფილიყო, მე ახლავე უარს ვიტყვოდი ჩემს ნაწერებზე. მთელი ჩემი ცხოვრების გზაზე წინ მიმიძლოდა მხოლოდ ადამიანის სიყვარული“ (სერგო კლდიაშვილი, იქვე).

ამის შემდეგ დავითს დიდხანს არ უცოცხლია, 1931 წლის ზაფხულზე მთაწმინდაზე პოვა უკანასკნელი განსასვენებელი.

მაია იანტხელიძე

ცხოვრების პერიოდული სისტემა



ქნიკურად გართულებულ, მაგრამ სულიერად ასე გამარტივებულ ჩვენს ყოფიერებაში, რომელშიც გაბატონებულია მომხმარებლური, ვინმე პატიოსნისა თუ ხათრიანის გზაზე „ხიდივით გამდები“ ყოფიერება.

„ზოგს შეუძლია — ბითუმად ანდა საცალოდ — ძმაკაცი რაა — სამშობლო, როგორც ჩუსტი, გაყიდოს ანდა სხვა სამშობლოზე გაცვალოს, თუ გამოადგა სხვა სამშობლოზე სუსტი.“

როცა ყოფნა არყოფნა ხანდახან, არყოფნის ყოფნის იმედად და წარსულიც, „კიდობნიანი პანდორა“, ხან გაშიშვლებს, ხანაც იმედით გკვებავს, ცხოვრება ბანქოს ემსგავსება („მიუჩინდნენ ერთ უხერხულ ადგილს/ ამ თამაშში იმ თამაშის კოზირს“), პოეზია ქვეულა მარგალიტის მსგავს სიტყვად, ამოთქმამდე რომ შეიძლება ჩაიყლაპოს („რა აზრი აქვს ჩაუყლაპავ სათქმელს?“) და დაუნერელი ლექსების, უთქმელი სათქმელისა თუ უპოეზიო პოეტების უმძაფრესი განზომილება შექმნას.

„მინაც — ერთი მოკეცვა — მუქთად როცა მოგეცა — იცი — მანსი მოგეცა.“

ამ მინაზე კი, სამშობლოს რომ უწოდებენ ანუ დამბადებულს („ცაო — მზემავადგამხმარო“), საქმე ისე გაქვს გამხდარი, რომ მას, ვინც სიტყვით მკურნალად უნდა გაუხდეს თავის ქვეყანას, „სათქმელი გაქვს არაფერი, ანდა — ყველაფერი, მაგრამ — არავისთვის“. და შენც, გამორჩეულიც, ვისაც მშველელის ფუნქცია დააკისრა გამჩენმა, იქით ექვბ გადაჩვენას:

„დამსგავსე ასფალტს, ლოდს, ჰაერს, ჩვეულებრივ ადამიანს და გადარჩები.“

რადგან არაჩვეულებრიობას არ გაპატიებენ! ასფალტით გადაგივლიან, ლოდით კედელში ჩაგატანენ, „კვამლით გაგბურლავენ, როგორც ჰაერს“. ამიტომ გამუდმებით ისმის ჩაკირულების გმინვა და „შეილო ზურაბ, სადამდის?“ სიკეთისათვის გაცემა, სიმართლისათვის დაჭერა, სიყვარულისთვის გულში დანის ჩაცემა იცის კაცთა მოდგმამ, რადგან მისთვის ხანდახან ღმერთიც აღარაა ავტორიტეტი. ადამიანთაგან ნამებული ღმერთის ზურგზე მოკი-

ლებული ჯვარივითაა პოეზია და ამას ვერ გაქცევ, როგორც საკუთარ თავს — ეს სიმბალა და ამისთვის „ვაჟკაცობა არ გეყოფა“, როგორც ხატოვანი ენამოსწრებულობით ამბობს ზაზა ბიბილაშვილი.

უკეთებ „ნივიფუს“ სიკვდილს და დროს ეჭიდები თუ მისი ჯაჭვებისგან გათავისუფლებას ცდილობ ამირანის პროტესტანტული სიჯიუტით:

„რომ ასე მძლე და მძველი შეჭიდებულან ჩემი ხმალი და დროის კისერი.“

ზაზა ბიბილაშვილთან, რაც ყველაზე საინტერესოა, გვხვდება ლექსები რწმენაზე, ავანგარდული გროტესკულობით, ცბიერად მომზირალი წუთისოფლის თვალში გაკაფებული ქეშმარიტების სხივივით, როგორც „შესვენება მობეზრებულ ცოდვათა შორის“, ღმერთთან „გაშინაურების“ ტრაგიზმით, რომელსაც უნდა დაუჯერო, რადგან დაეჯერება.

„ყველას უყურებდე, ყველას უსმენდე, ყველას უგებდე, ყველა გიყვარდეს — გაგიჭირდება, დაიტანჯები, გაგიუღები, ღმერთო.“

თეიმურაზ ხევისთავის არ იყოს, ყელზე მობმული ლოდი, მეტ-ნაკლები სიმძიმით, ყველა ღირსეულ ინტელიგენტს აქვს ჩვენს ქვეყანაში. რწმენა კი ამ სიმძიმის სიცხადეშია („და თუ მახეგ დამავიწყებ, რითიც ახლა ვენამები — მარტო კი არ შეგეშვები, საერთოდ არ მენამები“). ღმერთის სიახლოვე იმ ორიგინალურ უშუალობაშიცაა, რომელზეც ზემოთ ვწერდით და განსაცდელით განკერძოებაშიც, სწორედ დროში უხრწნელზე რომ დაგვაფიქრებს. მამაზე-ციერმაც იქნებ „ბოროტება ამოსწმინდოს“ ჩვენს გულს და მინასაც მოზიარესავით მტკივან მუცელზე გადაუსვას ხელი. იმ მუცელში ხომ სიცოცხლესთან ერთად მისი ყველაზე დიდი სამშენისი — სიკვდილიცაა, წუთისოფლის ასე დამატკობელი. მას ცხოვრების ერთ-ერთი კარით — სიბერით — მიუახლოვდებით. ეს კარი ორმხრივია — დასასრულისაცაა, ამსოფლიურისგან მიხურული და დასაწყისში გახსნილიც.

„რათა როდისმე არყოფნის ქვესკნელს თუ ჩემი ნდობაც წამოუვლიდა, ნასვლამდე მეთქვა, რომ ქვეყნის შემქმნელს ქვეყანა კარგი გამოუვიდა.“

იმქვეყნიური მეგზური კი რა არის, თუ არა პოეზია? მუზაც ხომ მიღმიერდნანა გამოსხობილი, ჩვენი სულელებით?

„მშვენიერად ვიცი, ჩემო — ერთხელაც ერთი შეცდომა და — გაქრები, როგორც ტკბილი სიზმარი — გახელილი თვალებიდან, ოქროს თევზი — მოუქნელი თითებიდან, უცხო ჩიტი — უკარო გალიდან.“

იმქვეყნიური საგზალი კი საბედისწერო სიყვარულია, როგორც თავად სიცოცხლე (თუ სიკვდილიც), სწორედ ამ სიყვარულის ობიექტისგან, ქალისგან დანწყებული:

„უკლებლივ ყველა გზას, რომელმაც შენ ავიარა, ზურგს შევავცევდი — რომ სხვას კი არა — უსასტიკესი სიყვარულით — შენ მოგეკალი.“

ქალი, როგორც იდეის განსხვავება, საკუთარი სანყისით ცხოვრების შემავსებელი და დამამშვენებელი, ყოფითობის საიდუმლოს გამხსნელი თუ, პირიქით, გამაიდუმლებელი („და იმ მაინც სინამდვილის სტუმარი, მზის მწუნარი, თინათინის მწუნარი — როცა ნახე ნისლელებით კაბეში — მარტო მაშინ კი არ იყო — სულ არი“).

ეს „მაინც სინამდვილე“, სიზმრისეული სიცხადით, ფილოსოფიური მინიმალიზმით, საოცარი ლაკონიზმითაა გადმოცემული „ფაზლში“, როგორც დადასტურება ავტორის კალმის მოქნილობისა და ოსტატობისა. ეს ძალიან ჰგავს ფუნჯის მონასმებს იმპრესიონისტულ ტილოზე, ცალკეც შესამჩნევს და ერთიანობის სიმფონიის შემკვერელ აკორდსაც. აი, შეძახილი „მკვდარი კაცების“ სამყოფელიდან: „ედემი. / გველი, ადამი, ევა. / დრო, როცა / ყველა ცოცხალი იყო“; აი, ავტორისეული თეორიონიული და უფრო ზუსტი ინტერპრეტაცია ცნობილი ანდაზისა: „ღმერთი ბჭობდა. კაცი იცინოდა“; ჩვენთვის მოსასმენად აუტანადი პასუხი ზოგი კითხვისა, რომლებიც „მასუხს ვერ იტანს“; პოეტური „შეცხადება“ გამატერიალიზებული, სტატუსდაკარგული ოცნებებისა: „სულ უფრო მეტი ნატვრა ირჩევს / ტუპრად დარჩენას. / გენმა ისწავლა — / მხოლოდ სამ დღეს / ცოცხლობს პეკელა“; ადამიანური მარტოობის სიმყიფე თუ სიძლიერე: „რა მყუდროა / მარტოობის ნიჟარა — / ვინმე თუ არ დააბიჯა / შემთხვევით“; წუთისოფლის ბინიერი მინიერება: „შევხვდი, შევხვდი, შევხე — / მოვახრჩე ბოლო ზღაპარი“; მეტაფორა-შედევი მშვენიერების მომწუსხველობაზე: „ღამეს თვარზე მოუხდა — / მოენონა — / ხბოს, უდოდოს, მოუნდა — / მოენონა“; იუმორი, კამიუსა თუ ედგარ პოს აბსურდულიზმით: „გამოეჩერე ჩემი, როგორც / უკანასკნელი ხროცი! — / ახლა მოვკალი კოლო — / ჩემი სისხლი და ხორცი“; რიტორიკული გამოცანა-რეზუსი: „აქ რომ მედგა მარგალიტის / გორები, / თქვენი აზრით, ვინ შეჭამდა?“ — რითმას გამოჰყავს სახარებისეული სენტენციის ყველაზე ხორციელი ელემენტი, რომელთა სიმრავლე ცხოვრების მოზაიკურობისა თუ ფაზლის მთლიანობის განმსაზღვრელია; გულსაკლავი, მაგრამ რეალისტური ირონია: „ეს მაინც როგორ უნდა — / თვალი როგორ უნდა / გავუსწორო / მაგ ალალ თვალებს / მოლაღატე / მეგობარო?“; წარმავლობით ფრუსტრაცია: „ყოველდღე ვალაბია: / ყოველდღე ვადადიან / სიკვდილის მხარეზე / სიცოცხლის დღეები“; და ძალიან საინტერესო „ურწმუნობა“: „არა მგონია, / ჯოჯოხეთი იყოს / იქითაც“

დაბოლოს, ფინალი ყველა ადამიანური ზღაპრისა: „ვიყავ და არა ვყოფილვარ — ღვთის უკეთესი რა ვიქნებოდი.“ პოეზია კი ყოველთვის გაგრძელება ამ ფინალისა, როგორც ეს ზაზა ბიბილაშვილის შემთხვევაშია: ის ავანგარდულობით კია „მსუსხავი“, მაგრამ სწორედ ამიტომ აბრუნებს მკითხველი თავს ცნობიერების სიღრმეებისკენ.

ზაზა ბიბილაშვილის პოეტური კრებული „ფაზლი“ (ნოდარ დუმბაძის გამოცემლობა და ლიტერატურული სააგენტო, 2018 წელი) ლაკონიური მრავალმხრივობით გვაცნობს ავტორის — ჟურნალისტის, მწერლისა და პოეტის — მხატვრული აზროვნების განსხვავებულობას, მხოლოდ „თავის ხმაზე“ გაუღებებულ-აკინძულს, უცხოდ მზინავი კეთილშობილი თვლებივით. ეს მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი მგონია შემოქმედისთვის იმ შემთხვევაში, როგორც თვითონ ამბობს საკუთარ თავზე: „თუ ვერავინ ვიმსგავსე და თუ ვერავის დავემსგავსე“.

გარე და შინაგანი სინამდვილის ბალანსიცაა პოეტი, როგორც ადამიანიცა და როგორც „მაღლად მხედიც“, რომ არ დაიტანოს რეალობამ, ლოდის სიტლანქითა და გულგრილობით:

„როცა ცხადში ძალიან გაჭირდება, ჯერ ვერ ისწავლე, რომ მიხვდე, სიზმარია.“

ამისთვის ისე უნდა გაიდორო, ცოტათი მაინც გაიდორო.“


წუთისოფლის სიზმარ-ცხადობის, ღირებულ-ამოს გარკვევაც დილემაა, რომლის გადალახვაც ქეშმარიტებასთან გვაახლოებს. მანამდე კი „სტრიქონის მოჯახუნება“ შეიძლება დაგჭირდეს და საკუთარ თავზე გადაბიჯებაც „ზრდილი ბოდიშით“.

„თავს ანუ დიდი გასაყარის ბილინგვა-აპრას აქეთ-იქიდან ჩავლებული ხელებით ციმციმად გამოგახტუნეს პირველად და ყველაზე მაგრად.“

მაგრამ ეს არ უნდა იქცეს ისეთ რისკიან გადახტომად („დაეშუვათ — ღია ფანჯარასთან, ღია ფანჯრისკენ“), როგორც გალაკტიონი შეუერთდა მარადისობას. ეს უკანასკნელიც ძალაა და ამისგან გადარჩენაც, მიღწევა „ცხადის კართან აბუზული“ პოეტის სულისა, თავისი უმწეო ყოვლისმემდლეობით („გეგონება, არც გეგონა, რაც გეგონა ღვიძილეთი“). ასე შეიძლება ნიშნაც მოუგო ცხოვრებას, ხომ გაჯობეო და ხანდახან ილუზორულობით (ანალ ამე — ფეისბუქით) ჩაანაცვლო იგი, იწამო მისი სინამდვილეც, გრძელკუდიანი მაცლის ფანდივით „შეჩვეულ-შეღვიძლებული“. ეს ჯადოსნური ეკრანიც ხომ სარკეა ჩვენი პიროვნულობისა.

„ასე იცის ამქვეყანამ, სათნოა თუ მურდალია — თავის პანოს, ხვატით დამწვარს თუ ყინულის სუდარიანს, პროზის მსუყე საფლობებს და პოეზიის მიმქრალ ტონებს შეგაჩვევს და შეგიჩვევს და მერე უცებ მიგატოვებს.“

წუთისოფლის „მედლის“ ორმხრივობა და ყალბი ბრჭყვიალი ხანდახან არ გაცხოვრებს იმიტომ, რომ ხანდახან ვითომ იცხოვრო („რამდენჯერმე არ მოკვდი. რამდენჯერმე არ მოგკლეს. რამდენჯერმე არ მოიკალი“). პოეზიაც იქნებ ერთ-ერთი მსხვერპლია? განსაკუთრებით დღეს, ვითომ ტე-



შემდეგი ნომერი გამოვა 2023 წლის 20 იანვარს

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
საქართველოს მხარალობით
რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com
ISSN 2346-7940
9 1772346 1794004